საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24;
მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: წონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

კვირა, 6 დეკემბერი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 281 (1436)

დღევანდელი ნომრის შინაარსი მოკლედ

დღიური

- — საბჭოთა კავშირში მო[illegible] დელეგაცია.
- — მოსკოვში მოელიან [illegible]
- — აჯ. ლუნაჩარსკი პარიზში ჩავიდა.
- — ბულგარეთში ფინანსიური კრიზისი მწვავე ხასიათს იღებს.
- — მოსულის საკითხში დიდი გართულებაა მოსალოდნელი.
- — ინგლისში აშინებთ საბჭოთა ნავთის მეტოქეობა.
- — ბულგარეთში უმუშევართა რიცხვი იზრდება.

ყრილობის შემდეგ

გუშინ დაასრულა თავისი მუშაობა საქართველოს კომუნისტური პარტიის მეოთხე ყრილობამ. ცენტრალურ კომიტეტის მოხსენების გამო ყრილობის მიერ მიღებულ საერთო რეზოლიუციის გარდა, რომელიც უკვე გამოქვეყნებული გვქონდა, ყრილობამ გამოიტანა დაწვრილებითი რეზოლიუცია, რომელშიც მოცემულია ჩვენი მდგომარეობის და მიღწევების დახასიათება და დასახულია მომავალი მუშაობის ამოცანები.

ცეკას დიდი დამსახურება პოლიტიკურ დარგში პირველ ყოვლისა მდგომარეობს მენშევიკურ პარტიის და საერთოდ ანტისაბჭოთა ბანაკის დაშლაში. რღვევის პროცესი ანტისაბჭოთა ელემენტებს შორის, რომელიც დაიწყო საქართველოში მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამყარების პირველივე წლიდან, თანდათან გაფართოვდა და გაღრმავდა, რამაც ჰპოვა გამოხატულება მენშევიკების და სხვა მათთან მყოფ პარტიების სალიკვიდაციო ყრილობებში და მრავალ ათასობით ყოფილ მენშევიკების, მენშევიკურ პარტიის მუშ რაგლეხურ ფენების დადგომაში საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. აგვისტოს ავანტიურამ საბოლოოდ მოჰკლა მენშევიკური პარტია იდეურ-მორალურად და გახრწნა ორგანიზაციულად. მას შემდეგ 11 ათასი ყოფილი მენშევიკი ჩადგა საბჭოთა წყობილების დამცველთა რიგებში. ცენტრალურ კომიტეტის სწორმა და ინტენსიურმა მუშაობამ ყოფილ მენშევიკებს შორის, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული, თავისი ნაყოფი გამოიღო და სოციალ-დემოკრატი მუშები ჩვენი პარტიის გარშემო შემოკრიბა.

იდეური და ორგანიზაციული მუშაობა მათ შორის აწიც უნდა გაგრძელდეს. ამ მხრივ კიდევ გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები, დაარსებულია ცეკასთან და ზოგიერთ ადგილობრივ პარტორგანოებთან ყოფ. მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილებები.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს გაუსწორებელ მენშევიკებს, აგრეთვე მენშევიზმის სხვა და სხვაგვარ იდეოლოგიურ გამოხატულებას. მენშევიკური იდეოლოგია საბოლოოდ კიდევ არ არის ჩვენში აღმოფხვრილი, მიტომ რომ ასეთ მოკლე ხანში ადვილი არ იყო ათეულ წლებში განმტკიცებული შეხედულების და ტრადიციების დაძლევა, რომელთაც ამავე დროს ასაზრდოებს ჩვენი ხალხის სოციალური წყობის თავისებურებანი და მსოფლიო ბურჟუაზიული გარემოცვა.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო ანტისაბჭოთა ბანაკის დარღვევას, ეს იყო პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს სწორი პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში. ეროვნულ დამოკიდებულებათა სფეროში აღმოცენებული ზოგიერთი ავადმყოფური მოვლენები, რომლებიც აღნიშნული იყო ყრილობაზე. თავის დროზე იქნა დაძლეული. მაგრამ ეს მაინც გაკვეთილია შემდეგი მუშაობისათვის. მეტი მოქნილობა და სიფრთხილე, მეტი ყურადღება ადგილობრივად მომუშავე ამხანაგებისაგან საქართველოში მოსახლე ერებისადმი, ნამდვილი ინტერნაციონალური სულის განმტკიცება ყველა ჩვენს ორგანიზაციებში—აქეთია აქცენტი.

ყრილობის რეზოლიუცია დიდ ყურადღებას აქცევს სოფლად მუშაობას. პარტიის თვითეულმა წევრმა საფუძვლიანად უნდა შეითვისოს უმაღლეს ორგანოების გადაწყვეტილებები ამ მხრივ. უნდა იქნას დაძლეული ორი მავნე გადახრა, აღმოცენებული სოფლად ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაშლასთან დაკავშირებით: ამ პოლიტიკის მნიშვნელობის არა საკმარისი შეფასება და კულაკური საფრთხისათვის საჭირო ანგარიშის არ გაწევა.

საბჭოების გამოცოცხლება, საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება და მშრომელ გლეხობის აქტიური ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში,—აქეთკენ უნდა იქნას მიმართული ჩვენი მუშაობა. კერძოდ ამ მიზნისათვის უნდა გამოვიყენოთ საბჭოების მომავალი არჩევნები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რათა საბჭოებში და სხვა ორგანიზაციებში არ გაძვრენ კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მათ წინააღმდეგ მყუდროი და დაუნდობარი იდეური ბრძოლა. ჩვენ უნდა შევაკავშიროთ ღარიბი და საშუალო გლეხობა და ამ გზით გავრიყოთ კულაკობა. პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ნამდვილი ხელმძღვანელობა საბჭოებზე და საერთოდ სოფლის საზოგადოებრივობაზე.

ყრილობა შეჩერდა სასოფლო მეურნეობის საკითხზე და სამართლიანად გაუსვა ხაზი სოფლის მეურნეობის განვითარების საჭიროებას ძვირფასი კულტურათა აღორძინების გზით, ითბილურ კულტურათა ხარჯზე და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის აუცილებლობას. ჩვენი მიწის სიმცირე თვალსაჩინოდ შეიძლება იქნას ანაზღაურებული, და სოფლის პროდუქცია გადიდებულ-გაუმჯობესებული, ნაკლები ჯაფის გაწევით.

ყრილობამ აგრეთვე აუცილებლად სცნო სათანადო ზომების მიღება ჩვენში მრეწველობის განსავითარებლად, ახალი ფაბრიკა-ქარხნების ასაგებად თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნათა მიხედვით.

ყრილობამ საჭიროდ სცნო მუშაობის გაძლიერება პროფკავშირებში და კოოპერაციაში, პარტიის უმაღლეს ორგანოთა დადგენილებების მიხედვით.

ყრილობა ცალკე შეჩერდა პარტიის თვისობრივ გაუმჯობესებაზე და მისი რიგების მთლიანობის სიმტკიცეზე, რაც ძირითადი პირობაა პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცების და ახალ-ახალი მიღწევებს.

ყრილობამ თავის რეზოლიუციაში ამოსწურა ჩვენი სინამდვილის მთავარი საკითხები და გარკვეული დირექტივები მისცა ახალ ხელმძღვანელ ორგანოს და ადგილობრივ პარტორგანიზაციების მუშაობის ყოველ დარგში. როგორც ახალი ცეკა, ისე ყრილობის დელეგატები და მთელი პარტია განახლებული ენერგიით შეუდგებიან ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანების გატარებას ცხოვრებაში. მათი ხელმძღვანელობით ჩვენი მშრომელი მასა განაგრძობს წარმატებით სვლას თავის საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების მოწესრიგების შესახებ

ბუხარინის თეზისები (§ 18) რ. ა. ლ. კომკავშირის მუშაობის შესახებ რ. კ. პ. (ბ) მე-14-ე ყრილობის წინაშე სვამს ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ საკითხს, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ აუვლით. ეს არის აუცილებელი ბრძოლა ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებისათვის როგორც კომკავშირის შიგნით, ისე მის გარეშე—უპარტიო მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობას შორის.

რაში უნდა გამოიხატოს უმთავრესად ეს ბრძოლა! პირველყოვლისა, რასაკვირველია, ეს უნდა იყოს ბრძოლა ძველი თავაშვებულობის და ანარქიზმის ნაშთებთან ყოფა-ცხოვრებაში. „თავაშვებულობის ელემენტებს, რომლებიც ნიადაგს პოულობენ ნაწილობრივ რევოლიუციის წინანდელ ინტელიგენტურ იდეოლოგიის ნაშთებში, ნაწილობრივ კომკავშირის და უპარტიო ახალგაზრდობის კლასობრივად დაშლილ ლუმპენ-პროლეტარულ, მეშჩანურ-წვრილ ბურჟუაზიულ და ინტელიგენტურ-ანარქისტულ წრეებში. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს პროლეტარული ახალგაზრდობის შეკავშირებულმა ნაწილმა“ (თეზისები, § 18).

განა არიან ასეთი თავაშვებული ელემენტები,—იკითხავენ ზოგიერთები. განა ჩვენს შორის კიდევ აქვს ადგილი გულგრილობის თვალსაზრისს? განა ჩვენს შორის ფესვები გაიდგა ანარქიზმმა ყოფა-ცხოვრებაში? მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ და დაინახავთ, რომ ჯერ კიდევ ბევრია ასეთი უარყოფითი მხარეები, რომელთაც უნდა ვებრძოლოთ.

როგორ მუშაობენ ჩვენი პოლიტწრეები, როგორ მუშაობენ ჩვენი დანარჩენი წრეები, როგორ იმართება კომკავშირის კრებები? უმეტეს შემთხვევაში, ჩემი დაკვირვებით, ეს არის თავაშვებულობის ნიმუში. იშვიათად თუ შეიძლება კრების თავის დროზე დაწყება იმიტომ, რომ „დაიჩვიენ“ დაგვიანებით გამოცხადებას. „სულერთია, მიუსწრებთ“. ბევრი სრულებითაც არ ესწრება. „სულერთია, უჩვენოდაც არაფერი დაშავდებაო“. და დღემდე ჩვენ ვერ მოგვიხერხებია ამ მუშაობის სწორად დაყენება. ამის შედეგია, რომ ისინი, ვ ნც წრეების სხდომებზე თავის დროზე ცხადდება, დიდ დროს ჰკარგავენ ლოდინში, ხშირად კრებები და მეცადინეობა იწყება ერთი საათის დაგვიანებით. ხშირად ხელმძღვანელები, ლექტორები და მომხსენებლები სხდიან და საათობით ელიან.

გვეტყვიან—ეს მოსდით პარტიულებსაცო. სამწუხაროდ, მართლაც მოსდით. ამას უნდა გაეწიოს ბრძოლა პარტიულებს შორისაც.

სიბინძურე. ეს, რასაკვირველია, არის ნაშთი და ხშირად შედეგი იმ მატერიალურ პირობების, რომლებშიაც ცხოვრობდნენ და ნაწილობრივ კიდევ ცხოვრობენ კომკავშირელები, სიბინძურე ბინაზე, არაჰიგიენური საბინაო პირობები, ნივთიერ საშუალებების სიმცირე. სიბინძურე—ეს არის იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების წლების სიღარიბის და გაჭირვების ნაშთი. მაგრამ ეხლა უკვე დგება 1926 წელი, დგება საბჭოთა ხელისუფლების მეცხრე წელი, მალე გადავისხდით ჩვენი გამარჯვების ათი წლისთავს. დროა აღმოვფხვრათ ეს ნაშთი. ჩვენს სიბინძურეში და დაუდევრობაში ეხლა ჩვენ თვითონ მეტი ბრალი მიგვიძღვის. თუ ეს ბუნებრივი და მოსათმენი იყო 1918 წელს—ამისთვის არ გვეცალა,—ეს ეხლა სამარცხვინოა. აბა შედით მუშათა ახალგაზრდობის კლუბში, შედით რომელიმე კრებაზე, რომელიმე წრეში. იშვიათად შეხვდებით ისეთ ბინას, რომ არ იყოს გაბინძურებული პაპიროსის ნამწვავებით, ნაფურთხით, თამბაქოს ბოლით. უნდა გამოვაცხადოთ სასტიკი ბრძოლა სისუფთავისათვის, სუფთა ჰაერისათვის, სუფთა იატაკისა, იმ შენობის სილამაზისათვის, რომელშიაც ცხოვრობს, მუშაობს, სწავლობს და ვითარდება ჩვენი ახალგაზრდობა. დიახ,—საჭიროა ერთი—მეორე აღვზარდოთ ამ მხრივ, უნდა შევქმნათ კომკავშირის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც დაჰგმობს სიბინძურეს ისე, როგორც ის ჰგმობდა თავის დროზე პირად სარგებლობაზე ზრუნვას და სილაჩრეს.

1923 წელს, როცა რაღაც გარემოების გამო მე ვიყავი დონის რაიონში, ერთხელ შევეკითხე ახალგაზრდა მემალაროეს, დადის თუ არა ის კლუბში. მან მე მიპასუხა: „აი მოვაგროვებ ფულს, ვიყიდი სუფთა კოსტიუმს და მაშინ წავალო“. ამ მემალაროეს, ჩემის აზრით, ჰქონდა საღი, სწორი დამოკიდებულება კლუბისა და თავისთავისადმიც, და ამ სიტყვებიდან აშკარა იყო, რომ ის პატივისცემით ეპყრობოდა კლუბს. ვინმე იტყვის,—მაშ ცუდ და ბინძურ ტანისამოსით არ შეიძლება კლუბში წასვლა. არა. — რასაკვირველია, ეს ასე არ არის, რასაკვირველია, თუ საჭიროა კლუბში წასვლა, უჯრედის, წრის კრებაზე, თუ ტანსაცმელი ახალი არ გაქვს, ან დრო არ გაქვს ტანსაცმლის გამოცვლის, მაშინ უნდა წახვიდე, როგორც ხარ ჩაცმული. მაგრამ თავისი სიბინძურით ხაზი არ უნდა გაუსვათ სიძულვილს სისუფთავისადმი, როგორც რაღაც არაკომკავშირულ მოვლენისადმი. ზოგიერთები დღემდე მართლაც ასე უცქერიან სუფთად ჩაცმულ ახალგაზრდას ან კომკავშირელ ქალს, გაიძახიან, ეს არის მეშჩანობა, ბურჟუაზიული მიდრეკილებაო. აქ არის, რასაკვირველია, სხვა საფრთხეც, თუ ახალგაზრდობის ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მხოლოდ გარეგნობას და ის კადაეშვება „პრანჭიაობაში“. ამ საფრთხის დაძლევა გაცილებით უფრო ადვილია.

მეორე, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება,—ეს არის ერთგვარი ცინიზმი და თავაშვებულობა სიტყვა-პასუხში. მე იმ აზრის არ ვიცავ, თითქოს ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან თავაშვებულია სქესობრივ ცხოვრებაში. თუ ავიღებთ შედარებითი ციფრებს, რომლებიც ახასიათებენ ახალგაზრდობის ცხოვრებას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და ჩვენში, ეს ციფრები ლაპარაკობენ ჩვენს, ჩვენი ახალგაზრდობის სასარგებლოდ, თუმცა, რასაკვირველია, ჩვენ აქაც უნდა მივაღწიოთ გაცილებით უფრო საღ დამოკიდებულებას. ჩვენ გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ იმას, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს შორის არაკომუნისტურად და არა კომკავშირულად სთვლიან ზიზღს ცინიკურ გამოთქმისადმი, უშვერ სიტყვა-პასუხისადმი, ლანძღვა-გინებისადმი. მე ვიცი შემთხვევა, როცა ინტელიგენტური წრიდან გამოსული კომკავშირელი იცავდა დედის გინებას, როგორც საშუალებას ფაბრიკა ქარხნების და სოფლის ახალგაზრდობასთან დაახლოვებისათვის. ჩვენ რაც შეიძლება შორს უნდა დავდგეთ დაახლოვების ასეთ მეთოდებიდან. მათ გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ. კომკავშირელი ქალი მწერს მე წერილს, რომ ასეთი ამხანაგები ქალიშვილს სავსებით „თავისიანად“ სთვლიან, თუ ის დამშვიდებით და მოწონებით ისმენს ხშირად ცინიკურ ანეკდოტებს და უშვერ სიტყვებს, ხოლო თუ ქალიშვილი ჯავრობს და უკმაყოფილებას გამოსთქვამს, ცდილობენ მის „გარდაქმნას“, „აღზრდას“ განსაზღვრული მიმართულებით.

მე, რასაკვირველია, არ ვსდებ ბრალს კომკავშირის და პარტიის მხოლოდ მამაკაც წევრებს. უნდა ითქვას, რომ ხშირად ჩვენი ქალიშვილები და პარტიული ქალებიც ასეთ ცინიზმს სთვლიან კომუნისტურ თვალსაზრისით კარგ კილოთ და ზოგიერთი ამხანაგებიც ადვილად ეჩვევიან ასეთ აღზრდას.

არა, ძვირფასო ამხანაგებო, ეს სრულებით არ არის კომუნისტური კილოს ნიშანი. ეს არის ისეთი კილო, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს კომუნიზმთან. ეს შეიძლება თავის დროზე იყო რეაქცია ინსტიტუტური გარეგნულ ჩვეულებების და მანერების წინააღმდეგ—განზრახ ხაზგასმული უხეში სიტყვა-პასუხი. მაგრამ ვისთვის არის ეს ეხლა საჭირო, ვის წინააღმდეგ არის ის ეხლა მიმართული? ის ყველაზე უფრო მეტ ზიანს გვაყენებს ისევ ჩვენ. ამ ნაშთსაც—ლანძღვა-გინებას და ცინიზმს სიტყვა-პასუხში, ისევე როგორც ჩვეულებებში და ურთიერთ დამოკიდებულებაში, უნდა მოუღოთ ბოლო და გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ ასეთ მოვლენებს, უნდა ითქვას, რომ ეს ხელს უშლის საღი ურთიერთობის შექმნას. რომელიმე მეშჩანური, ანარქისტული ელემენტები, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვთ პროლეტარიატთან, არ ითაკილებენ ზოგჯერ ხელი მიჰყონ გარყვნილების შეტანას კომკავშირის წრეებში, როგორც ეს შეეცადა მოეხდინა ურალის მხარეში საზოგადოება „ძირს უმანკოება“-ს, ან შექმნა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ამას წინად სხვაგან, („ალკოგოლიკების საზოგადოება“). ასეთ ცდებს კომკავშირელებმა უნდა გაუწიონ სასტიკი წინააღმდეგობა. ისინი მიმართული არიან კომკავშირის და კომუნისტური კულტურის წინააღმდეგ. ისინი სოციალურად წარმოადგენენ საფრთხეს პირველყოვლისა პროლეტარიატისათვის, რომლის შვილები ხდებიან მათი მსხვერპლი. აი ამიტომ აქვე საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ალკოგოლიზმთან კომკავშირის წრეებში.

არალეგალურ ორგანიზაციებში ჩვენ არ ვლებულობდით ახალგაზრდებს, რომელთაც უყვარდათ თრობა,—წამოცდება სიმთვრალეში რამე და დაღუპავს მთელს ორგანიზაციას, ასეთ კაცზე დანდობა არ შეიძლება. ან განა ეხლა შეიძლება დანდობა [illegible] 18—21 წლის ჰასაკში ლოთობს, თვრება უზომოდ, განა შეიძლება მას მივანდოთ კომკავშირის აღზრდა, განა მას შეუძლია ვინმეს აღზრდა, განა თვითონ მისი განწყობილება ერთგვარად დაცემული არ არის ნაბვინების დროს, ის ხომ ასეთ წუთებში შექმნის თავის გარშემო დაცემული სულიერი განწყობილების ატმოსფერას?

უპარტიო მუშები და გლეხები ყურადღებით თვალყურს ადევნებენ კომკავშირის ცხოვრებას. არა ითარ ჩვენს ქადაგებას არ ექნება მნიშვნელობა, თუ თვითონ კომკავშირელი არ შექმნის თავის ორგანიზაციებში, თვით კომკავშირელების ყოფა-ცხოვრებაში ურთიერთობას, ისეთ ცხოვრებას, რომელიც სამაგალითო იქნება მის გარშემო მყოფთათვის. ჩვენ სრულებით არ ვქადაგებთ რაღაც მორალურ თვითგანწმენდას. ბუხარინი ათასჯერ მართალია, როცა თავის თეზისებში ხაზს უსვამს იმას, რომ „ძველი თავაშვებულობის და ანარქიზმის ეს ნაშთები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სამეურნეო განვითარების მოთხოვნილებებს. სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობის მუშაკთა კადრები შესძლებენ სწორად და ძლევა-მოსილად გაუძღვენ საქმეს მხოლოდ მაშინ, როცა უფრო სწორად „ივარჯიშებენ“, იმუშავებენ და იცხოვრებენო“.

მაგრამ თუ ჩვენს წინაშეა ასეთი სერიოზული ამოცანა, არ შეიძლება ის დავაკისროთ მხოლოდ ახალგაზრდობას. კომკავშირელები ათასჯერ მართალნი იქნებიან, თუ ისინი აქა-იქ პარტიულ ყოფა-ცხოვრებაშიაც აღნიშნავენ მტკივნეულ მოვლენებს, რომლებიც ხრწნიან კომკავშირს. რასაკვირველია, კომკავშირში ასეთი მოვლენები უფრო სახიფათოა, კომკავშირში მათ უფრო ხელსაყრელი ნიადაგი აქვთ. ჩემის აზრით, საჭიროა ბრძოლა ამ მოვლენების წინააღმდეგ პარტიაშიაც და კომკავშირშიაც. უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, პარტია ამ საქმეში უნდა დაეხმაროს კომკავშირს.

„ყოფა-ცხოვრების მოწესრიგება“ ამ მხრივ,—ეს არის ამოცანა პირობების გაჯანსაღებისა თვით პარტიის და კომკავშირის წევრების მიერ, ერთგვარი ისეთი საზოგადოებრივი აზრის შექმნის ამოცანა, რომელიც ეწინააღმდეგება თავაშვებულობას პირად ყოფა-ცხოვრებაში და საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

ე. იაროსლავსკი.

მოსკოვი, 5 დეკემბერი.

რეზოლიუცია ცეკას მუშაობის შესახებ

პარტიის მეოთხე ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ცენტრალურ კომიტეტის დიდ მუშაობას ანტი-საბჭოთა ბანაკის რღვევა-დაშლის განგრძობაში და კერძოთ მენშევიკური პარტიის რღვევის საქმეში. თუმცა ამან მაინც ვერ შეუშალა ხელი ავანტიურისტულად განწყობილ მენშევიზმის ნაშთებს, თავად-აზნაურობასა და კულაკებთან შეკავშირებით მოეწყოთ აგვისტოს შეიარაღებული გამოსვლა, რომელმაც მიიღო ბუტაფორული ხასიათი და წინდაწინვე იყო განწირული დასამარცხებლად.

ჩვენმა პარტიამ აგვისტოს გამოსვლებს სწორი შეფასება მისცა.

შეიარაღებული გამოსვლები საქართველოში მოხდა არა მოსახლეობის მასიური უკმაყოფილების ნიადაგზე, არამედ ის ნაკარნახევი და მოწყობილი იყო იმპერიალისტებისა და მეორე ინტერნაციონალის, ამ იმპერიალისტების დასაყრდნობის, ძალის, მიერ. აჯანყების უმთავრეს მამოძრავებელ მანქანად გამოვიდა უცხოეთი, რომელიც თავის გეგმებს ახორციელებდა ქართველი მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების, თავად-აზნაურობის, ჩარჩების და კულაკების საშუალებით, რომელთაც შეადგინეს კონტრ-რევოლიუციის პარიტეტული კომიტეტი.

აგვისტოს გამოსვლების აცილება ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც, ჯერ ერთი, ასეთი იყო ნებისყოფა საზღვარგარეთულ ცენტრისა, რომელიც მოითხოვდა გამოსვლას, რაც უნდა მომხდარიყო ევროპაში, შესაფერ განგაშის ასატეხად და საერთაშორისო მასშტაბით, საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობის გასართულებლად, და, მეორეც, ასეთი იყო ნებისყოფა ქართული კონტრ-რევოლიუციისაც, რომელსაც სურდა ბრძოლა აეტეხა საბჭოთა [illegible]

[illegible] მას გავუწყვეტ, როგორც აგვისტოს ავანტიურა და მისი სამარცხვინო კრახი.

ამან თვალი აუხილა იმათაც კი, რომლებიც ჯერ კიდევ რყევაში იყვნენ, ჯერ კიდევ მთლად არ ჩამოსცილებოდნენ მენშევიკებს და ისინი დაარწმუნა იმაში, რომ მენშევიკების პარტია დაადგა უცხოელთა ჩარევის, ინტერვენციის,—ერთი მხრით—და შინაურ ბანდიტიზმის და დაშნაკიზმის გზას—მეორეს მხრით.

აგვისტოს ავანტიურა იყო მუჯლუგუნი მენშევიზმის გახრწნის მეორე ძლევამოსილი ტალღისა, როდესაც მშრომელნი ასობით და ათასობით იწყებენ დადგომას საბჭოთა და კომპარტიის დროშის ქვეშ.

ავანტიურამ ამ დროშის ქვეშ დააყენა ახალი 11 ათასი მუშა. ამას არა ნაკლებ ხელს უწყობდა ის ხაზიც, რომელიც უეჭველად გაჰყავდა პარტიას ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე წამოჭრილი ორმხრივი ამოცანა; ერთის მხრივ—მოპირდაპირის დანგრევა და, მეორეს მხრივ, სოციალ-დემოკრატ მუშების დაპყრობა—სრულიად წარმატებით გადაიჭრა.

განაგრძობს რა მომავალშიაც სოციალ-დემოკრატ მუშების საბოლოო დაპყრობისა და კომუნისტური გავლენის ქვეშ მათი მოქცევის ხაზს, პარტიამ უნდა გაალმასოს თავისი იდეოლოგიური იარაღი და განაგრძოს გადამწყვეტი ბრძოლა ყველა არსებულ სხვადასხვა სახის მენშევიზმთან: როგორც მებრძოლი მენშევიზმის, ისე შეგუების ტაქტიკის მიმდევართა წინააღმდეგაც.

პარტიის ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ გააფართოვოს მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე და დაამარცხოს მენშევიკური გავლენის ნაშთები.

ყრილობა მთლიანად ადასტურებს ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს ყოფილ მენშევიკთა შორის სამუშაოდ განყოფილების ორგანიზაციის საქმეში როგორც ცენტრალურ კომიტეტთან, ისე საოლქო კომიტეტებთან.

აღნიშნავს რა თვალსაჩინო მიღწევებს ცხოვრებაში ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარების დარგში, ყრილობას მიაჩნია, რომ პარტიამ შემდეგში უნდა გააღრმაოს თავისი მუშაობა ამ მიზნით და არსებითად უზრუნველჰყოს ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ეკონომიური უფლებები.

საჭიროა, რომ შემდგომში უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებათ, ავტონომიურ რესპუბლიკების ცხოვრებას. განგრძობილ იქნას ეროვნული კულტურის განვითარება და ამავე დროს სწარმოებდეს ბრძოლა ყველა შოვინისტურ გავლენის, მიდრეკილების წინააღმდეგ და ტარდებოდეს მკაფიოდ გარკვეული ბოლშევიკური ინტერნაციონალისტური ხაზი.

[illegible] მუშაობის გაძლიერებას, როგორც პარტიის ერთ-ერთ პირველრიგოვან ამოცანას და აღნიშნავს რა, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, სოფლად პარტიის მუშაობის სწორი ხაზიდან ორგვარი გადახრის არსებობას: პირველი—ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარების მნიშვნელობის არასაკმაოთ შეფასებას, მეორე—კულაკური საფრთხის არასაკმაოდ შეფასებას,—ყრილობა აყენებს სოფლის ღატაკთა და მის მოკავშირე გლეხობის ელემენტების ორგანიზაციის მორიგ ამოცანებს, თანახმად რ.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, კულაკური საფრთხის, რომელიც თანდათან იზრდება, და ყოფილ თავად-აზნაურების გამოსვლების მოსაგერიებლად, იმ თავად-აზნაურების, რომლებიც ადგილობრივი განსაკუთრებული პირობებისა და ქართველი ერის თავისებური სოციალური სტრუქტურის გამო უნდა მივაკუთვნოთ კულაკობას.

პარტიის უახლოესი ძირითადი ამოცანა სოფელში არის სრული გამოცოცხლება ადგილობრივი საბჭოებისა, გაუმჯობესება და განმტკიცება საბჭოთა აპარატებისა და უპარტიო გლეხობის ფართოდ ჩაბმა საბჭოთა საამშენებლო აქტიურ მუშაობაში,

საქართველოში და განსაკუთრებით გურიაში საბჭოების გადარჩევის შედეგებმა დაამტკიცეს ჩვენი კურსის სისწორე და ჩვენი პარტიის გავლენის ზრდის ტენდენცია სოფელში, თუმცა მათ ამასთან ერთად გამოამჟღავნეს ის საფრთხეებიც, რომლებიც თან სდევდენ მიღწეულ გამარჯვებებს სოფელში საბჭოთა დემოკრატიის ვაშლის საქმეში, სახელდობრ: მენშევიკური საბჭოების შექმნა (დვაბზუს საბჭო) და აჭარისტანის ამბები, რომლებიც მოწმობენ, რომ საბჭო მოსწყდა პარტიის ხელმძღვანელობას. ნამდვილი საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების, შექმნის მიზნით პარტიამ უნდა ყოველნაირად გააძლიეროს პარტიული ხელმძღვანელობა და მომავალი გადარჩევები ჩაატაროს, ამ მიზნის ქვეშ, დაიცვას ერთ და იმავე დროს თავისუფალი არჩევნების და სრული დემოკრატიულობის პრინციპები, ანტი-საბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებასთან ერთად.

აღნიშნავს რა უდიდეს მიღწევებს სასოფლო მეურნეობის აღდგენის დარგში, პარტიამ უნდა მიუთითოს იმაზე, რომ სასოფლო-მეურნეობის შემდეგი განვითარება უნდა წავიდეს ხორბლეული კულტურების ძვირფასი კულტურებით შეცვლის და გლეხური მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის გზით.

სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური და სოციალისტური პროგრესი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკაში მრეწველობის ზრდის სიჭარბეზე, მის ყოველნაირად განვითარებაზე. ამისათვის განსაკუთრებით საჭიროა [illegible] რით მრეწველობის განსაკუთრებულად.

ტეხნიკურად კარგად მოწყობილი ახალი ქარხნების და ფაბრიკების გარეშე არ შეიძლება გავშალოთ მრეწველობა, რადგანაც უკვე არსებული ვერ იქნება მისი შემდეგი განვითარების მტკიცე ბაზად.

ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისა და ამიერ კავკასიის ცალკე რესპუბლიკათა სამეურნეო აღმშენებლობის შეთანხმება-შეკავშირებისათვის ყრილობას საჭიროდ მიაჩნია დაარსდეს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, როგორც მომწესრიგებელი კონტროლის გამწევი მეგეგმელი ორგანო.

აღნიშნავს რა გარკვეულ მიღწევებს პროფკავშირებისა და კოოპერატიულ მუშაობათა გამოცოცხლების დარგში, ყრილობა ავალებს ცეკას ახალ შემადგენლობას, რომ მან უდიდესი ყურადღება მიაქციოს ამ დარგში მუშაობის განმტკიცებას უკანასკნელ პარტიულ ყრილობათა და კონფერენციათა დადგენილებების მიხედვით.

მიაჩნია რა აუცილებლად, რომ პარტიამ გააძლიეროს კავშირი და ხელმძღვანელობა ლენინელთა ახ. კომ. კავშირის, მუშა ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობა, ყრილობა წინადადებას აძლევს ახალ ცეკას უზრუნველჰყოს ყოველგვარი დახმარება და პარტიული ხელმძღვანელობა მუშათა და გლეხთა მოზარდთაობის, მუშა ქალთა და გლეხთა ორგანიზაციის საქმეში.

კავშირის გაძლიერება და ხელმძღვანელობა წითელ ლაშქრისა არის აგრეთვე პარტიის პირველხარისხოვანი ამოცანა. ყრილობა აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ნაწილებს სამხედრო (განსაკუთრებით ტერიტორიალურ) აღმშენებლობის დარგში და ამ უკანასკნელთა კავშირში სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

ამ დარგის ძირითად ამოცანებად უნდა მიჩნეულ იქნას:

1) ქვედა პარტორგანიზაციების კავშირის გაძლიერება სამხედრო, განსაკუთრებით ტერიტორიალურ, ნაწილებთან;

2) ამ უკანასკნელთა ცვალებად შემადგენლობის გამოყენება სოფელში სამუშაოდ;

3) ადგილობრივ პარტიულ ცხოვრებაში სამხედრო ორგანიზაციების უფრო მტკიცე ჩაბმა;

4) დიდი ყურადღების მიქცევა პარტორგანიზაციების მიერ ლაშქრის ნაწილების და განსაკუთრებით პოლიტიკურ სკოლებისადმი იმ მხრივ, რომ ისინი პარტიულ შემადგენლობით ივსებოდენ.

მიიჩნია რა საქართველოს კომპარტიის სრული მთლიანობა, პარტიის ზრდის და განმტკიცების და აგრეთვე პარტიის წინაშე მდგარ ყველა საკითხის სწორი გადაწყვეტის მთავარ პირობად, ყრილობა სთვლის აუცილებლად, რომ შემდეგშიაც დაცულ იქნეს და განმტკიცდეს ეს [illegible] გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს [illegible] მოვლენას (კინკლაობას და სხ.), რომელიც თავს იჩენს სხვადასხვა ორგანიზაციებში. კერძოდ ყრილობა იწონებს გადაწყვეტილებას ზუგდიდის ორგანიზაციის ერთეთის ჯგუფების დაშლის შესახებ, კინკლაობის მოსპობის და ზუგდიდის პარტორგანიზაციაში მთლიანობის დაცვის მიზნით.

აღნიშნავს რა კმაყოფილებით, რომ საქართველოს კომპარტია ორ უკანასკნელ წლის განმავლობაში მუშაობს პარტიის სრული მთლიანობის დროშის ქვეშ, მეოთხე ყრილობა აღიარებს, რომ საქართველოს კომპარტიის შემდგომი თვისებრივი ზრდა, მისი ერთობა და შინაპარტიულ დემოკრატიის ფართე გაშლა და განმტკიცება არიან პარტიის და საბჭოთა მუშაობის ახალ გამარჯვებათა საფუძველი და ისინი უზრუნველყოფენ საბჭოთა საქართველოს თანდათანობით წინსვლას სოციალიზმისაკენ.

ცენტრალურ ორგანოების შემადგენლობა

ცენტრალურ კომიტეტის წევრები

1. აღნიაშვილი
2. ასრიბეკოვი, ე.
3. ბოლქვაძე,
4. ბერია, ლ.
5. ვარამაშვილი
6. ვართაპეტოვი
7. გეგეჭკორი ალ.
8. გოლობერიძე ლ.
9. გიორგაძე არჩ.
10. გოგია, ბ.
11. გობეჩია
12. ჯატიევი
13. ჯაფარიძე
14. დარახველიძე, ვ.
15. ენუქიძე ა.
16. ულენტი, თ.
17. ჟოჟიკაშვილი, ა.
18. ჟუკოვი
19. ივანოვ-კავკაზსკი
20. ქართველიშვილი, ლ.
21. კახიანი, მ.
22. ყურულიშვილი, გ.
23. კვანტალიანი, ე.
24. ქურდაძე,
25. ქავთარაძე ელ.
26. კოსტანიანი,
27. ლაკობა ნ.,
28. ლორთქიფანიძე დ.
29. მახარაძე ფ.,
30. მზარეულაშვილი,
31. მაშკევიჩ,
32. მგალობლიშვილი,
33. ნაზარეტიანი, ა.
34. ნოდია
35. ორახელაშვილი, მამია
36. ოკუჯავა, მ.
37. ორახელაშვილი, მარიამ
38. ფანცულაია
39. რატნეკი
40. სუხიშვილი, ლ.
41. სვანიძე
42. სტურუა, გ.
43. საბაშვილი
44. თოდრია, ს.
45. ხეტკოვი
46. ხანოიანი, ს.
47. ცხაკაია, მ.
48. ჩხეიძე, გ.
49. ჭეიშვილი
50. შაბანოვი
51. ელიავა, შ.

კანდიდატები

1. აგულოვი
2. არუთინოვი
3. ბახტაძე, ვ.
4. გაპალოვი
5. ჯუღელი, ს.
6. ენუქიძე
7. ინაური
8. ქავთარაძე, ა.
9. ქავთარაძე, გ.
10. კალანდაძე, ბ.
11. კვირიკაძე, ა.
12. მარქაროვი
13. მათიკაშვილი
14. ფანცულაია
15. ფანცხავა
16. პევცოვი
17. რასულ-ზადე
18. სააკიანი
19. ცეხაძე
20. ჰაბუკიანი.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები

1. დოლიძე ა.
2. ლეჟავა შ.
3. კირვალიძე.
4. ჯორბენაძე ი.
5. სულუკიძე.
6. ჟვანია ი.
7. კვარაცხელია.
8. კიკნაძე ნ. („კომ.“ რედაქტ.)
9. მორჩილაძე ლ.
10. გობეჯიშვილი
11. მაკაროკი.
12. ჩოდრიშვილი გ.
13. ტერვართანოვი.
14. ენუქიძე ლ.
15. რონზანი.
16. გელაშვილი.
17. იტრიევი ვ.
18. კიკნაძე ა.
19. მახხულია.
20. იუსუფოვი.
21. ბექუზაროვი.
22. ცუცქირიძე.
23. მაჭავარიანი.
24. ლაგვიძე.
25. ქებაძე.
26. ცინცაძე პ.
27. ლომიძე.
28. ტიგიშვილი არ.
29. ლომთათიძე.
30. ლუჩანსკაია.
31. რთველაძე.
32. ვარძიელი ი.
33. ოკუჯავა ნ.
34. სტანსკი.
35. ტაგიძე.
36. ბაკოვი.

კანდიდატები

1. ბიბინეიშვილი ლ.
2. გურგენიძე.
3. ფირცხალავა ივ.
4. ზერბიჟაშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრები

1. ათოევი.
2. ვარლამოვი.
3. რამიშვილი.
4. ესაიანი
5. იოსელევიჩი.
6. ნიკიტინი.
7. ვაშაკიძე.

დელეგატები პარტიის საკავშირო ყრილობაზე

პარტიის სრულიად საკავშირო ყრილობაზე არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: სტალინი, ორჯონიკიძე, ა. ენუქიძე, ელიავა, ქართველიშვილი, კახიანი, ოკუჯავა, ნაზარეტიანი, ყურულიშვილი, ასრიბეკოვი, ფანცულაია, ქავთარაძე, აკოპოვი, კოსტანიანი, ულენტი, ლორთქიფანიძე, ვარამაშვილი, კირვალიძე, კვირიკაძე, რატნეკი ქურდაძე.

სათათბირო ხმით ამავე ყრილობაზე არჩეული არიან: დარახველიძე, ივანოვ-კავკაზსკი, ბერია და კვეზაძე.

იაპონიის ჩარევა ჩინეთის საქმეებში

მუკდენი იაპონელებმა დაიკავეს.—ჩან-ძო-ლინის მცველების დაპატიმრება

ჩან-სუ-ლიანი დანიშნულია ყველა კონტრ-რევოლიუციონური ძალების უფროსად

გო-სუნ-ლინმა სასტიკად დაამარცხა ჩან-ძო-ლინის ჯარები

იაპონიას განზრახული აქვს 80.000 ჯარისკაცის გადმოსხმა მანჯურიაში

მუკდენი იაპონელების ხელში

პეკინი, 2 დეკემბერი. მუკდენი იაპონელების ხელშია. ყოველგან მოსჩანან იაპონელთა პატრულები. ჩან-ძო-ლინის პირადი მცველები დატუსაღებული არიან, თითქოს, მისი დაპატიმრების განზრახვ-სათვის. ახლად დანიშნულ მცველებში შედიან იაპონიის ჟანდარმები. სასახლის დაცვის საქმეც იაპონელების ხელშია.

იაპონიის ხიშტებზე

პეკინი, 2 დეკემბერი. ჩან-ძო-ლინის შვილი ჩან-სუე-ლიანი დანიშნულ იქნა „ყველა ანტი-რევოლიუციონურ ძალების მთავარ-სარდლად".

ჩან-ძო-ლინთან გამართულ თათბირზე მიღებულია დადგენილება მანჯურიის დაცვის საქმის იაპონელთათვის გადაცემის შესახებ. ამ მიზნისათვის იაპონელებს გამოჰყავთ 80.000 ჯარისკაცი.

თათბირზე მონაწილე იაპონიის გენერლები მოითხოვდნენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის დაცვის გადაცემას იაპონიის ჯარებისათვის.

ეს წინადადება ჯერ-ჯერობით მიუღებელი დარჩა.

საერთო განწყობილება, მუკდენშიაც კი, ჩან-ძო-ლინის საწინააღმდეგოა. ყველაფერი იაპონიის ხიშტებზეა დამყარებული.

გო-სუნ-ლინი მოითხოვს ნეიტრალიტეტს იაპონიისაგან

ტოკიო, 4 დეკემბ. ტოხოს სააგენტო იტყობინება, რომ გენერალ გო-სუნ-ლინმა მიმართა იაპონიის ელჩს ჩინეთში თხოვნით, რათა იაპონიამ დაიცვას ნეიტრალიტეტი ომში, რომელსაც ის აწარმოებს ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ. გო სუნ ლინი თავის მხრივ დაპირებას იძლევა, რომ სრული პატივისცემით მოეპყრობა იაპონიის ინტერესებს მანჯურიაში.

ჩან-ძო-ლინმა დაჰკარგა იაპონიის თანაგრძნობა

ტოკიო, 4 დეკემბ. იაპონიის სამხედრო მინისტრმა უგაკიმ პრესას წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის გო-სუნ-ლინს სთვლის ახალ ბელადათ, რომელიც შესძლებს ჩინეთის დაწყნარებას და მისი საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემდეგ უგაკიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩან-ძო-ლინმა დაჰკარგა იაპონიის სიმპატია. იაპონიას არ შეუძლია უკვე მოიწონოს ჩან-ძო-ლინის მილიტარისტული ზრახვები.

გო-სუნ-ლინს უარი უთხრეს.

ტოკიო, 4 დეკემ. გაზეთების ცნობით, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა დასტოვოს უყურადღებოთ გო-სუნ ლინის დეპეშა იაპონიის ელჩისადმი

გო-სუნ-ლინმა დაამარცხა ჩუან-სუე-ლიანი

ტოკიო, 4 დეკემბ. გაზეთი „ასახი" იტყობინება, რომ გო-სუნლინმა დაამარცხა ჩუან-სუე-ლიანის ჯარები, რომელნიც მუკდენისაკენ იხევენ.

„ბოლშევიზმის პროპაგანდისათვის".

ხარბინი, 4 დეკემბ. ხელ-ახლა გამოვიდა გაზეთი „ეხო", რომელიც აკრძალული იყო პოლიციის მიერ „ბოლშევიზმის პროპაგანდისათვის".

ნეჩაევის ბანდების ნაშთები.

ხარბინი, 4 დეკემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ხარბინელი კორესპონდენტი იტყობინება რომ სუნ-ჩუან-ფანის მიერ დამარცხებული ნეჩაევის ბანდების ნაშთები მოვიდნენ მუკდენში ერთი ნაწილი გაემართა მონღოლეთისაკენ ცარცვა-გლეჯის მიზნით. ნეჩაევი გამოცვლილ იქნა ჩინელების მიერ, რადგან მას ბრალდებოდა მოლაპარაკების წარმოება იარაღის დაყრის შესახებ. თეთრგვარდიელთა ბრიგადა ივსება ახალი ძალებით.

ჩხრეკა რკინისგზელთა პროფკავშირში.

ხარბინი, 4 დეკემბერი. ჩინეთის პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზელთა პროფკავშირში.

თუმცა არაფერი საეჭვო არ ყოფილა ნახული, მიუხედავათ ამისა **დამტკიცებული იქნა 15 კაცი.**

საბჭოთა ნავთის მეტოქეობის ეშინიათ

ლონდონი, 4 დეკემბ. კონსერვატორი არტურ ხოლბრუკი შეეკითხა თემთა პალატაში ვაჭრობის მინისტრს—იცის თუ არა მან, რომ 1921 წლის ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა მთავრობის აგენტების მიერ ლონდონში დაარსებული კომპანია ჰყიდის გაწმენდილ ნავთს, დამზადებულს რუსეთში ინგლისელ მოქალაქეთაგან ჩამორთმეული ნავთის მრეწველობაში. ნავთი იყიდება დაკლებულ ფასებში, და ეს გარემოება საფრთხეში აგდებს შოტლანდიის ნავთის მწმენდავ მრეწველობას, რომელშიაც ჩაბმულია შოტლანდიის მუშათა დიდი ნაწილი. ხოლბრუკმა იკითხა—ხომ არ მიაჩნია საჭიროდ მინისტრს მიიღოს ამ კონკურენციის საწინააღმდეგო ზომები.

ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელი ჩადვიკი დაეთანხმა შემკითხველს შეკითხვის პირველ ნაწილში და დაუმატა, რომ არ არის საბუთი ვიფიქროთ, ვითომც ინგლისის ბაზარზე შემოტანილი გაწმენდილი ნავთის რაოდენობა იმდენათ დიდია, რომ ამით შოტლანდიის ნავთის მწმენდავ მრეწველობას საშიშროება მოელის.

რაც შეეხება საკითხის მეორე ნაწილს, ჩადვიკმა უპასუხა, რომ სამინისტროს არა აქვს მინიჭებული უფლება საბჭოთა კავშირის ნავთის პროდუქტის გაყიდვას ხელი შეუშალოს.

ტერორი რუმინეთში

დობროჯანუ-გერია ბესარაბიელ აჯანყებულ გლეხების საქმეზე გამოტანილ განაჩენის შესახებ

მოსკოვი, 5 დეკემბ. ბესარაბიელ აჯანყებულ გლეხების საქმეზე გამოტანილ განაჩენის შესახებ, რუმინეთის კომპარტიის წევრმა დობროჯანუ-გერიამ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„სასამართლომ მოგვცა უსირცხვილო პროვოკაციის, ველური წამებისა და უიარაღო ტუსაღების მასსიური დახვრეტის ნათელი სურათი. გმირული სიმტკიცე [illegible] გლეხ[illegible]ისა, რომლებიც ვერ შეაშინა სასამართლოს მუქარამ და ხრიკებმა და რომელნიც პროცესის დროს გაბედულ ბრალდებებს ესროდენ რუმინეთის მთავრობას, აშკარად გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია განთავისუფლების სურვილი ბესარაბიელ გლეხებში".

[illegible] [illegible] ფაშისტურ პარლამენტში

რომი, 4 დეკემბ. იტალიის პარლამენტში მოხდა შეხლა-შემოხლა ფაშისტ დეპუტატ ბერბოლინსა და კომუნისტ რეპოსსის შორის. სხდომის შემდეგ კულუარებში ბერბოლინი შეხვდა რეპოსსის და დაუწყო ლანძღვა-გინება. ბერბოლინის წამოეშველა რამდენიმე ფაშისტი და რეპოსსის მაგრათ სცემს.

გერმანიის ამბები

მოსალოდნელია მთავრობის გადადგომა

ბერლინი, 4 დეკემბ. მთავრობის მოსალოდნელ გადადგომის გამო დაიწყო მოლაპარაკება დემოკრატებსა და ცენტრის პარტიის შორის. უკანასკნელები მოითხოვენ ფართო კოალიციას გერმანიის სახალხო პარტიასთან.

სამრეწველო კრიზისი

ბერლინი, 4 დეკემბერი. კრუპის ქარხნების ადმინისტრაციამ გადასწყვიტა შეამციროს მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 24.000-დან 10,000 კაცამდე. კონცერნის „ედინსტეი"-ს აქციონერების კრებამ (ამ კონცერნის ხელშია მრავალი ნახშირის მაღაროები რეინის პროვინციაში), გადასწყვიტა საბოლოოდ შეაჩეროს მუშაობა.

ახალ-ახალი წარმოებების თანდათანობით დახურვა დიდ წინააღმდეგობას იწვევს მუშების მხრივ.

კომპარტიამ შეიტანა რეიხსტაგში წინადადება, რათა საზოგადოებრივ სამუშაოებთან ერთად დანიშნული იქნან განსაკუთრებული კომისიები დაინტერესებულ პროფკავშირების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენლების შემადგენლობით. ეს კომისიები კანტროლს გაუწევენ წარმოებების დახურვას და მუშების დათხოვნას. კომფრაქციის პროექტის თანახმად. ამ კომისიებმა, იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლები უარს იტყვიან მუშაობის განგრძობაზე, უნდა მოახდინონ წარმოებების ნაციონალიზაცია მეპატრონეთა დაუჯილდოვებლათ.

დეე გადასწყვიტოს პლებისციტმა.

ბერლინი, 4 დეკემბერი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა ღია წერილი სოციალ დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმის, პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანების, მოსამსახურეთა სრულიად გერმანიის კავშირ-ს აღმასკომებისა და ყოფილ ჯარისკაცთა კავშირის და „რესპუბლიკანურ დროშა" ის კავშირის ხელმძღვანელ ინსტანციებისადმი. წერილი წინადადებას აძლევს მათ გადასდგან შეთანხმებული ნაბიჯი იმ მიზნით, რათა გატარდეს პლებისციტი იმ საკითხის გადასაჭრელათ, რომელიც ეხება გერმანიის მეფის გვარეულობისათვის ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების—მიცემას.

უმუშევრობა პოლონეთში

ვარშავა, 4 დეკემბ. 15 ნოემბრისათვის უმუშევართა რიცხვი პოლონეთში უკანასკნელ რეგისტრაციასთან შედარებით გაიზარდა 13,000 კაცით.

ოფიციალური ცნობის მიხედვით, რეგისტრაციაში გატარებულ უმუშევართა რიცხვი აღწევს 231.000-მდე.

გენერალ მაზნიაშვილის მოხსენება*)

სრულიად საიდუმლოდ

1923 წლის 15 აგვისტოს მე გავემგზავრე თბილისიდან სპარსეთში, სადაც ვცხოვრობდი დაახლოვებით სამ თვემდე ქ. თეირანში შემდეგ კი ჟორდანიას მთავრობის მიერ გამოგზავნილ ფულით მე ჩამოვედი პარიზში. ჩამოსვლის თანავე დაუყონებლივ გავაცანი მე საქართველოს მდგომარეობა მთავრობის წევრებს და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს. მე ვუამბე მათ იმ იმედების შესახებ, რომელსაც ამყარებენ საქართველოში ემიგრაციაზე. იმ შემთხვევაში თუ აჯანყება მოხდა, იმედი აქვთ, რომ აქედან დახმარებას მიიღებენ.

გავეცანი რა აქ იმ მუშაობას, რომელსაც ეწეოდა ჟორდანიას მთავრობა და დავინახე რა, რომ უცხოეთის მთავრობათა დახმარების არავითარი იმედი არ არის და არც შეიძლება არსებობდეს, მე გადაჭრით განვაცხადე, რომ საქართველოში აჯანყების მოწყობის ყოველივე ცდა დამარცხებით გათავდება; ის გამოიწვევს სისხლისღვრას და ავანტიურათ გადაიქცევა.

როცა 1924 წლის მაისში მე გავიგე, რომ საქართველოში დაპატიმრებული არიან ჯუღელი და ჩხიკვიშვილი, მე ამან ძალიან გამაკვირვა და ეს საშიშრადაც მომეჩვენა შემდეგ მოსაზრებათა გამო: ჯერ კიდევ მათი აქედან გამგზავრებამდე მე მთავრობის წევრების დავალებით ვეწვიე საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს მეორე განყოფილებას და გავაცანი პოლკოვნიკ ფურნიე იმ ინფორმაციას საქართველოში არსებულ მდგომარეობის შესახებ, რომელიც მთავრობის წევრებს მოეპოებოდათ.

პოლკოვნიკ ფურნიემ მიმითითა მე რუკაზე და მითხრა: „აი, ვეებერთელა რუსეთი და აი, თქვენი პატარა საქართველო—შეგიძლიათ თუ არა თქვენ თქვენი პატარა ძალებით სძლიოთ ის. საფრანგეთის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის და საშინაო მდგომარეობის გამო ჩვენის მხრით არავითარ დახმარებაზე არ უნდა იქონიოთ იმედი". მე სრულიად ვეთანხმებოდი მას.

ჩვენი საუბრის შესახებ მე მაშინვე ვაცნობე მთავრობის წევრებს და კერძოდ რამიშვილს და ჯუღელს, რომლებიც ყველაზე უფრო განწყობილი იყვნენ საომრათ. ჯუღელი და ჩხიკვიშვილი მაინც წავიდნენ, მალე გაემგზავრა რამიშვილიც.

ჩხიკვიშვილის ჩავარდნის შემდეგ თბილისის გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ჟორდანიას წერილი, სადაც ის სახელმძღვანელო გეგმას ავითარებდა საქართველოს ანტისაბჭოთა ძალების სამოქმედოთ, და რომლის თანახმად საქართველო უნდა აჯანყებულიყო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აჯანყებული მთიულები და აზერბეიჯანელები გაიმარჯვებდნენ.

აღნიშნულმა წერილმა დიდი აღელვება გამოიწვია ემიგრაციაში და ჟორდანიამ იმ დროს დაბრუნებულ რამიშვილის საშუალებით განაცხადა, რომ ხსენებული წერილის გაგზავნა მას არ ახსოვს. რამიშვილმაც კერძო საუბარში დაარწმუნა, რომ აჯანყებაზე დღეს ლაპარაკიც არ შეიძლება, ასეთი რამ რომ მზადდებოდეს, მე არ დავბრუნდებოდიო. მაგრამ მიუხედავათ ყოველგვარი რწმუნებისა, აჯანყება მოხდა. არა მარტო ჩემთვის, არამედ ემიგრაციის და პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეთა უმრავლესობისათვისაც იგი სრულებით მოულოდნელი იყო. რამიშვილის შუაბაში ჩაატარა თავისი მუშაობა საიდუმლოთ და მე მხოლოდ აჯანყების შემდეგ გავიგე, რომ მან იმოგზაურა [illegible] საქართველოდან გამოგზავნილ ნი[illegible] და მისცა მას აჯანყებაზე საზღვარგარეთელ ცენტრის თანხმობა.

ჯერ კიდევ ივლისის მიწურულში რუს მონარქისტებთან ახლო მდგომ წრეებიდან მე შემატყობინეს, რომ საქართველოში მზადდებოდა აჯანყება და რომ მათ გარკვევით იციან, რომ ხოპით იარაღს ეზიდებიან. ამ ცნობების შესახებ დაუყოვნებლივ ვაუწყე მთავრობას და რამიშვილმა კვლავ კატეგორიულად დაადასტურა, რომ ეს ცნობები ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და რომ, პირიქით, მთავრობას არ გააჩნია ფული მიმდინარე საჭიროებისათვის. მაგრამ აჯანყებამ იფეთქა. სტამბოლიდან და ოსმალეთის სანაპირო პუნქტებიდან მენშევიკების ემისარებმა აფრინეს დეპეშები აჯანყების საყოველთაო ხასიათის შესახებ. მთავრობის დავალებით მე გავემგზავრე სტამბოლში 20 დეკემბერს. იქ ჩასვლისას მალე გავერკვიე მდგომარეობაში და დავინახე სურათი აშკარა და მოუფიქრებელ პროვოციისა, რომელმაც ქართველი ხალხი იქნა გახვეული.

მე დავბრუნდი პარიზში, ამ დროიდან არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს ჟორდანიის მთავრობის მოღვაწეობასთან. მე დამავიწყდა ზევით აღმენიშნა, რომ საზღვარგარეთ ჩემი ყოფნის განმავლობაში მთავრობის დავალებით ორჯერ მომიხდა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თან შეხვედრა. პირველად —სპარსეთიდან დაბრუნებისას მე გადმომცეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მიერ ჩემი ნახვის სურვილი; მე მას ვეწვიე და ჩვენს საუბარს ჰქონდა წმინდა ინფორმაციული ხასიათი.

მეორეთ მე ვინახულე ის კონსტანტინოპოლში წასვლის წინ, 1924 წლის 18 სექტემბერს. მე გადავეცი მას ის ცნობები, რომლებიც ჩვენ გვქონდა საქართველოში მიმდინარე ამბების შესახებ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ არ მოიწონა ეს მოქმედება და მწუხარება გამოსთქვა, რომ ქართველი ხალხი ძალიან ბევრ მსხვერპლს გაიღებს უსწორო ბრძოლაში და რომ მას არ მიაჩნია მიზანშეწონილად აჯანყება, რადგან სეპარატიული გამოსვლით საქართველო ვერაფერს გახდებაო; ამასთან ერთად მან წინადადება მომცა, თუ მე ვსაჭიროებ, ის მოახდენს განკარგულებას, მომცენ მე განსაზღვრული თანხა. მე დაუყოვნებლივ ვაცნობე მთავრობას ამის შესახებ და ამ მთავრობის დასტურით მივიღე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ხაზინიდან ათი ათასი ფრანკი ჩემ წასასვლელად კონსტანტინოპოლში.

ზემოთქმულიდან სრულიად ნათელია ჩემი როლი საქართველოში მომხდარ ამბებში; მე არა თუ ვინაწილებდი ამ აჯანყების ინიციატორების თვალსაზრისს, არამედ ღრმათ ვიყავი აღშფოთებული როდესაც გავიგე, რომ რამიშვილის თანამებრძოლები უტიფრად სარგებლობდნენ ჩემი სახელით და ავტორიტეტით და ხალხს ატყუებდნენ: გენერალი მაზნიევი დატვირთული გემებით დესანტს ამზადებს საქართველოს სანაპიროებთანო; ხოლო აჯანყების დამარცხების შემდეგ თავის გასამართლებლათ ხმა გაავრცელეს, რომ მე თითქოს მე ბოლშევიკებს გაუმჟღავნე აჯანყების გეგმა. თავის დროზე მე პროტესტი განვაცხადე ამ საზიზღარი ხმების წინააღმდეგ და ჟორდანიას მთავრობამ ოფიციალურათ შემატყობინა, რომ მათ მიერ მიღებულია სათანადო ზომები ამ ხმების გასაბათილებლად. მაგრამ მე დღემდე არ ვიცი, იცის თუ არა ქართველმა ხალხმა იმის შესახებ, რომ ის მოატყუეს ჩემის სახელით და არ არსებული დესანტით.

თუ ამას საჭიროება მოითხოვს, მე მზადა ვარ ყოველგვარი ახსნა-განმარტება მივსცე საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას ჩემი მოღვაწეობის შესახებ საზღვარ-გარეთ.

გიორგი ივანეს ძე მაზნიაშვილი.

პარიზი, 12 სექტემბერი 1925 წ.

---

*) ეს დოკუმენტი გამოაქვეყნა გუშინ საღამოს ამხ. სერგო ორჯონიკიძემ თავის მოხსენების დროს ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეოთხე ყრილობაზე. ამ დოკუმენტს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით **რედაქცია.**

მუშათა დელეგაციები საბჭ. კავშირში

ვენა, 4 დეკემბერი. ავსტრიის მიწა ტყის მუშების კავშირის ოლმერსდორფის სექციამ დაავალა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს დასვას კავშირის მომავალი კონგრესის დღის წესრიგში საკითხი საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის შესახებ.

ცეკას უარყოფითი პასუხის გამო, **ოლმერსდორფის სექციის კრებამ დაავალა დელეგატებს აღძრან ეს საკითხი კავშირის კონგრესზე.**

ავსტრიის მსხვილ საწარმოო ცენტრის—შტეირის—მუშების კრებაზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის შესახებ. დელეგაციის გამგზავრების მოსაწყობათ არჩეულია კომისია, რომელშიაც შედიან 5 კომუნისტი და 5 სოც. დემოკრატი.

შტეირის ერთ-ერთ საქარხნო კომიტეტის წარმომადგენელმა სოციალ-დემოკრატმა განაცხადა, რომ ავსტრიის სოც. დემოკრატიული პარტიის ცეკამ აირჩია ავსტრიის პროფკავშირების დელეგაცია საბჭოთა კავშირში გასაგზავნათ „საინსპექციო" მიზნით.

მოსკოვის საბჭოს დელეგაცია პარიზში

პარიზი, 4 დეკემბ. პარიზში ჩავიდა მოსკოვის საბჭოს დელეგაცია ლიუბიმოვის, კლიმოხინის, პოპოვის, საფრონოვის, ქმიხოვის და წივწივაძის შემადგენლობით **დელეგაცია მიღებულ იქნა მინისტრ დე-მონზის მიერ.**

დელეგაცია გაეცნო პარიზის საქალაქო მეურნეობის მდგომარეობას წყალსადენის და კანალიზაციის დარგში და ინახულა პარიზის მთავარი ბაზრები.

ნოემბრის ბოლოში დელეგაცია გაემგზავრა ლიონში და ბორდოში.

გერმანელ მუშა დელეგატების წერილი

ლენინგრადი, 5 დეკემბ. [illegible] კავშირმა მიიღო წერილი გერმანიის მუშათა დელეგაციის ერთი ჯგუფისაგან, რომელმაც ზაფხულზე ჩამოვიდა ლენინგრადში ქარხანა „კრასნი პუტილოვეც"-ის მოპატიჟებით.

წერილში გერმანელი ამხანაგები იუწყებიან, რომ ძალიან დიდ სიძნელეს წარმოადგენს მიუნხენში კომუნისტური გაზეთის გამოცემა. წერილთან დართულია ამას წინად გამოცემული დელეგაციის ანგარიში, რომლის სათაურია „სიმართლე საბჭოთა რუსეთის შესახებ". **ანგარიშში მოთავსებულია დელეგაციის წევრთა ფიცი ლენინის საფლავთან.**

ფიცი თავდება შემდეგი სიტყვებით: **„ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი საქმე სცოცხლობს".**

მდგომარეობა საფრანგეთში

„სოციალისტებმა" იხსნეს ბრიანის მთავრობა

პარიზი, 4 დეკემბ. დეპუტატთა პალატაში დამატებით 7 ნახ. მილიარდი ქაღალდის ფრანკის გამოშვების საკითხისათვის კენჭის ყრის დროს სამინისტრო გადარჩა იმის გამო, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებისაგან თავი შეიკავა 42 სოციალისტმა, წინააღმდეგ ფრაქციის გადაწყვეტილებისა.

ფაქტიურად არც ერთი პოლიტიკური პარტია არაა კმაყოფილი პროექტით.

„იუმანიტე" იუწყება, რომ გუშინ ბირჟაზე ადგილი ჰქონდა პანიკას.

ლუნაჩარსკი პარიზში

პარიზი, 4 დეკემბ. ლუნაჩარსკი ჩავიდა პარიზში.

(დეპეშების გაგრძელება მე-5 გვერდზე)

საერთაშორისო მიმოხილვა

ლოკარნოს გარშემო

პრესაში და პოლიტიკურ წრეებში კვლავ ახმაურდნენ ლოკარნოს ხელშეკრულების გარშემო, მისი ამასწინად ლონდონში მომხდარ დამტკიცებასთან დაკავშირებით. ჩემბერლენისათვის (ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი) ეს აქტი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ვერსალის „ზავ-ს" შემდეგ, გადადგმული ვითომ მსოფლიო მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ. ბრიანი (საფრანგეთის პრემიერი) ეძლევა ხელოვნურ სიხარულს და ლოკარნოში თვალთმაქცურად აღიარებს, რომ ლოკარნოს შემდეგ, „იწყება ახალი ხანა, ევროპისათვის". „ლოკარნოს ხელშეკრულებაში,—სთქვა შტრეზემანმა (გერმანიის გარ. საქ. მინისტრი), მე ვხედავ მტკიცე საფუძველს მომავალი საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცებისათვის"; მიმართა რა ბრიანს, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ევროპის ბედი ერთია მათთვის და „გულაჩუყებულმა" დასძინა: „თუ დავიღუპებით, დავიღუპებით ყველანი ერთად". გერმანიის ს.-დემოკრატიის პრესაც აღფრთოვანებულია ლოკარნოს ხელშეკრულებით. „ფორვერტს" კვერს უკრავს ბრიანს და წერს ახალი ხანის დასაწყისზე, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ თურმე უნდა იკისროს გერმანიის გადაქცევა დემოკრატიულ სახელმწიფოთა იდეურ ხელმძღვანელად.

ასეთია ბურჟუაზიულ დიპლომატების და მოღალატე სოციალისტების ოფიციალური დამოკიდებულება ლოკარნოსადმი. მათი მიზანია ევროპის „საზოგადოებრივი აზრის" მოტყუება და სამშვიდო ილიუზიების შექმნა.

ნამდვილად რაში მდგომარეობს ლოკარნოს აზრი და მიზნები? ლოკარნო არის, პირველ ყოვლისა, ვერსალის გაგრძელება. ვერსალის „ზავმა" ზავი ვერ დაამყარა ევროპაში. ექვს წელიწადნახევარი გავიდა ვერსალის ხელშეკრულების დადებიდან, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა ბურჟუაზიულ დასავლეთის განკურნება მსოფლიო ომით მიყენებულ ჭრილობებისაგან. დამარცხებულთა შესახებ ხომ ზედმეტია ლაპარაკი, მაგრამ „გამარჯვებულნიც" არსებითად პირველთა მდგომარეობაში აღმოჩნდენ. კაპიტალიზმის ნაწილობრივი და დროებითი სტაბილიზაციის გვერდით, ჩვენ ვხედავთ ღრმა ეკონომიურ და სოციალურ კრიზისს ევროპაში. ინტერესთა წინააღმდეგობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის ვერსალის ნიადაგზე სულ უფრო მწვავდება, რაც ნიადაგს უმზადებს ახალ-ახალ სამხედრო კონფლიქტებს და შეუძლებელს ხდის მშვიდობიან აღმშენებლობას. ლოკარნოს მისი ნამდვილი სულის ჩამდგმელები აკისრებენ იმ საქმის რაოდენიმეთ მაინც განხორციელებას, რომელიც ვერსალმა ვერ მოახერხა, ევროპის ქვეყნების შორის შეტაკების თუ გინდ დროებით აცილებას და პირობების შექმნას მათი ეკონომიურ და პოლიტიკურ თანამშრომლობისათვის.

ჩვენ ვიცით, თუ ვინ არიან ეს სულის ჩამდგმელები. პირველ რიგში აქ დგას ამერიკა, თუმცა იგი ოფიციალურად სულ არ სჩანდა ლოკარნოში. მხოლოდ ერთად ერთი ამერიკა გამოვიდა მსოფლიო ომიდან გამდიდრებული. მან ევროპა ოქროსგან დასცალა. მის ბანკებში დაბანდებულია მსოფლიო ოქროს მარაგის 50 პროც. ამერიკისადმი დავალიანებულია ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო. იგი პირველი სამრეწველო ქვეყანაა მსოფლიოში. ის ეძებს ბაზარს თავისი თავისუფალი კაპიტალისა და ნაწარმოებისათვის. იგი მოითხოვს ვალების განაღდებას. მისი მიზნისათვის. პირველ ყოვლისა, საჭიროა მშვიდობიანობის უზრუნველყოფა ევროპაში, რათა შესძლოს მისგან ვალების აღება და იქ თანხების დაბანდება. ევროპა ვარდება ამერიკის დამოკიდებულებაში, ის მიმართულებას აძლევს ევროპის პოლიტიკას.

ამერიკისაგან ევროპის დაპყრობის პირველ ნაბიჯია დაუესის გეგმის გატარება გერმანიაში. ლოკარნოს ხელშეკრულების მიზანია არა მარტო ამ გეგმის უზრუნველყოფა, არამედ დანარჩენ ევროპის, პირველ ყოვლისა, საფრანგეთის „დაუესიზაცია". ამ შემთხვევაში ამერიკა მოქმედობს ინგლისთან შეთანხმებით. თუმცა ინგლის-ამერიკის ინტერესები ძირითადათ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს,—ამერიკის გაძლიერება ინგლისის დაქვეითებას ნიშნავს, მეორემ, კარგა ხანია, პირველს დაუთმო მსოფლიო ჰეგემონის როლი,—მაგრამ ინგლისის მესვეურებს ამერიკასთან პირდაპირი შებმით ხეირი არ ელაყრებათ; ისინი იძულებული არიან კუდში მისდიონ ამერიკას, რათა ამით რამოდენიმედ მაინც განამტკიცონ თავისი ბატონობა, შეანელონ თავისი იმპერიის დაშლის პროცესი. ამერიკის დახმარებით ლოკარნოში ინგლისს წილად ხვდა მნიშვნელოვანი გამარჯვება. ინგლისის ანგარიშში არ შედის საფრანგეთის გაძლიერება, როგორც ევროპის კონტინენტზე, ისე მით უფრო აღმოსავლეთში. მოღონიერებული საფრანგეთი დაემუქრებოდა ინგლისის კოლონიალურ ბატონობას და შეასუსტებდა მის პოზიციებს ევროპაში. ამით აიხსნება, რომ ინგლისის პრესა ასე ფართო ინფორმაციას აწვდის მკითხველს საფრანგეთის დამარცხებაზე მაროკოსა და სირიაში. ამით აიხსნება, რომ ლოკარნოში ის შეეცადა საფრანგეთის მოქცევას თავის გავლენის სფეროში და კიდეც შეასრულა თავისი განზრახვა. ლოკარნომ ინგლისი გადააქცია ბურჟუაზიულ ევროპის ჰეგემონად. თუ წინად საფრანგეთი აწარმოებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას გერმანიის მიმართ და პოლონეთისა, ჩეხო-სლოვაკიისა და სხვებთან კავშირით ცდილობდა ევროპაში ხელმძღვანელი როლის თამაშს, დაუესის გეგმის, განსაკუთრებით ლოკარნოს შემდეგ, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად ინგლისი შეიქნა გერმანიისაგან საფრანგეთის საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტი, „მომრიგებელი შუამავალი" საფრანგეთ-გერმანიას შორის. ამით საფრანგეთმა დაკარგა დამოუკიდებელი საერთაშორისო პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა და ინგლისისაგან გახდა დამოკიდებული, იგი ჩამოქვეითდა მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს დონემდე. ამიტომ, ცხადია ბრიანს არაფერი აქვს სასიხარულო.

ლოკარნოდან გერმანია უფრო დამარცხებული გამოვიდა. ერთა ლიგაში შესვლით მას უფრო მეტად წაერთვა საშუალება საკუთარ საერთაშორისო პოლიტიკის გატარების და ბრმა იარაღად იქცა ლიგაში გაბატონებულ ინგლისის ხელში.

და აქ ჩვენს წინაშე იშლება საკითხი საბჭოთა კავშირისათვის ლოკარნოს მნიშვნელობის შესახებ. როგორც ვიცით, ინგლისი დიდი ხანია რაც აწარმოებს ჩვენი გარემოცვის პოლიტიკას, ცდილობს შექმნას ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტი. ამ მხრივ გერმანიის შეყვანა ერთა ლიგაში წარმოადგენს მის უკანასკნელ ნაბიჯს. ლოკარნოში ჩამარხულია შესაძლებლობა გერმანიის გამოყენებისა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. გერმანიას, როგორც ლიგის წევრს, ეკისრება ლიგის წესდების მე-16-ე მუხლის საფუძველზე, მიიღოს მონაწილეობა ამ დაწესებულების სამხედრო ოპერაციებში და ეკონომიურ ღონისძიებებში ამ თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ცხადია. რომ ეს მუხლი მიმართული იქნება, პირველ ყოვლისა, საბჭოთა ქვეყნების ინტერესების საზიანოდ, როცა ინგლისი ამისათვის ხელსაყრელ მომენტს დაინახავს. თუმცა შტრეზემანმა განაცხადა ამ დღეებში „პტი ჟურნალი"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს: „როგორც რაპალოს ხელშეკრულება არ მოასწავებდა გადასვლას საბჭოთა კავშირის მხარეზე დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ, ისე ლოკარნოს ხელშეკრულება არ ნიშნავს გერმანიის გადასვლას დასავლეთის სახელმწიფოების მხარეზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ", მაგრამ ეს შედარება კრიტიკას ვერ უძლებს. ჯერ ერთი, ლოკარნო, როგორც ვსთქვით, განსაზღვრულ ვალდებულებებს აკისრებს გერმანიას (ერთა ლიგის მე-16-ე მუხლი), ლოკარნო არაფერ ამის მსგავს არ შეიცავს. შემდეგ: გერმანია შევიდა იმ სახელმწიფო „ოჯახში", რომელთა ხელმძღვანელები აშკარა იმპერიალისტურ მიზნებს ისახავენ საბჭოთა კავშირის მიმართ და ამისათვის კიდეც შეეცდებიან მის გამოყენებას, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი, რა მტკიცება უნდა, ასეთი ზრახვებისაგან შორსაა და გერმანიამ კიდეც რომ მოინდომოს მისი მიმხრობა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ, აქედან არაფერი გამოვა, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა მოწადინებულია ყველასთან დაამყაროს მშვიდობიანი დამოკიდებულება. ესეც არ იყოს, ჩვენ გვახსოვს შტრეზემანის შემდეგი განცხადება რეიხსტაგში: „ჩვენ გვაქვს უფლება შევინარჩუნოთ ნეიტრალიტეტი. მაგრამ თუ გამოირკვა, რომ ერთი რომელიმე სახელმწიფო თავდამსხმელია, მაშინ საქმე სხვანაირად დატრიალდება". მაშასადამე, ერთა ლიგის (მასში გაბატონებულ სახელმწიფოების) საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის შემთხვევაში, გერმანიამ შეიძლება ვერ დაიცვას ნეიტრალიტეტი და ლიგის კარნახით იმოქმედოს. ჩვენ ზედმეტათ მიგვაჩნია იმის განმარტება, თუ ვინ იქნება „თავდამსხმელი სახელმწიფო". ვინიდან ამის გამორკვევის უფლებას ითვისებს ერთა ლიგა, იგი, ცხადია, საბჭოთა კავშირს გამოაცხადებს თავდამსხმელ მხარედ (კონფლიქტის დროს).

ამგვარად, ლოკარნო ნიშნავს ამერიკისა და ინგლისის გაბატონებას ევროპაში, საფრანგეთის და გერმანიის უფრო შესუსტებას და მათი საერთაშორისო პოლიტიკის გავლენის სფეროში მოქცევას, ინგლის-საფრანგეთს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავებას, ამერიკის კაპიტალის მიერ ევროპის დაპყრობის გაგრძელებას, რასაც მოჰყვება მუშათა კლასის ორმაგი ექსპლოატაცია („მშობლიურ" და ამერიკულ კაპიტალის მიერ) და სოციალურ ბრძოლის გამწვავება; ლოკარნო, შემდეგ, მიასწავებს გერმანიის ჩაბმის ცდას ანტისაბჭოთა კოალიციაში.

ასეთია „მშვიდობიანობის ახალი ხანა", რომელიც დაიწყო ევროპისათვის ლოკარნოში.

ერთა ლიგა და საბჭოთა კავშირი

ლოკარნოსთან დაკავშირებით ევროპაში ბევრს ლაპარაკობენ ამ ბოლო დროს ერთა ლიგასთან საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაზე. საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხში დიდი ხანია გარკვეულია. ჯერ კიდევ გენუის კონფერენციაზე (1922 წ.) ამხ. ჩიჩერინმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც დახასიათებული იყო ერთა ლიგის ნამდვილი ბუნება, როგორც ისეთი ორგანიზაციის, რომელიც შექმნილია მსოფლიო ომში გამარჯვებულთა მიერ თავის ნადავლის შესანარჩუნებლად და დამარცხებულ, მცირე და კოლონიალურ ხალხებზე თავისი ბატონობის განსამტკიცებლად. დეკლარაცია კატეგორიულად უარჰყოფდა ასეთ ორგანიზაციაში საბჭოთა სახელმწიფოს შესვლის შესაძლებლობას. ამის შემდეგაც, შეცვლილი საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით, ლიგის მესვეურებს არა ერთხელ წამოუყენებიათ პირდაპირ თუ მიკიბ-მოკიბვით საკითხი საბჭოთა კავშირის შესვლის შესახებ ამ „პატივცემულ" ორგანიზაციაში. მაგრამ ჩვენი პოზიცია ოდნავადაც არ შეცვლილა, ის გადაჭრით უარყოფითი იყო.

დღეს გერმანიის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა ისევ აღუძრა მათ იმედი საბჭოთა კავშირის მიზიდვისა ერთა ლიგაში, ევროპის პრესა დაჟინებით ავრცელებს ხმებს, თითქო საბჭოთა მთავრობას განზრახვა ჰქონდეს ლიგის წევრად გახდომის. ცხადია, რომ პრესა მოქმედობს დიპლომატების კარნახით. ჩემბერლენების მიზანი ამ შემთხვევაში აშკარაა: თუ საბჭოთა კავშირი შევიდოდა ერთა ლიგაში, ამით ისინი შეეცდებოდნენ მისი თავის გავლენის ქვეშ მოქცევას, მისი საერთაშორისო პოლიტიკის დამოუკიდებლობის შეზღუდვას თავის ინტერესების მიხედვით, ამასთან ერთად ლიგაში ჩვენი შესვლა სახელს გაუტეხდა საბჭოთა მთავრობას რევოლიუციონური პროლეტარიატის და იმ დაჩაგრულ ხალხების თვალში, რომელთაც კარგად ესმით ამ ორგანიზაციის ფასი. თუ ჩვენი მთავრობა უარს იტყოდა ლიგაში შესვლაზე, ამას გამოიყენებდნენ „საბჭოთა იმპერიალიზმის" შესახებ ლეგენდების გასავრცელებლად შეუგნებელ მასსებში, რომელთაც კიდევ სჯერათ, რომ ეს დაწესებულება მშვიდობიანობას ემსახურება.

როგორიც განზრახვაც არ უნდა ჰქონდეთ ჩემბერლენებს, საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება წინანდებურათ ურყევია. როგორც ამხ. ჩიჩერინმა ბერლინში ყოფნის დროს, ისე ამხ. ლიტვინოვმა კატეგორიული განცხადებით ამ საკითხის გამო გაფანტეს ამ მხრივ ევროპაში გავრცელებული მითქმა-მოთქმა. დღევანდელი ერთა ლიგის წევრად საბჭოთა კავშირი ვერ გახდება, ხოლო წინააღმდეგი არა ვართ იქ მეთვალყურის გაგზავნისა, რითაც ჩვენ შეგვიძლია უფრო ახლოს ვადევნოთ თვალყური მის მუშაობას, ხოლო არავითარ ვალდებულებებს არ ვკისრულობთ. ჩვენ შევალთ მხოლოდ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, სადაც საბჭოთა კავშირი ნამდვილათ იქნება სრულუფლებიანი წევრი და რომელიც მართლაც დაიცავს ყველა ხალხთა ინტერესებს და მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეს ემსახურება. ეხლანდელ ერთა ლიგასთან თანამშრომლობა ეს მეორე ინტერნაციონალის ხელობაა და არა ჩვენი.

ჩვენ გვიახლოვდებიან

პარალელურად ინგლისის მეცადინეობასთან, რომელიც მიმართულია ანტისაბჭოთა მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ, ჩვენ ვხედავთ საწინააღმდეგო მოვლენებსაც, სახელდობრ,—ზოგიერთი სახელმწიფოების საბჭოთა მთავრობასთან დაახლოვების ფაქტებს და ნიშნებს. რა თქმა უნდა, ეს დაახლოვება ყველაზე ნაკლებ მოხერხდება ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის ჩაბმის ცდით. საჭიროა არსებული საერთაშორისო ძალთა განწყობილების სწორი შეფასება, ურთიერთი ინტერესების გაგება, შეგნება იმის, რომ მსოფლიო მდგომარეობა ვითარდება ჩვენ სასარგებლოდ, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ძალღონეს აღემატება ჩვენთვის გადაჭარბებული პრეტენზიების მოხვევა. რეალურ სარგებლიანობის თვალსაზრისზე დადგომით შეიქმნება ნიადაგი ჩვენთან შეთანხმებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ლოკარნოს კონფერენციის დროს დადებულ იქნა ორივე მხარისათვის მისაღები სავაჭრო ხელშეკრულება გერმანია-საბჭოთა კავშირის შორის. ესეც მოწმობს, რომ ლოკარნოს მიზნების განხორციელება, რამდენადაც საქმე საბჭოთა კავშირს ეხება, აწყდება გარდაუვალ ზღუდეებს. ერთი მხრივ ინგლისი ეწევა გერმანიას ერთა ლიგასკენ და სურს იგი გახადოს ბაზად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ეკონომიური აუცილებლობა აიძულებს გერმანიას ჩვენთან შეთანხმებას და თანამშრომლობას. ბოლოსდაბოლოს ცხადი ხდება, რომ გერმანიისათვის თითქმის შეუძლებელი იქნება იმ ეკონომიური კავშირის გაწყვეტა, რომელიც არსებობს ამ ორ ქვეყანას შორის, თუნდაც ეს ძალიანაც მოინდომოს ინგლისმა.

საყურადღებოა აგრეთვე პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების გაუმჯობესება ბოლო ხანებში. ამხ. ჩიჩერინის ჩასვლამ ვარშავაში საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. ასე თუ ისე გაიწმინდა დამძიმებული ატმოსფერა და შეიქმნა პირობები ნორმალურ ურთიერთობის განახლებისათვის. პოლონეთი მწვავე ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს განიცდის. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ იგი გაურბის ალებ-მიცემობას ჩვენთან. პოლონეთის მრეწველობა რუსეთის ბაზრისათვის მუშაობდა და ამ ბაზრის დაკარგვამ მას აურაცხელი ზარალი მიაყენა. ჩვენ მიერ პოლონეთის სატრანზიტო გზით სარგებლობაც დიდ სარგებლობას მოუტანდა მას.

ამავე დროს ჩვენთან მეზობლურ დამოკიდებულების დამყარება, საბჭოთა კავშირის მიმართ იმპერიალისტურ ზრახვებზე ხელის აღება, საშუალებას მისცემდა პოლონეთს შეემცირებია სამხედრო ძალა, რომლის შენახვა მძიმე ტვირთად აწვება ხალხს. ამნაირად, პოლონეთს სხვა გამოსავალი არა აქვს, თუ არ თავის დიდ მეზობელთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის აღდგენა. როგორც ეტყობა, ამას თანდათან ითვისებენ ვარშავაში. ესეც შეიძლება ჩაითვალოს ინგლისის დამარცხებად, ინგლისის, რომელიც პოლონეთში ინტრიგებს აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ.

მეტად საგულისხმო ცნობა გვაუწყა გუშინდელმა დეპეშამ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაში მოსალოდნელ ცვლი[illegible]

საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა

ყრილობის რეზოლუციები

ამხ. შალვა ელიავას მოხსენების გამო

მრეწველობის შესახებ

მოისმინა რა ამხ. ელიავას მოხსენება მრეწველობის შესახებ, ს. კ. პ. მეოთხე ყრილობა სავსებით იწონებს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ თეზისებს. ყრილობა მიზანშეწონილად და დროულად სთვლის ამიერ-კავკასიის უმაღლესი სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნას, რომელიც იქნება მომწესრიგებელი და გეგმიანი მუშაობის ხელშემწყობი ორგანო თავიანთ საწარმოო ძალების აღორძინების გზაზე უკვე შემდგარი ა/კ. რესპუბლიკებისა.

ამხ. მახარაძის მოხსენების გამო

სოფლად მუშაობის შესახებ

მოისმინა რა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება სოფლად პარტიის მუშაობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა იწონებს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ თეზისებს და ავალებს ახალ ცენტრალურ კომიტეტს იხელმძღვანელოს ამ თეზისებით მომავალ მუშაობაში.

ამხ. დოლიძისა და ლეჟავას მოხსენების გამო

ც. საკ. კომისიის და პარტკოლეგიის მუშაობის შესახებ

მოისმინა რა ს. კ. პ. ის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენება და პარტკოლეგიის თანამოხსენება, საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა აღნიშნავს, რომ რ. კ. პარტიის (ბ) მე-13-ე ყრილობისა და საქ. კომპარტიის მესამე ყრილობის დადგენილებანი, რომელნიც შეეხებიან ორგანიზაციის რიგების გაჯანსაღებას და განმაგრების საკითხს, საკმაოდ არის განხორციელებული არა პროლეტარულ შემადგენლობის შემოწმებისა და პარტიის რიგებიდან გახრწნილ მერყევ ელემენტების გაძევების საქმეში. ყრილობა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობას საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად სთვლის.

მეექვსე სხდომა

კამათი ამხ. დოლიძისა და ლეჟავას მოხსენების გამო

ამხ. გაგნიძე

ამხანაგებო, საკონტროლო კომისიამ მიიღო ზომები, რომ მოხსენებები თავისი მუშაობის შესახებ გაეკეთებინა ადგილობრივაც, რაიონულ კრებებზე, მაგრამ ამ დადებით მხარეების გარდა საკ. კომისიის მუშაობაში არის უარყოფითი მხარეებიც. აქ ამის შესახებ ბევრი ილაპარაკეს. ყველამ, ვიცით, რომ ჩვენს დაწესებულებებში გაფლანგვა გაფლანგვას მისდევს. ცხადია საკონტროლო კომისიას უნდა დავეხმაროთ სასტიკად დასაჯოს გამფლანგველი.

თუ გადავხედავთ ჩვენს ორგანიზაციებს ადგილებზე, ადვილად დავინახავთ იქ კინკლაობას. ამ კინკლაობის შესახებ საკმაო ზომებს ვიღებთ. მაგრამ ვიდრე ამა თუ იმ ამხანაგის ირგვლივ დიდ „საქმეს“ არ შევქმნით, მანამდის მას პარტიიდან არ გამორიცხავენ, საყვედურსაც კი არ ეტყვიან. რომ პარტიის ხაზი სწორად გაატაროს სამაზრო კომიტეტმა ან ადგილობრივ ამხანაგებმა, ისინი სათანადოთ მომზადებულნი ხალხი უნდა იყვნენ ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

შემდეგ, აგვისტოს ავანტიურის დროს ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები ვერ მოიქცნენ სათანადოთ. აქ სთქვეს, მე ვიღებ ზომები მათ წინააღმდეგო, მაგრამ ეს არ კმარა.

საკონტროლო კომისიამ ხელი უნდა მოჰკიდოს ამ ამხანაგების საქმეებს.

ამხ. ხუნდაძე

აქ ბევრი რამ აღინიშნა, ბევრმა ილაპარაკა, აუარებელი დაიწერა გაზეთის ფურცლებზე: „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“, აგიტაციას ეწეოდენ ამხანაგები. მობილიზაცია გაუკეთეს ისეთ ამხანაგებს, რომელნიც სოფელში სამუშაოდ არ ვარგოდნენ. მაგრამ არ წავიდნენ სოფელში; ზოგს საპატიო მიზეზი აღმოაჩნდა, ზოგს სხვა. ამრიგად, არაფერი არ გამოვიდა. გადავგზავნეთ შესაფერი პირები. ადგილებზე ახალი კაცებიც საერო, ცირკულიარს ისეთი ხასიათი არ მოაქვს, როგორც პირად გაცნობას. აქ აღინიშნეს, რომ არის გაფლანგველები. ასეთი გამფლანგველი სასტიკათ უნდა დაისაჯოს რა უნდა იფიქროს მასამ, როდესაც დაინახავს, რომ არ დაისაჯა გამფლანგველი.

აი მაგალითი: გორის სადგურზე ერთმა თანამშრომელმა, 500 მანეთი გაფლანგა, (ხმა: გვარი, გვარი!) მოგახსენებთ, ასლანოვი. გამოტყდა ეს კაცი. ოქმები შევადგინეთ, რომ პროკურორს ზომები მიეღო, მაგრამ გავიდა 6 თვე. გვეგონა რომ ეს ასლანოვი უფრო კარგ ადგილზე დაინიშნავთ (ხმა: „ვინ დანიშნა“). ეშმაკმა იცის მისი თავი, მე არ ვიცი. თუმცა ჩვენი საკონტროლო კომისია ძალიან გულმხურვალედ მუშაობს, მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ მოასწრო სავსებით გაწმენდა ყველაფერისა. საკონტროლო კომისიამ ზომები უნდა მიიღოს პარტდისციპლინის დამრღვევთა წინ აღმდეგ. ამით ვათავებ ჩემს სიტყვას (ტაში).

ამხ. თ. კალანდაძე

ამხ. დოლიძემ, რომელსაც მე გულწრფელ სერიოზულ კაცად ვთვლი, თავის მოხსენების დასაწყისში განაცხადა: ამხ. კუიბიშევმა მოგვცა დირექტივები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს დანიშნულება და მიმართულება საკონტროლო კომისიისა ამ კუიბიშევამდე უფრო ავტორიტეტულად, უფრო დასაჯერად ეს საკითხი გააშუქა მაშინდელ პრესაში ამხ. ლენინმა. ამხ. ლენინმა, რომელიც ჩვენთვის მთელი ქვეყნის პროლეტარიატისათვის, უკვდავია, ერთი [illegible] ხაზგასმით აღნიშნა: ჩვენი პარტია [illegible] და ისეთ ცხოვრებაში, [illegible] ეპოქაში, რომ ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობას [illegible] ადევნოს განსაკუთრებულმა ორგანომ, რომელიც ყრილობიდან ყრილობაზე აღჭურვილი უნდა იყოს უმაღლესი უფლებებით. ასეთი არის ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის დანიშნულება უნდა იყოს პირუთვნელად, გაბედულად თვალყური ადევნოს პარტიის ორგანიზაციებს, უმაღლეს ორგანოებიდან დაწყებული, და [illegible] ძირითადი ორგანიზაციით რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ცენტრ. ორგანოსა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის შორის ეს წმინდა პრაქტიკული ხასიათის საკითხია—რომელი ორგანოა უმაღლესი?

ლენინმა სთქვა და თუ ამ [illegible], გულისხმობდა, რომ უმაღლესი ორგანო არის პარტიული ორგანო, რომელიც ყრილობიდან ყრილობამდე ხელმძღვანელობს პარტიას. თუ საკონტროლო კომისიას აქვს უმაღლესი ორგანოს უფლება და ამავე დროს ეს უფლება ცენტრალურ კომიტეტსაც აქვს, მაშინ მათ შორის ხომ მოხდება უთანხმოება. ეს რომ არ მოხდეს საჭიროა ცენტრალური ორგანო ყოველ ნაბიჯზე შეუთანხმდეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. თუ მოხდება, რომ რაიონში პარტიის წევრი, პასუხისმგებელი ამხანაგი საკონტროლო კომისიის აზრით გასარიცხავია პარტიიდან, ხოლო ცენტრალური კომიტეტის აზრით კი არა, ასეთ შემთხვევაში საკითხი რჩება ღიად მანამდი, სანამ პარტიის უმაღლესი ორგანო—ყრილობა არ იტყვის გადამწყვეტ სიტყვას.

ამ სტრუქტურას ცოტა რამ აქვს საერთო ლენინის იდეებთან. ამხ. ანდრომ კი სთქვა, რომ საკონტროლო კომისია ისეთი უნდა იყოს, როგორც კუიბიშევი ახასიათებს. კუიბიშევს ძალიან პატივს ვცემ. მაგრამ ლენინზე მეტად კი არა. რა თქმა უნდა ლენინს უფრო ვენდობი, ვიდრე მას.

ამხ. მირიანაშვილი

ამხანაგებო, რამდენიმე შენიშვნა მინდა მოგახსენოთ საკონტროლო კომისიის მოხსენების შესახებ.

სხვათა შორის ამხ. ანდრომ აღნიშნა, რომ პრესა ამ უკანასკნელ დროს ძალიან ელაპარაკდა, გააშუქა ყველაფერი და ჩვენთვის ნათელი შექნა, თუ რა ზომები უნდა მიგვეღო ამა თუ იმ დამნაშავისათვის. უნდა ვთქვა, რომ პრესა ყოველთვის არ არის მართალი. არ ვიცი სხვა მაზრებში როგორაა. მაგრამ რაც შეეხება ჩვენ მაზრას, რომელზედაც არა ერთი და ორი წერილია დაბეჭდილი და მოყვანილია ამაღელვებელი ფაქტები, ეს ცნობები, რომ მართალი იყოს პასუხისგებაში უნდა ყოფილიყო მიცემული ბევრი პასუხისმგებელი ამხანაგები. მაგრამ ეს ცნობები ხშირად ტყუილი გამოდგებოდა ხოლმე.

ამხ. ანდრომ აღნიშნა, რომ ამა და ამ მაზრას დეფექტები ჰქონდა და ამა და ამ მაზრას არაო. მე ამან არ დამაკმაყოფილა. უნდა მიექცეს ყურადღება იმ მაზრებს, სადაც [illegible] ეს დეფექტები, სადაც [illegible] მხოლოდ ნიშნებია ამისი, რათა შემდეგში არ განვითარდეს იგი. ზოგი კომისიის წევრი არ შეეფერება თავის დანიშნულებას, პირიქით კიდევაც აფარებს. ესენი უფრო მეტად უნდა დაისაჯონ, ვიდრე პარტიის ურიგო წევრები.

გარდა ამისა სხვა პასუხისმგებელი პირებიც მოდიან მაზრებში და ისე სტუქავენ პარტიულ ამხანაგებს, რომ ხალხის ართმევენ რამეზე ხმა ამოიღონ. სოფლად ხალხი ისედაც დაშინებულია. თუ თქვენ სოფელში მიხვალთ და შეეკითხებით „კულაკს“ იქ ჩადენილ დანაშაულებათა შესახებ, როგორც ეს ქიზიყში მოხდა, ცხადია ვერავინ უკმაყოფილებას განაცხადებენ კომუნისტებზე. სხვანაირად არც შეუძლიან, კომუნისტები მათ სძულთ, ვინაიდან კომუნისტები მათ კვალდაკვალ მისდევენ, გადასახადს ახდევინებენ.

შამშე ამბობს: ისე არც ერთი საკითხი არ გადაგვიწყვეტია, ან რაიონში, ან მაზრაში არ ყოფილიყო დასმული. ეს მართალი არაა. ძირითადში კი ამ წესით უნდა ხდებოდეს.

ამხ. შამშემ აქ ანკეტაზე ილაპარაკა. ამისათვის აქამდე, რომ მიექცათ ყურადღება, უკეთესი იქნებოდა.

ამხ. ბერია

ამხანაგებო, ჩვენ, საგანგებო კომისიის ორგანოებში მომუშავეებს ხანდახან საქმე გვაქვს ხოლმე ცენტრალური საკონტროლო კომისიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობასთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ყრილობაზე საკონტროლო კომისიის მოხსენება ამტკიცებს მუშაობის უეჭველად წინ წაწევას, მაგრამ ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც ვხვდებით საკონტროლო კომისიის მუშაობაში, სავსებით ვერ ჰფარავენ არსებულ მოთხოვნილებებს. მე მიხდება ამის თვალყურის დევნება ერთ-ერთ რესპუბლიკაში, [illegible]. არის კიდევ ზოგიერთი ცნობები სხვა რესპუბლიკებიდან და ჩვენ უნდა ვადასტუროთ, რომ საქ. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ვერ მიაქცია საკმაო ყურადღება ის ავტონომიურ რესპუბლიკებს, სადაც ორგანიზაციები ჯერ კიდევ მთლად სუსტია. სავსებით გასაგებია, რომ თუ ორგანიზაცია ნორჩია, ხდება ჩვენი პარტიული ხაზის ყოველგვარი დამახინჯება, [illegible] ნაკლი [illegible] შეამჩნია საქართველოს ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ, რომელსაც ჰყავდა თავის მხედველობის ქვეშ ამ ნორჩ ორგანიზაციებში ხალხი, მაგრამ საკმაო ინფორმაციას ვერ აწვდიდა მათ. მაგალითად, ცენტრალური საკონტროლო კომისიის რწმუნებული სოხუმში ამხ. ბორისენკო ჩაწნებული, მეტად კარგი ამხანაგია, მე რამ მხოლოდ კარგი ამხანაგობა რაც შეეხება ვალდებულების შესრულებას ის ამ მხრივ არაფრად არ ვარგა. ჩვენ გვეკითხება მისთვის, თუ რა ხდება იქ სოხუმში, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერი უთქვამს. უნდა სთქვათ, რომ ეს ამხ. ბორისენკო, [illegible]. ისე ქანაობდა ხან ერთ ჯგუფს მიეკედლებოდა ხან მეორეს და ამ ქანაობაში გამოიხატებოდა მისი მუშაობა.

ამხ. დოლიძემ სთქვა, რომ აჭარისტანში, ნამდვილად მათ არავითარი საქმე არ ჰქონდათ; ასეთი იყო აზრი მისი სიტყვისა, რადგანაც ა/კ. ორგანიზაციები იქ თვითონ იღებდენ სათანადო ზომებს. მე კი ვფიქრობ, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისიის რწმუნებულს აჭარისტანში მაინც უნდა ეკუთვნოდეს არა უკანასკნელი ადგილი.

ახლა რამდენიმე სიტყვა, უმთავრესად იმ რაიონებისა და მაზრების შესახებ, სადაც არიან საკონტროლო კომისიის რწმუნებულები.

რას აკეთებს მათი ცენტრალური ორგანო თბილისში. ყველასათვის ცნობილია, რომ ყოველგვარი მუშაობა ამა თუ იმ ორგანოსი წარმატებით იწარმოებს მაშინ, როდესაც მუშაკთა შემადგენლობას ექნება შრომის უნარი და შეეფერება თავის დანიშნულებას. როდესაც საკონტროლო კომისიის შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ მის შემადგენლობაზე უნდა სიმართლე ვსთქვათ და არ ვიცრუოთ, არ უნდა [illegible] და არც უნდა ვფარავდეთ.

ამხ. დოლიძე დატვირთულია საუშაოთი მუშათა და გლეხთა ინსპექციაში და ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, და ბუნებრივია, რომ მას არ შეუძლია საკმაო დრო და ყურადღება მიაქციოს ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობას. რადგანაც მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატი საკმაოდ გამაგრებული არ არის, მისგან ბევრს მოითხოვენ და თვითონ იგიც მოითხოვს თავისადმი დიდ ყურადღებას და სამუშაო დროს.

პარტკოლეგიის თავმჯდომარე ამხ. შამშე უეჭველად გამოდგებოდა ამ სამუშაოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამხ. შამშე უმეტეს ნაწილად დადის მაზრებში, რაც რასაკვირველია, გამოწვეულია აუცილებლობით და ცენტრალური საკონტროლო კომისიის საქმეებით. მაგრამ უფრო ხშირად ის დადის კურორტ შოვში (სიცილი). მართალია ის უფრო შოვის საქმეებს აკეთებს ვიდრე პარტკოლეგიის საქმეებს. არ შეიძლება დავფაროთ, რომ ის ხშირად დადის პასუხისმგებელ მუშაკებთან, დაიარება აგარაკ შოვში, მაგრამ ეს საქმეები მაინც ხელს არ უნდა უშლიდენ მის პირდაპირ სამუშაოს პარტკოლეგიაში, რომელსაც ის მთელი ძალღონით უნდა ემსახურებოდეს.

ახლა შემდეგ. სხვა ამხანაგები საჭიროების გამო მოხსნილი იყვნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, მაგალითად ან. ჯუღელი და სხვ. და გადაიგზავნენ სხვა სამუშაოზე. რასაკვირველია ამ ხანაგების მოხსნა ერთგვარი მინუსი იყო ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობისათვის.

ამას გარდა, რადგანაც ამხ. შამშე ლეჟავა ხშირად იყო ხოლმე წასული, ხოლო ამხ. ანდრო დოლიძე მეტ ყურადღებას აქცევდა მუშათა და გლეხთა ინსპექციას, ამიტომ ხშირად პარტკოლეგიის თავმჯდომარედ ამხ. მორჩილაძე იყო. რამდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა ამხ. მორჩილაძეზე, თუმცა მას ბევრი იცნობს.

ამხ. მორჩილაძეს ჩვენს ორგანოს რამდენჯერმე მიუხდა „შეხვედრა“. მაგალითად: წარსულ წელს ამხ. მორჩილაძე გაიგზავნა თელავის მაზრაში პარტორგანიზაციების მდგომარეობის გამოსარკვევად; ამ დროს მან გამოიწვია ღელდარიანი, ის წაიყვანეს, პარტიიდან გამოაპანღურეს და ციხეში ჩასვეს. ამჟამად ზოგიერთი ამხანაგის შუამდგომლობის თანახმად განთავისუფლეს.

რკინისგზაზე იყო ორი შემთხვევა, როდესაც ამხ. მორჩილაძემ ღამე გააღვიძა მუშაკები და გაანთავისუფლა თავისი შვილი, რომელიც დაპატიმრებული იყო დებოშისა და ხულიგნობისათვის. მე ვფიქრობ, იმიტომ ანთავისუფლებდენ, რომ ის მუშაა და [illegible]. მაგრამ ის რამდენჯერმე მთვრალი მოვიდა.

აი ასეთ ფაქტებსა აქვს ადგილი ჩვენი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ცხოვრებაში,

საკონტროლო კომისიას ჰქონდა თავისი ტეხნიკური სამუშაო აპარატი. იგი კარგადაა ჩამოყალიბებული და მოწყობილი. იგი თავის დავალებათა 60—70 პროც. ასრულებს. მაგრამ ამ აპარატში საქმე მაინც ბრწყინვალედ არ არის. ჩვენ ვსცდილობთ, თავი მოუყაროთ და შემოვიკრიბოთ ჩვენს გარშემო ყველა, ცოტად თუ ბევრად ჩვენთვის გამოსადეგი და საჭირო მომუშავე, მაგრამ ამას ჩვენ სავსებით ვერ ვახერხებთ.

ეხლა ამხანაგებო, აი რა უნდა ითქვას. იყო თუ არა საკონტროლო კომისია ისეთ ორგანოდ, რომელიც აძლევდა პარტიას ნიშანსა და გაფრთხილებას ჩვენი პარტიის ტკივილების შესახებ. მე ვიტყვი, რომ არ ყოფილა ასეთი შემთხვევა, როდესაც საკონტროლო კომისია თავისი ინიციატივით რაიმე გაეშუქებინა. საქმის დამწყები მუდამ ც. კ.-ი და მისი ორგანოები იყო, მაგრამ არ ყოფილა, რომ საკონტროლო კომისიას თვითონვე დაეწყო. ურიგო არ იქნებოდა საკონტროლო კომისიას დისციპლინაზე ხმა ამოეღო. არის მთელი რიგი ფაქტები დისციპლინის დარღვევისა. მაგალითად, თბილისის კომიტეტიდან ადგილებზე იგზავნებიან უმუშევარი ამხანაგები, მაგრამ რაღაცა მიზეზით იქ ვერ ეწყობიან და უკანვე ბრუნდებიან. ამის მაგიერ სხვა მაზრებიდან ხსნიან მომუშავეებს და ასეთ ადგილზე აწესებენ. ამხ. ბიჭია ზუგდიდში სულ ცოტა 12-ჯერ მოიხსნა სამუშაოდან. არ შეიძლება, რომ საკონტროლო კომისიამ გადახედოს მაზრებს? იქ საქმე მაინცდამაინც, ვერ არის კარგად დაყენებული. რაღაცა მიზეზების გამო დასეირნობენ, ჩადიან, ჩამოდიან, მიდიან, მოდიან და სხვა არაფერი.

ახლა გადავიდეთ ჩვენი შინა-ვაჭრობის მოწესრიგების საკითხზე. მეურნეობის დარგში მომუშავენი ერთხმად ამბობენ, რომ იქ ყველაფერი არ არის რიგზე. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა უნდა განიხილოს, ყოველივე ეს თუ არა? ის ხომ დაინტერესებულია აპარატის გაუმჯობესებაში? იქნება ეს შედეგია მეტისმეტი დატვირთვისა მუშაობით. მაგრამ ეს არის ერთ-ერთი ფრიად სერიოზული დარგი, რომლის თაობაზედაც საჭიროა ვიმსჯელოთ უპირველეს ყოვლისა.

ახლა, მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ გლეხთა კომიტეტების მუშაობაზე. ჩვენ მთელი წლის განმავლობაში მიწერ-მოწერა გვქონდა გლეხკომების შესახებ, მაგრამ სანამ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სათანადო დადგენილება არ მიიღო, ცენტრალური საკონტროლო კომისია ამაზე არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. რას აკეთებდენ გლეხკომები. გლეხკომები თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ყიდულობდენ ფართლეულს, ჰყიდდენ კერძო პირებზე და ბოლოს გამოვიდა ვაკხანალია.

მაგალითს მოგახსენებთ ინვალიდთა კოოპერატივებს მოღვაწეობიდან. იქ ინვალიდების მაგიერ ისხდენ ისეთი პირნი, რომელთაც ინვალიდებთან საერთო არა აქვსთ რა. ამის შესახებ სწერდენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, მაგრამ სანამ ც. კ.-მა განსაზღვრული დადგენილება არ მიიღო, მანამდე საკონტროლო კომისიამ ამას ყურადღება არ მია-

---

ბის შესახებ როგორც გადმოგვცემს [illegible] ლონდონის კორესპონდენტი, ბრიანს ჩემბერლენთან საუბრის დროს მიუთითებია საბჭოთა კავშირთან ევროპის ქვეყნების დაახლოვების აუცილებლობაზე. ბრიანმა აღნიშნა, რომ მაშინ, როცა ინგლისი მეტ ყურადღებას პოლიტიკურ პრობლემას აქცევს, საფრანგეთს სურს წინასწარ გადასჭრას ვალების საკითხი. ბრიანს, შემდეგ, თითქო მოუთითებია, რომ ეს პრობლემა შეიძლება გადაჭრილ იქნას ვალების [illegible] და მათი კონსოლიდაციის შესახებ პრინციპიალური დეკლარაციის გზით. რაც შეეხება ვალების ფაქტიურად გასტუმრებას, ეს შეიძლება შეიქნეს ცალკე შეთანხმების საგანი, ამასთან [illegible] შეიძლება გავრცელდეს პროცენტების გადახდაზე.

ეს ცნობა დიდი მნიშვნელობისაა. დღემდე საფრანგეთი შეურიგებლობას იჩენდა ვალების საკითხში, რის გამო ხანგრძლივმა მოლაპარაკებამ მათ შორის ვერ გამოიღო რამე დადებითი შედეგი; დღეს, როგორც ჩანს, საფრანგეთი დათმობაზე აპირებს წასვლას და მის ხელმძღვანელ წრეებს შეგნებულ აქვთ საბჭოთა კავშირთან დაახლოვების აუცილებლობა.

ეს მაინც და მაინც არ არის მოულოდნელი. როგორც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, ლოკარნოდან საფრანგეთი არსებითად დამარცხებული გამოვიდა. ინგლისი შექმნა მისი და საერთოდ დასავლეთ ევროპის დირიჟორი. მიუხედავათ ბრიანის დიპლომატიური კმაყოფილებისა ლოკარნოს შედეგით, ეს მშვენივრად ესმის მას. შეიძლება საფრანგეთის მესვეურებს განზრახვა აქვთ დაუახლოვდნენ საბჭოთა კავშირს ინგლისის დაპირისპირების მიზნით.

გარდა ამისა, საფრანგეთს შორდება მისი „ვასალები“—პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია. პირველის შესახებ ჩვენ უკვე ვსთქვით რამოდენიმე სიტყვა. ჩეხო-სლოვაკია კი, არჩევნების შემდეგ, რომლებშიც კომუნისტებს ბრწყინვალე გამარჯვება არგუნეს, ეჭვს გარეშეა, იცნობს საბჭოთა კავშირს და მასთან ურთიერთობას განაახლებს.

ყველაფერი ეს იძულებულს გახდის საფრანგეთს გამონახოს ჩვენთან საერთო ენა. საფრანგეთის კატასტროფიული მდგომარეობა და დამარცხება კოლონიებში მის შეურიგებელ პოზიციას ჩვენთან დამოკიდებულებაში რეალურ ძალას აცლის.

მდგომარეობა საფრანგეთში

მართლაც, საფრანგეთის მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიულია. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ოთხი მილიარდის მარკის რაოდენობით, სამასი მილიარდი [illegible] სესხი, 7 მილიარდი ომის [illegible] ვალი ამერიკისა და ინგლისისადმი, ფულის კურსის შეუჩერებელი დაცემა, ცხოვრების სიძვირის ზრდა—ასეთია საფრანგეთის სინამდვილე. ფინანსიურმა კრიზისმა შეიწირა კაიო, რომელიც პენლევემ შესცვალა. პენლევეს იგივე ბედი ეწვია. ბოლოს დიდი წვალებით ბრიანმა მოახერხა ახალი კაბინეტის შედგენა, რომელშიც ფინანსთა მინისტრად შედის ლუშერი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლუშერმა, რომელიც ომის შემდეგ განადგურებულ ოლქების მინისტრი იყო, დიდძალი ქონება შეიძინა სპეკულიატიური კომბინაციებით და, [illegible], სახელი გაიტეხა რურის პერიოდში საფრანგეთის მსხვილი მრეწველების სახელით ჰუგო სტინესთან საიდუმლო მოლაპარაკებით.

ბრიანის მთავრობას საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში [illegible]. ჩვენ მოვისმინეთ მისი დეკლარაცია, რომელშიც იგი, სხვათა შორის, შეჰპირდა პალატას არჩევნების წინანდელ მაჟორიტარული სისტემის აღდგენას, რომელიც ხელსაყრელია რადიკალებისათვის. არჩევნების ასეთი სისტემის დროს ოლქებ[illegible] ამა თუ იმ ოლქის მანდატებს ღებულობს ის პარტია, რომელიც შეკრებს ხმების უმრავლესობას. უარყოფილია პროპორციონალური წარმომადგენლობა. ეს ესაჭიროებათ იმისთვის, რომ პალატის დათხოვნა აუცილებლად მიაჩნიათ და მაჟორიტარული სისტემის საშუალებით სურთ ეხლანდელ მმართველ პარტიებს გამარჯვება მოიპოვონ მოსალოდნელ მომავალ არჩევნებში.

მთავრობამ პალატას წარმოადგინა ფინანსიური კანონ-პროექტი, რომელიც, სხვათა შორის, ითვალისწინებს ქაღალდის ფულის ახლად გამოშვებას 7,5 მილიარდი ფრანკის რაოდენობით. ფინანსიური კანონ-პროექტი გავიდა პალატაში მხოლოდ ექვსი ხმის უმრავლესობით, რომელიც არსებითად უნდობლობის გამოცხადებას უტოლდება. სოციალისტები გაიყვნენ, ნაწილმა თავი შეიკავა—დაახლოებით 50 კაცმა, დანარჩენებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. ამგვარად სოციალისტების ნაწილის დახმარებით (თუ გინდ თავის შეკავების გზით) ბრიან-ლუშერი ჯერჯერობით ისევ მთავრობის სავარძელში სხედან, თუმცა მათი მდგომარეობა მეტად მერყევია,—აბა რას ნიშნავს ეს საეჭვო უმრავლესობის მიღება 6 ხმით!

ლუშერის პროექტი, გარდა ქაღალდის ფულის გამოშვებისა, ვითომ მიმართულია კაპიტალის დაბეგვრისაკენ, მაგრამ პროექტის ეს ნაწილი საეჭვოა გატარდეს ცხოვრებაში. ისინი არც მოისურვებენ და ვერც შესძლებენ, სანამ მსხვილ ბურჟუაზიას აქვს ბანკების საშუალებით ბრძანებლობის და ქვეყნის საერთო ფინანსიურ მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება. საფრანგეთის ფინანსების გამოკეთება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის საგრძნობი დაბეგვრით, სახელდობრ ბურჟუაზიის საფუძვლიანი ექსპროპრიაციით. ამის საგიერად ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანას ავსებს ქაღალდის ფულის ნიაღვარი, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.

საფრანგეთის მდგომარეობას უფრო ამწვავებს ავანტიურა მაროკოსა და სირიაში. საფრანგეთის იმპერიალიზმმა აქ სამარცხვინო მარცხი განიცადა. ნახევრად უიარაღო და მოუწყობელი რიფები, დრუზები, ბედუინები და სხვა ადგილობრივი ტომები მამაცურად უმკლავდებიან საფრანგეთ-ესპანეთის ჯარებს და ალაგ-ალაგ კიდეც ამარცხებენ. უკანასკნელ ცნობებით, ისინი გადამჭრელ შეტევაზე გადავიდნენ და საფრანგეთის რაზმები განსაცდელში ჩააგდეს. ომი ჭიანურდება და იგი იწირავს საფრანგეთის მხრით დიდძალ ცოცხალ მასალას და ფულს, რაც უფრო აღრმავებს ფინანსიურ კრიზისს. იზრდება ფართე მშრომელი მასების უკმაყოფილება ასეთი უაზრო ავანტიურით და საფრანგეთში შექმნილ მძიმე მდგომარეობით, მაროკოს და სირიას კი მოელით საყოველთაო აჯანყება საფრანგეთის წინააღმდეგ და მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მედგარი ბრძოლის გაძლიერება იმპერიალიზმის უღლის ჩამოხსნამდე, ნაციონალურ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

აქვე აღსანიშნავია, რომ ამერიკის ფლოტი გამოჩნდა სირიის სანაპიროებთან. ამერიკა ერევა ამ ომში არა საფრანგეთის დასახმარებლად, რათქმა უნდა, არამედ უკანასკნელის კოლონიების ხელში ჩასაგდებათ. ასეთი განზრახვა დიდი ხანია აქვს ამერიკას. იგი ცდილობს საფრანგეთის ვალების ანგარიშში მის კოლონიებს დაეუფლოს. ეს სილის გაწყმაა საფრანგეთისათვის და მისი სრული უძლურების მაჩვენებელია.

განმანთავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში

იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყებული არიან არა მარტო მაროკო და სირია. მთელს აღმოსავლეთში ძლიერდება და ფართო ხასიათს ღებულობს ნაციონალურ განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ევროპის იმპერიალიზმის მთავარი მაცოცხლებელი წყარო—კოლონიებია, რომელთაგან ამოწოვით ზემოგებით ის აჩერებს თავის ბატონობის შენარჩუნებას საკუთარ ქვეყნებში. მსოფლიო მძარცველებს ემუქრება სერიოზული საფრთხე სწორედ მათთვის ამ ყველაზე მტკივნეული ადგილის. იმპერიალისტების უხეშ ძალადობას და აშკარა ძარცვას დაჩაგრული ხალხები უკვე აღარ ურიგდებიან. ისინი ბოიკოტს უცხადებენ მათ საქონელს, გამოდიან იარაღით ხელში ამ „დაუპატიჟებელ სტუმრების“ განსადევნათ.

გუშინდელი ცნობებით, ფართე მღელვარება დაიწყო პალესტინაში, რომელზე მანდატი ინგლისს აქვს გადაცემული. არაბები აჯანყებისთვის ემზადებიან „არამკითხე მზრუნველების“ გასაძევებლად. სირია სხვა ახლო მდებარე ქვეყნებიც აძლიერებენ თავის ძალების მობილიზაციას ფრანგებისა და სხვა მოძალადეების წინააღმდეგ.

რთულდება მდგომარეობა ეგვიპტეშიც. ერთ წლის წინად ინგლისმა შეუბრალებლად ჩაახშო იქ განმანთავისუფლებელი ბრძოლა და ეგვიპტის ხალხს კიდევ უფრო წაუჭირა ყელში. დღეს კვლავ იფეთქა მოძრაობამ, ზაღლულ-ფაშას მეთაურობით. ინგლისის ჩარევით უკანონოდ იქნა დათხოვნილი ეგვიპტის პარლამენტი, რომელმაც თავისუფლების მოპოვების სურვილი გამოამჟღავნა.

„ინგლისი, სწერს ოსმალეთის სახალხო პარტიის გაზეთი „ჯუმხურიეტი“, თავის ძალა-უფლებას ეგვიპტეში ამყარებს ხიშტზე და ზარბაზნებზე. ინგლისი სწმენს ეგვიპტეს მისი დამოუკიდებლობის მომხრეებისაგან. ეგვიპტელ ნაციონალისტებმა, რომელნიც ქვეყნისათვის თავისუფლების მოპოვებას ფიქრობდენ თხოვნით და მუდარებით ინგლისის წინაშე, ეხლა მთელი იმედები დაამყარონ შეიარაღებულ ძალაზე და რევოლიუციონურ აქტივობაზე“. ეგვიპტის ხალხი სწორედ ამ გზას ადგება.

ოსმალურ გაზეთის ეს აზრი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ აშკარავებს ოსმალეთის და ინგლისის ურთიერთობის გამწვავებას. ბოლო დროს მათ შორის ძალიან დაძაბული დამოკიდებულებაა. შეხლა-შემოხლის საგანია მოსულის საკითხი. მოსული განთქმულია ნავთის მდიდარი წყაროებით. ხოლო სადაც ნავთია, ინგლისიც იქ არის. მან ხელთ ჩაიგდო მოსულის რაიონი. ოსმალეთი ამას ვერასოდეს ვერ შეურიგდება. საკითხი დასმულია ერთა ლიგის საბჭოში განსახილველად, ინგლისელ ლიბერალების „ვესტმინსტერ გაზეტ“-ი სწერს: „თუ ერთა ლიგა მოსულის საკითხში გამოიტანს, ოსმალეთისათვის არახელსაყრელ დადგენილებას, უკანასკნელი შესევა მოსულის ოლქს და ინგლისს ომს გამოუცხადებსო“.

როგორც ჩანს, მდგომარეობა სერიოზული იქნება ინგლისისათვის. ანგორის მთავრობა, ჩვენ ვფიქრობთ, ძალას მოიკრებს გადაჭრილი წინააღმდეგობის გასაწევად ჩემბერლენის მტაცებლობისათვის.

ჩინეთის ამბები

უფრო ცუდათაა ინგლისის იმპერიალიზმის საქმე ჩინეთში. ამ ქვეყანაში მსოფლიო მნიშვნელობის ამბები ხდება. ოთხასი მილიონი ხალხი, რომელიც ორ საუკუნეზე მეტი იმპერიალიზმის საწველ ფურად იყო გადაქცეული და რომელიც უმოძრაობისა და კონსერვატიზმის ნიმუშად ითვლებოდა,—სტიქიურად ამოძრავდა როგორც ფეოდალური რეჟიმის და შინაური რეაქციონერების, ისე იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამ წლის დასაწყისში შანხაის მუშების მიერ წარმოებული თავგანწირული ბრძოლა ინგლის-იაპონიის მტაცებლობის წინააღმდეგ, მათ მიერ დაღვრილი სისხლი შესაფერ ნაყოფს იღებს. რევოლიუციონურ-ნაციონალური ძალები დღითი-დღე იზრდებიან და ამარცხებენ რეაქციას და მის უკან მდგომ იმპერიალიზმს. პირველ ყოვლისა, ინგლისს მოელის ჩინეთის სახით უდიდესი ბაზრის დაკარგვა, რაც ლახვარს ჩასცემს მის ისედაც დაქვეითების გზით მიმავალ მრეწველობას.

იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტი, ჩინეთის განთავისუფლების ყველაზე უფრო შეურიგებელი მტერი, ჩან-ძო-ლინი განადგურებულია. ეს მოხდა, როგორც ფინ-იუი-სიანის სახალხო არმიების და უ-პეი-ფუს ჯარების შეტევით, ისე ჩან-ძო-ლინის ჯარის შინაგანი დაშლით, თვით მისი მომხრე გენერლების აჯანყებით მის წინააღმდეგ. ერთი ასეთი გენერალი განგო-რუნ-ლინი მედგარ ომს აწარმოებს მუკდენის დიქტატორის წინააღმდეგ და განუწყვეტლივ წინ მიიწევს. ჩან-ძო-ლინი ჩაკეტილია მანჯურიაში და სავსებით მოისპო მისი გავლენა დანარჩენ ჩინეთზე.

ჩან-ძო-ლინი აგენტია იაპონიის და მისი იმპერიალისტური პოლიტიკის გამტარებელი ჩინეთში. ჩან-ძო-ლინის დამარცხება იაპონიის დამარცხებას უდრის. ამ გარემოებას უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდება. კარგა ხანია ხმები იყო, რომ იაპონია სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს დამარცხებულ ჩან-ძო-ლინს. დღევანდელი ცნობით, იგი უკვე უშუალოდ ჩაება ჩინეთის სამოქალაქო ომში. ჩან-ძო-ლინთან შემდგარ თათბირზე გადაწყდა მანჯურიის გადაცემა იაპონელებისათვის, რომელიც მის დასაცავად 80,000 ჯარისკაცის გამოყვანას პირდება. იქმნება ახალი მდგომარეობა. მანჯურიის მფლობელი იაპონია ხდება. გამაგრდება თუ არ ამჟამად იაპონია მანჯურიაში, თუ იგი მოინდომებს შეტევას ჩინეთის განმანთავისუფლებელ ძალების წინააღმდეგ, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. ფინს მართებს მზად ყოფნა და თავის არმიების გაძლიერება ყოველ შემთხვევისათვის.

ეხლა ჩინეთში მთავარ ძალებს წარმოადგენენ: სახალხო არმიები ფინ-იუი-სიანის მეთაურობით, რომელთაც უკავიათ ქვეყნის ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაწილი; ფენი მოექცა ნაციონალურ მოძრაობის გავლენის ქვეშ და იბრძვის ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის, უ-პეი-ფუ, რომელსაც უკავია ჩინეთის ცენტრალური პროვინციები; იგი დღეს ვერ ბედავს ხალხის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას, რომ ფეხიდან ნიადაგი არ გამოეცალოს; ის იძულებულია აყვეს მასსების სულიერ განწყობილებას, თუმცა რეაქციონერია. ბოლოს, გომინდანის რევოლიუციონური მთავრობა სამხრეთ-ჩინეთში. გომინდანი უკანასკნელ დროს გაძლიერდა, [illegible] გარშემორტყმული მტრები შორს განდევნა და ახალ ახალ ძალებს იკრებს.

ამჟამად ჩინეთი უშუალოდ მიადგა ცენტრალურ მთავრობის შედგენის ამოცანას, ისეთი მთავრობის, რომელიც შეეფერება ახალ ძალთა განწყობილებას და სურვილს, და ნებისყოფას გამოიჩენს განაახლოს ქვეყნის შინაური ცხოვრება და ღირსეულად ელაპარაკოს იმპერიალისტებს. პეკინში ეხლა ფაქტიურად არ არსებობს ჯან-ცი-ჯუის ხელისუფლება, რომელსაც წინათაც არავითარი რეალური ძალა არ გააჩნდა. მოსალოდნელია, რომ მთავრობა შესდგება ფინის, უ-პეი-ფუს და გომინდანის კოალიციიდან, თუ გარეშე ფაქტორმა (იაპონიის ჩარევამ) საქმე არ დააბრკოლა. სახალხო მოძრაობის ზრდა, რა თქმა უნდა, თავის გავლენას მოახდენს მომავალ მთავრობის ხასიათზე.

ჩინეთში განმანთავისუფლებელმა ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ახლო მომავალში მოხდება არსებითი გარდატეხა მდგომარეობაში. ჩინეთი მედგრად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის და საბჭოთა კავშირის მთელი სიმპატიები, ცხადია, სავსებით მის მხარეზეა. საბჭოთა კავშირი ჩინეთის ხალხის ერთადერთი ჭეშმარიტი მეგობარია. მათი კავშირის განმტკიცება საწინდარია იმპერიალიზმის დამარცხებისა შორეულ აღმოსავლეთში და ჩინეთის განთავისუფლებისა მსოფლიო მტაცებლებისაგან.

მ. ჟ.

ცია, შემდეგ კი იმანაც თავისი დადგენილება გამოიტანა.

მე ვიტყოდი, რომ საკონტროლო კომისიას აკლია ინიციატივა გაბედობა, თითქოს სითამამე არა აქვს თითქოს რაღაცასი ეშინია; ყოველ შემთხვევაში ის ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს და ამისი დამადასტურებელი საბუთებიც მოიპოება.

მაგალითად, სოციალურ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ხელშეკრულებას სდებს ვინმე დადიანთან კინემატოგრაფიულ საქმის შესახებ. ეს ხელშეკრულება ჩვენამდე აღწევს. ჩვენ ვწერთ საკონტროლო კომისიას, რომ ეს ხელშეკრულება ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის და უნდა გაბათილდეს. ცენტრალური საკონტროლო კომისია გვ პასუხებს, ეს მართალია, მაგრამ ხელშეკრულებაზე მოთავსებულია მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის რეზოლიუცია და ვერაფერს გავაწყობთო. რატომ უნდა შეცდომა ყველას მოუვა, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილესაც, მაგრამ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას არაფერი არ შეუძლია? ეს თითქოს აღიარებაა საკუთარი უძლურობისა. ამას მე ვლაპარაკობ არა ცარიელი სიტყვით, უსაბუთოდ, არამედ მე მაქვს საბუთი; ამხანაგები ამას უარს არ ყოფენ.

ხელშეკრულება მაინც გავიდა, სურათები დაიდგა, ჩაფლავდა და სოც. უზრუნვ. სახალხო კომისარიატმა იზარალა.

ერთგვარი ფილაჯობა და გაუბედაობა რომ ეჩვევა—ეს ჩანდა თვით მიხაკებიძისაც. იქ ნათქვამი იყო, ჩვენ საქმეებს ვარჩევთ, პროკურატურას გადავცემთ ხოლმე და მეორე დღეს კი ვხედავთ, რომ ეს პირები თავისუფლად დასეირნობენო. განა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას არ შეუძლიან ცოტა შეახუროს პროკურატურა, თუ კი ის უკანონოდ იქცევა? მაგრამ ეს არ ხდება, ამას თვითონ მთელი ამხანაგებიც აღიარებენ.

ასეთია, ამხანაგებო, დასკვნა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (მე არ ვლაპარაკობ შამწეს ან სხვა ვინმეს წინააღმდეგ) უნდა ვირჩევდეთ არა მარტო სტაჟის მიხედვით, არამედ საჭიროა აგრეთვე ანგარიში გაუწიოთ მუშაკის შინაარსსაც. თუ ისინი მეტის-მეტად არიან მუშაობით დატვირთულნი, მაშინ ისინი უნდა გავანთავისუფლოთ სხვა სამუშაოსაგან (ტაში)

შემდეგ, ამხანაგებო, საჭიროა, რომ საკონტროლო კომისიას ყავდეს თავისი რწმუნებული ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებში, და ისინი კი, რომლებიც უკვე გვყავს, უნდა გადაისინჯონ, თორემ საკონტროლო კომისიას არაფერზე არ ექნება წარმოდგენა.

შემდეგ, ამხანაგებო, უნდა გამოვარკვიოთ ტექნიკური საკითხი. ეს ტექნიკური საკითხი ხშირად დიდ როლს თამაშობს. უნდა შევქმნათ სამუშაო აპარატი საკონტროლო კომისიაში და ამასთანავე შესაფერი მომუშავენი უნდა შევარჩიოთ. რადგანაც მათ დიდი საქმე უნდა აწარმოონ. ამ მხარეს უნდა მიექცეს ყურადღება. სწორედ ამითი ავამაღლებთ საკონტროლო კომისიის ავტორიტეტს, რადგანაც აუცილებლად საჭიროა საკონტროლო კომისიის ავტორიტეტის ამაღლება. ამ საქმეში უნდა მოვეხმაროთ მას და თან მოვითხოვოთ პერიოდიული ანგარიშების წარმოდგენაც შესასრულებელი სამუშაოს შესახებ. სამუშაოს შესახებ, როგორც პრესაში, ისე პარტიული აქტივის კრებაზე (ტაში).

ამხ. ვარდენ კალანდაძე

ამხანაგებო, ამხ. ბერიამ თავის სიტყვაში ჩემთვის სრულებით მოულოდნელად გაატარა იგივე ხაზი, რაც მე უნდა გამეტარებინა. მაგრამ ამხ. ბერია უსაყვედურებს საკონტროლო კომისიას ერთგვარ მო[illegible]ას ამა თუ იმ პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმაში, მე ამხ. ბერიას უნდა უსაყვედურო ერთი რამ. სახელდობრ ის, რომ თვით ბერიამ სისუსტე გამოიჩინა საკონტროლო კომისიის მოქმედების დაფასებაში. საქმე ისაა, რომ საკონტროლო კომისია მოწოდებულია კონტროლი გაუწიოს ერთი მხრივ პარტიულ ორგანოებს და პარტიულ ორგანოებში მომუშავე ამა თუ იმ პირებს.

უპირველესად ყოვლისა საკონტროლო კომისია უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე. თავის პოლიტიკური მომზადებით ყველაზე მაღლა უნდა იდგეს პარტიაში. ეს პოლიტიკური მომზადება კიდევ იმდენად არ არის საჭირო, რამდენადაც საკონტროლო კომისიის მთელი შემადგენლობის სისპეტაკე. საკონტროლო კომისიამ უნდა აღზარდოს პარტია, მან უნდა მიიღოს ერთგვარი სასჯელი. ის არის უფროსი დამსჯელი რაზმი პარტიაში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ამხანაგები, როგორც დაბალ, ისე მაღალ ფენებში, ეწევიან იმეთ რამეებს, რისთვისაც უსათუოდ უნდა დაისაჯონ. იგი მეტ წილად სჯის გლეხებს, მუშებს და დაბალ ფენებს, მათ წინააღმდეგ არის მიმართული საკონტროლო კომისიის იარაღი. ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, მრავალი ფაქტი, რომ არა თუ რაიკომის და სამაზრო კომიტეტის წევრი, არამედ ზოგიერთი მათზე მაღლა მდგომი ამხანაგი ეწევა ისეთ საქმეს და ცხოვრებას, რომელიც დაუშვებელია არა თუ მისთვის, არამედ პარტიის უბრალო წევრისთვისაც. მაგრამ მათ არავინ არა სჯის. ამბობენ პარტიის უბრალო წევრები ვერ დგანან თავის სიმაღლეზე.

როდესაც ამხ. ანდრო დოლიძე შეეხო გურიაში მუშაობას, მან სამართლიანად აღნიშნა, რომ გურიაში ასე თუ ისე ყველაფერი რიგზეა. (დოლიძე: საერთოდ), მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ თუ გურიაში მოსპობილია კინკლაობა, ამის მიზეზია არა საკონტროლო კომისია, არა ანდრო დოლიძე, არამედ ის ამხანაგები, რომლებიც დღეს გურიაში მუშაობენ. მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. დოლიძეს არა ერთხელ მიმართეს, მოგვაშორეთ ზოგიერთი ამხანაგი, როგორც მხეიძე და მკურნალი, რომელნიც ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე, თორემ გურიის ორგანიზაცია იხრწნებაო, საკონტროლო კომისიამ გადამწყვეტი ზომები ვერ მიიღო. ბოლოს სრულიად შემთხვევით, გამოსწორდა ეს საქმე იმით, რომ მენშევიკებმა მოინდომეს გადატრიალების მოხდენა. თურმე ავანტიურა ყოფილა საჭირო, რომ გურიის ორგანიზაცია გაჯანსაღებულიყო. და აი გეუბნებით, რომ თუ გურიაში არ არის ატმოსფერა მოწამლული, თუ იქ ნაკლებად არის შემთხვევები პარტიის დისციპლინის დარღვევისა, ეს მეტწილად, 80 პროცენტი მიეწერება ადგილობრივად მომუშავე ამხანაგებს. რასაკვირველია, აქედან ხელმძღვანელობა იყო, მაგრამ ხელმძღვანელობა უნდა ყოფილიყო 100 პროც.-ით, ნამდვილად კი მხოლოდ 20 პრ.-თ იყო. ამიტომ ვამბობ, რომ საკონტროლო კომისია ამ საქმეში 80 პრ.-ით მოისუსტებდა. ამიტომ საჭიროა საკონტროლო კომისიის სიფაქიზე და სისპეტაკე ავიყვანოთ 100 პროც. მდე იქ გავიყვანოთ ისეთი პირები, რომელნიც იმუშავებენ ისე, როგორც საჭიროა.

ამხ. ძაძმე ლეჟავას საბოლოო სიტყვა

აქ გამოვიდა რამოდენიმე ამხანაგი და ჩემ წინააღმდეგ ილაპარაკა. დავიწყებ ამხ. გაგნიძიდან. მან სთქვა, რომ გაფლანგვის შესახებ მოხსენებაში არაფერი იყო. თუ გახსოვთ, მე ჩემს მოხსენების დროს ვთქვი—აქ მაქვს სტატისტიკური ცნობები გაფლანგვის შესახებ მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი მათი გამოქვეყნება. კინკლაობა არისო, სთქვეს. დიახ, მაშ რას შეეხება მთელი ჩვენი მუშაობა, თუ კინკლაობას არა. ამის გამო რამოდენიმე კაცი გამოირიცხა პარტიიდან. ყოველ მაზრაში არის ეს კინკლაობა. მაგრამ პრინციპიალური ხასიათისა კი არ არის, არამედ პირადი. ამხ. თედორემ აქ თეორეტიულად მშვენივრად დაახასიათა ლენინის აზრები. მაგრამ ლენინის აზრი საკონტროლო კომისიის შესახებ ყველამ კარგად იცის. ჩვენ გვეგონა, თედორე შეეხებოდა ჩვენი კომისიის მუშაობას, მაგრამ იგი სრულებითაც არ შეხებია მას. თედორეს გონებია საკონტროლო კომისია ისეთი ორგანოა, რომელიც ცენტრალურ კომიტეტს ექვემდებარება. ნამდვილად კი საქმე ასეა: რეზოლიუციას ვსწერთ ჩვენ—კომისიის პრეზიდიუმი, ამტკიცებს საკონტროლო კომისია და მერე სამდივნოს გადაეცემა. ეს არის დახმარება. თუ საჩხუბარი არა გვაქვს, რატომ ვიჩხუბოთ. ჩვენ თავს არ დავიმცირებთ და საქმეს ჩხუბამდე არ მივიყვანთ. თედორემ სთქვა, რომ ეს არის დამხმარე ორგანო. ლენინის აზრი მას სისწორით ვერ გაუგია (ხმა: „ბიუროს წევრი უნდა იყოს საკონტროლო კომისიაში"). ბიუროს ყველა დადგენილება უნდა გადაათვალიეროს საკონტროლო კომისიამ და საკონტროლო კომისიამვე უნდა გაატაროს ცხოვრებაში. საკონტროლო კომისიის წევრები ყოველთვის საკონტროლო კომისიის სხდომაზე არიან, ერთად არჩევენ ქაღალდებს და აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

ამხ. ბერია ამბობს, საკონტროლო კომისიის მიღწევები ეხლა უკეთესიაო. ეს რომ არ ყოფილიყო, უბედურება იქნებოდა. უკეთესიაო, მაგრამ ამავე დროს ლაპარაკობს, ვითომ აფხაზეთისთვის და აჭარისტანისთვის არ მიგვიქცევია ყურადღება. ამხანაგო ბერია, ვისი კომისია იყო იქ, აჭარისტანში. ჩვენი კომისია იყო და არა საგანგებოს კომისია. დადგენილებაც არის გამოტანილი და ის გატარებულია აჭარისტანში.

საკონტროლო კომისიის შესახებ ამხ. ლენინის აზრების სავსებით გატარებას ერთ წელიწადში ჩვენ ვერ შევძლებდით. ამას უნდა დიდი დრო. დანგრეული სახელმწიფო იყო, ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა ცოცხალ ადამიანთა მასალა. მართალნი არიან ის პირები, რომელნიც ამბობენ—სათავეში უნდა იდგენ თუგინდ უსტაჟო მაგრამ მაგარი და პატიოსანი ამხანაგებიო. ამაში მართალია ამხ. ბერია. ჩვენ, ამხანაგებო, სუსტად ვმუშაობთ, შეგიძლიათ სხვები აირჩიოთ.

აქ ამხ. ბერიამ ერთი შეცდომა დაუშვა. უნდა გავიხსენო ეს. ეს არის დევდარიანის და მორჩილაძის შესახებ.

ამხ. ეპიფანე კვანტალიანი აქ არის და ის დაგვიმოწმებს, რომ ამხ. დევდარიანი გამოძევებული იყო თელავიდან სხვა ბნელ საქმეებისათვის. ისე მეტად გულმოსული იყო და ამბობდა—უნდა გამოვაგდოთ სულაო. აქ არიან თელაველები და ისინი დამემოწმებიან. შემდეგ განვაგდეთ კიდეც, მაგრამ ეპიფანე კვანტალიანმა აგვიხსნა, რომ ეს უბრალო მუშა იყო, მგონია ზეინკალი. ჩვენ მართალი ვიყავით, როცა ის პარტიიდან გამოვაგდეთ, მაგრამ შემდეგ შევედით მის მდგომარეობაში და როგორც მუშა აღვადგინეთ კიდეც. ახლა, შეიძლება, კარგი ბიჭიც იყოს.

პასუხი ამხ. კალანდაძეს

მე შევეხები ამხ. თედორე და ვარდენ კალანდაძის გამოსვლას. ამხ. თედორე კალანდაძეს ჩვენ კარგათ ვიცნობთ. მე ვფიქრობდი, რაკი ეს ამხანაგი სამი წელიწადი არაფერს აკეთებს, უსაქმოდ იყო, გამოვიდოდა და საქმიანათ რამეს იტყოდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მან ვერაფერი სთქვა.

ამხ. თედორე კალანდაძის ჰგონია, რომ რაკი ის აქტიურ მუშაობის გარეთ დარჩა, თითქოს ჩვენც მის მდგომარეობაში ვიყავით.

თედორეს აზრით საკონტროლო კომისია არის უმაღლესი ორგანო, რომელიც განაგებს ყოველივეს (თედ. კალანდაძე: „ლეჟავა დამეთანხმა ამაზე".) სინამდვილეში ასეთი საკითხის დასმა შეუძლებელია. თედორე კალანდაძეს უნდა, რომ ჩვენ სრულებით მოვსწყდეთ პარტიას. ლენინი ამბობს, ჩვენ უნდა შევქმნათ სამაგალითო დაწესებულება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახით. ეს მართალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ეს უნდა მივიჩნიოთ ყოვლად შემძლე ორგანოდ. ლენინმა სთქვა—უნდა შევქმნათ ისეთი ორგანო, რომელიც დაეხმარება პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებაში. ჩვენ თავიდანვე ამ გზას დავადექით.

ვერავინ დაგვწამებს მიდგომას და ჩვენ, მაგალითად, პასუხისგებაში ვაძლევდით ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგებს. ეს იცოდა ცენტრ. კომიტეტმა, ჩვენ ამაზე ვწერდით პრესაში, მაგრამ ც. კ. არაფერს ამბობდა. მაგალითად, ჩვენ განვაცხადეთ პრესაში მიწათმოქმედების კომისარიატის შესახებ, სახალხო მამულების შესახებ: შეიძლება აქ გადაჭარბებაც იყო, მაგრამ ჩვენ ვებრძოდით ფლანგვას, გადაჭარბებას, ბიუროკრატიზმს და ვამბობდით, რომ ასე მუშაობა არ შეიძლება. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ მომავალში ასე არ უნდა ვმუშაოთ. ჩვენ ექსკურსიას ვაკეთებთ წარსულ მუშაობაში. მე ეს არ მითქვამს ჩვენს მოხსენებაში, ვინაიდან ყველაფერი ამის აღნიშვნა შეუძლებელია. მაგრამ საერთოდ ასეთ მოვლენებს ჩვენ სასტიკათ ვებრძვით და ვამბობთ, რომ ამხანაგები ასე ნუ იმუშავებენ მომავალში. თუ გაიგონებს ხომ კარგი, თუ არ გაიგონებენ—მომავალმა საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ეს მასალები უნდა მიიღოს მხედველობაში და მიიღოს ზომები იმ დაწესებულებათა წინააღმდეგ, სადაც ასეთ დანაშაულებას აქვს ადგილი.

განა ახლა არ დავბეჭდეთ გაზეთებში წარმოკავშირისა და ცეკავშირის შესახებ? განა არ იყო გაფრთხილება სასტიკი? იყო. განა არ იცოდა. ეს უმაღლესმა ორგანომ? იცოდა, და განა დაგვიშალა მან? არ დაუშლია. არ არის მართალი თედორე კალანდაძე, როცა ამბობს თითქოს ჩვენ ვიღაცის გვეშინია. ჩვენ არავის გვეშინია: ჩვენ ვსთქვით, რომ ჩვენი მუშაობა პირველი ნაბიჯი იყო, პირველი ცდა და არ გვითქვამს, რომ ჩვენ ყველაფერი გაგვეკეთებინოს უნაკლოთ. არ გვითქვამს, რომ ჩვენ შეცდომები არ ჩაგვიდენია, მაგრამ ის წითელი ზოლი, რომელზედაც მე თქვენ გითხარით, არის გატარებული მაგრამ ეს არ ესმის თედორე კალანდაძეს. მე იმედი მაქვს, რომ ამ გზას უფრო გადაჭრით დაადგება მომავალი საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

ამხ. ვარდენ კალანდაძემ მოიხსენია ჩემი მუშაობა: თითქოს გურიაში ჩვენ არ ვღებულობდით ზომებს იმ ამხანაგების წინააღმდეგ, რომლებიც ცუდათ მუშაობდენ. მე იქ ვიყავი ალმასკომის თავმჯდომარეთ და თუ როგორ ვმუშაობდი ეს იციან გურიის ამხანაგებმა, ეს იცის გურიის ხალხმა. მე ვატარებდი იმ პოლიტიკას, რომელიც მაშინ იყო საჭირო, როდესაც გარს გვერტყა გაბანდიტებული მენშევიკური პარტია; ჩვენ იქ მაშინ შევინარჩუნეთ ძალა-უფლება განვამტკიცეთ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სიმკვიდრისა და ურყეობის იდეა, ჩვენ ვიგერიებდით მტერს და ვებრძოდით მას. ასეთ მძიმე პირობებში ვმუშაობდით და ვარდენ კალანდაძე კი გვიწუნებს მუშაობას. მართალია ჩვენ სასტიკი ვიყავით, მაგრამ სასტიკი ვიყავით ჩვენი მტრების წინააღმდეგ, რომელთაც ჯერ კიდევ აჯანყებამდე ამოგვიხოცეს ოცამდე მებრძოლი ამხანაგები. რად ღირდა ჩვენთვის ობოლაძე, სანიკიძე, ჩუბინიძე, ჩანტლაძე, ძმები მამალაძეები და სხვები? ისინი დაახრჩვეს მენშევიკებმა და განა ჩვენ გულხელ დაკრეფილი უნდა ვყოფილიყავით? ჩვენ ჩვენი მტრების წინააღმდეგ ვღებულობდით შესაფერ ზომებს. ეს საჭირო იყო.

ამხანაგების უვარგისობაზე რომ ლაპარაკობენ (მხეიძის, მკურნალის) რაშია საქმე? განა პარტიულმა კომიტეტმა და ალმასკომმა არ გადმოიყვანა მხეიძე, რომელიც ვერ ატარებდა იმ ხაზს, რაც საჭირო იყო? ეს ჩვენ მოვახდინეთ და ვარდენ კალანდაძემ კი საბუთად იხმარა, ვითომ ჩვენ გურიაში არ ვმუშაობდით. თუ მე ვიქნები ხომ კარგი, თუ არ ვიქნები არაფერი არსებობს. არავინ არაფერს აკეთებსო — არ შეიძლება, ამხანაგებო, საკითხის ასე დაყენება. გურიაში კარგათ არის საქმეო—განაცხადა ვარდენ კალანდაძემ. რატომ უნდა ვილაპარაკოთ მარტო გურიაზე? საერთოდ ვსთქვი, რომ გურიის ორგანიზაცია არ ჩაითვლება დაავადებულათ. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ დეფექტებს, არანორმალურ მოვლენებს აქვს ადგილი. მხოლოდ ეს აღნიშნა საკონტროლო კომისიამ.

ჩვენ დღეს მოვახსენეთ ცენტრალურ კომიტეტს, რომ გურიაში იყო უთანხმოება თვით ცენტრში არ გვინდა ეს უთანხმოება იყოს. ამაზე მიუთითეთ პარტიას. საიდან აიღო ამხანაგმა ვარდენმა, რომ ყველაფერი რიგზე არის. თურმე ნუ იტყვით, მენშევიკებმა მოამზადეს აჯანყება, შემდეგ იქ მოხვდა ვარდენ კალანდაძე და ყველაფერი რიგზე მოაწყო. ასეთი დაყენება საკითხის არ შეიძლება. ჩვენ არ უნდა გავთელოთ ფეხ-ქვეშ ჩვენი ნამუშევარი. თუ გამოსწორება არის საჭირო, უნდა ჩაუდგეთ სათავეში და გამოვასწოროთ. ასევე არის სხვა მაზრებში. მივლენ ახალი ამხანაგები და იწყებენ ძველების „გინებას", ჩაუდექით სათავეში და გასასწორებელი რაც არის გაასწორეთ. შემოიკრიბეთ გარშემო ყველა ცოცხალი ძალა და ეს იქნება სწორი მუშაობა. მაგრამ თუ თქვენ მიადექით იმის ლანძღვას, რაც წარსულში იყო, ეს მხოლოდ მხარის დაჭერა იქნება ჩვენი მტრების.

პასუხი ამხ. ბერიას

ახლა ამხ. ბერიას უპასუხებ. მან აღნიშნა ზოგიერთი დეფექტები ჩვენი მუშაობისა, ჩვენ ვთქვით, რომ ქვეყანა არ ავიშენებია. წლინახევრის განმავლობაში არც შეგვეძლო დიდი რამის გაკეთება. საპასუხისმგებლო მუშაობისათვის საჭირო არის გამოცდილება. შეიძლება ჩვენ ყველაფერი ვერ გავითვალისწინეთ. მან სთქვა, რომ არავითარ „სიგნალს" პარტიას საკონტროლო კომისია არ აძლევდაო. არ არის ეს მართალი, თუ ვერ მოვასწარით ყველაფერი, არც ამაშია კომისია გასამტყუნარი. ჩვენ სიგნალს ვაძლევდით პარტიას. განა სიგნალი არ არის ის, ჩვენ რომ ვლაპარაკობდით: „დაწესებულებები არ არის სათანადოთ, რიგიანად მოწყობილი". განა სიგნალი არ იყო, ამხ. ბერია, ჩვენი პირველი პლენუმის მიერ გამოტანილი თეზისები, რომ მაზრებში არ არის მიდგომა გლეხებისადმი ისეთი, როგორც საჭირო არის. ეს იყო მენშევიკების აჯანყებამდე. ჩვენ ვთქვით მაშინ, რომ ზოგიერთი ამხანაგი ვერ უდგება ისე გლეხებს, როგორც საჭირო არის. და ამისათვის საჭიროა მათი გადმოყვანა, მომზადება, კურსების გახსნა და სხვა ასეთი. ესეც სიგნალი იყო და ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რაც მტკიცდება ეხლა.

ამხ. ბერია ლაპარაკობდა აგრეთვე საკონტროლო კომისიის შემადგენლობაზე. მე არ ვიცი მას პიროვნებები ყავს მხედველობაში, თუ მთელი საკონტროლო კომისია. ბერიაზე უწინ დავბეჭდეთ გაზ. „კომუნისტში" ვრცელი წერილი, საკონტროლო კომისიის შესახებ.

ჩვენ გვისაყვედურებს ამხ. ბერია, თითქოს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებს არ ვაქცევდეთ ყურადღებას, ეს არ არის მართალი. ერთი წლის წინეთ განვიხილეთ გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის მუშაობა, გამოვიტანეთ ჩვენი დადგენილება და სამუდამოდ ავკრძალეთ მათი ვაჭრობა. ეს არის ჩვენს მასალებში, მაგრამ ეს არ იცის ბერიამ იმიტომ, რომ ის არ მოსულა საკონტროლო კომისიაში და არ გასცნობია ამას.

შემდეგ ბერიამ ილაპარაკა სტაჟის შესახებ, რომ საკონტროლო კომისიის არჩევის დროს არ უნდა მიექცეს ყურადღება სტაჟსო. (ბერია: არ შეიძლება მარტო სტაჟით ხელმძღვანელობა). ეს აზრი არავის არ ჰქონია და არ ვიცი რატომ სთქვა ბერიამ. (კვანტალიანი: შენ არ შეგეხება ეს). ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ თუ ეს სტაჟიანი ღირსეული ამხანაგები არიან, ისინი ავირჩიოთ და არა 24—25 წელში შემოსული ამხანაგები. ჩვენ უნდა ავირჩიოთ სწორე მომწიფებული, გამჭრიახი, სტაჟიანი ამხანაგები და თუ ასეთები არ იქნებიან, მაშინ სხვა არის.

მე ეხლა სხვა საკითხებზე არ უპასუხებ, რადგანაც დრო არა მაქვს, მხოლოდ გთხოვთ მოისმინოთ ის წინადადებანი, რომელიც ჩვენ გვაქვს და ვთხოვთ ყრილობას ეს წინადადებები დაამტკიცოს მან.

ამხ. დოლიძის საბოლოო სიტყვა

პასუხი შეკითხვებზე

ამხანაგებო, აქ პირველ ყოვლისა, რამოდენიმე შეკითხვა იყო, რომლებზედაც მე შევეცდები პასუხი გავცე.

ამხანაგი გვეკითხება, რა მოხდა ახალციხის მაზრაში და რა ზომები მიიღეს მის გამოსასწორებლად.

ამხანაგებო, იქ ჩვენი ცენტრალური ორგანოების უხეირო თანამშრომელთ მუშაობის წყალობით, ადგილობრივი მცხოვრებნი, გაბრაზებულნი იყვნენ. საქმე შეეხებოდა მიწას და საძოვარ ადგილებს. მაგრამ ჩვენ ეს საქმე მოვაგვარეთ და გაუგებრობას ადგილი აღარ ჰქონია.

გვეკითხებიან გაფლანგვების შესახებ.

გაფლანგვის წინააღმდეგ, ამხანაგებო, ჩვენ ვღებულობდით ზომებს. გაზეთებში ამოიკითხავთ, რომ ჩვენ მიითვისების, გაფლანგვის, უმოქმედობის წინააღმდეგ მოვქმედობდით.

აქ გვეკითხებიან, როგორ უყურებთ იმ საკითხს, რომ ზოგ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ქართულად და რუსულად არის საქმის წარმოებაო. ყველამ იცის, რომ ქართული ენისა და საერთოდ გაეროვნების შესახებ სათანადო დადგენილება არსებობს. ეს დადგენილება ტარდება და საბოლოოდ უნდა გატარდეს ცხოვრებაში, მაგრამ თუ ჯერჯერობით ყოველისფერი ვერ მოვასწარით, ეს იმას არ ნიშნავს რომ მას ხელს უშლის ვინმე. ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენ არა ვართ მზად სავსებით. მე ვიცი ჩვენი დაწესებულების მაგალითი, რომ იქ ხშირად ზოგიერთ საქმეებს რუსულ ენაზე აწარმოებენ. მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს: ეს არ ნიშნავს იმას რომ უმაღლესი ორგანოს დადგენილება შებღალული იქნება. თავის დროზე ეს გატარებული იქნება ცხოვრებაში, მაშინ როდესაც სათანადო პირობები დადგება. საჭიროა მომზადება, საჭიროა ცოდნა. საერთოდ გაეროვნება ტარდება ყველგან.

ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთში რამდენიმე ამხანაგი იყო გადაყენებული, შემდეგ როგორც მოგახსენეთ, ზოგიერთმა ამხანაგმა განიზრახა პროტესტი განეცხადებია და მე ვსთქვი, რომ ასეთი მოვლენა უნდა დავგმოთ. თუ არის რამე მძიმე დანაშაულების ნიშნები ეს საკითხი უნდა დავსვათ საკონტროლო კომისიაში, უნდა გადასინჯულ იქნას მთელი ორგანიზაცია, მიღებულ იქნას სათანადო ზომები.

გვეკითხებიან: თქვენ განაცხადეთ ლოთობას გამო აღდენი დაისაჯა, იყო თუ არა ასეთი შემთხვევა საკონტროლო კომისიაში.

ამხანაგებო, ჩვენ რომ პარტიაში ლოთობას ვებრძვით, ეს იცის მთელმა პარტიამ და მთელმა ორგანიზაციამ. საკონტროლო კომისიის წევრი თუ არის ეს, რასაკვირველია საკონტროლო კომისია მიიღებს მის წინააღმდეგ სათანადო ზომებს. ამის მაგალითი ჩვენ გვქონდა, აი სწორედ იმ მორჩილაძის შესახებ, რომელზედაც ილაპარაკა ამხ. ბერიამ, მე მგონია ეს არ იყო ისეთი დიდი საკითხი, რომ მის შესახებ ლაპარაკი განგვეგრძო. ამხანაგმა დაარღვია პარტიული ეთიკა. ჩვენ არავის არ ვაპატიებთ ამას, არ ვაპატიებთ არც საკონტროლო კომისიის წევრს და არც პარტიის წევრს. ჩვენ მორჩილაძე დავსაჯეთ ამისათვის, მოვხსენით მუშაობიდან. იგი დაისაჯა ღირსეულად. ისეთ ამხანაგს, რომელიც თვრება (არა თუ საკონტროლო კომისიის წევრი, ვინც უნდა იყოს) ჩვენ ვერ მოვითმენთ, მარტო საკონტროლო კომისიაში კი არა, ვერსად ვერ მოვითმენთ. ამას ჩვენ ვატარებთ ცხოვრებაში, ეს ყველასათვის ცხადია.

რამდენად შეეფერება სიმართლეს ლეჩხუმის ამბავიო—მეკითხებიან აქ. ამხანაგებო, სიმართლეა ლეჩხუმის ამბები. ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული და ისინი სასტიკად დაისაჯნენ კიდეც. შემდეგ გადაისინჯა მთელი ორგანიზაცია და გამოაძევეს პარტიიდან 60—60 კაცი, რომელნიც არა სასურველი ელემენტები იყვნენ პარტიისათვის; ეს ეცოდინება იმას, ვინც შეკითხვა შემოიტანა.

არის კიდევ ასეთი შეკითხვა. უკანასკნელი წმენდის დროს გამოირიცხენ პარტიიდან ისეთი წევრები, ვინც ვერ მოიცილა თავიდან რელიგიური აზრები, მაგრამ ვინც გამოსწორდა და მოიშორა თავიდან ეს აზრები, იმათ მივიღებთ პარტიაში, თუ? ვინც გამოსწორდა, იმათ წინააღმდეგ სხვა რამ ჩვენ არაფერი გვაქვს.

არის კიდევ ასეთი შეკითხვა სიღნაღის მაზრისა და „მუშაში" დაბეჭდილ წერილების გამო. ჩვენ დავავალეთ კომისიას, გამოერკვია, თუ რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ეს. კომისია დაბრუნდა კიდეც და ოფიციალური მოხსენება გააკეთა. მე აქ არ ვიყავი, მაგრამ გადმომცეს, რომ ყოველივე ის, რაც აღნიშნული იყო ამ წერილში არ გამართლდაო. წერილში ნაწილობრივ მართალი იყო ნათქვამი, მაგალითად, ზოგიერთ ამხანაგების შესახებ, მაგრამ ჯერ ეს სასამართლოს არ გაურჩევია- უნდა აღვნიშნო, რომ საერთოდ წერილი გადაჭარბებული იყო. (ხმა „რა ზომები მიიღეთ მათ წინააღმდეგ".) ჩვენ რა ზომები მივიღეთ. როცა ყალბი ცნობები იბეჭდება გაზეთებში, ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ეს ცნობა ყალბია, და მერე ბრძოლა უნდა ვაწარმოვოთ და სასტიკი ზომები მივიღოთ საერთოდ, ჩვენ რომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ კორესპონდენტებს, ეს იქნება ჩვენი პარტიის ხაზის გაღუნვა. ჩვენ ფართო საშუალებას ვაძლევთ კორესპონდენტებს, რომ აღნიშნონ ჩვენი საჭიროებანი და ნაკლოვანებანი. სიყალბე კი უნდა დაისაჯოს, ჩემის აზრით. თქვენი მოვალეობა არის, გამოარკვიოთ სისწორე. მე არ შემიძლიან არ შევეხო ასეთ მდგომარეობას და არა ვსთქვა, რომ ხშირად გადაჭარბებაა პრესაში. დაიბეჭდა გაზ. „მუშაში" ერთი ამხ. ქალის მარო ლომინაძის წინააღმდეგ (გურიაშია) საშინელი წერილი. ის, რაც წერილში სწერია, თუ მართალია, არამც თუ პარტიიდან უნდა გამოირიცხოს, არამედ უმაღლესი სასჯელით უნდა დაისაჯოს. მე ვფიქრობ, რომ შეუმოწმებლათ ასეთი მასალების დაბეჭდვა შეუძლებელია. შემდეგ ჩვენ ვღებულობთ ცნობას, რომ ლომინაძეს პარტიული კომიტეტი ირჩევს კომიტეტის წევრად. ვეკითხებით გურიის ამხანაგებს—ეს წერილი არის დაბეჭდილი, ჯერ მას არც კი გაეცნო საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია, როგორ აირჩიეთ ლომინაძე კომიტეტის წევრად, რაშია საქმე? მათ გვითხრეს.—ეს სიყალბე არისო. მეც ეჭვი მეპარებოდა. საერთოდ ჩვენს პარტიაში მომუშავე ქალები მეტად ცოტაა და თუ ჩვენ მათ უთავბოლოდ ჩირქს მოვსცხებთ, ეს შეუწყნარებელი მოვლენა იქნება. თუ გამოირკვა, რომ ის ქალი მართალია, მაშინ იმ წერილის ავტორს სასტიკი სასჯელი მოელის. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ რედაქციების მადას ამ მხრივ ფრთები შევაკვეცოთ. „კომუნისტი"-ს რედაქტორი ამ შემთხვევაში უფრო დინჯად და წინდახედულად იქცევა. „მუშის" რედაქციას კი ეს ნაკლი აქვს და ეს უნდა გამოასწოროს.

აქ გვეკითხებიან, რა ბრალი ედება მორჩილაძესაო, მორჩილაძე არის პარტიის ძველი წევრი, მუშა. პარტიის მესამე ყრილობამ ის აირჩია საკონტროლო კომისიაში. მე არ ამირჩევია. პარტიამ აირჩია. პარტიამ იცოდა თუ რას წარმოადგენდა ამხანაგი მორჩილაძე. ის იყო ძველი მუშა, ძველი კომუნისტი. ეხლა რა დანაშაულობა ჩაიდინა მან. ის, რაც მე გითხარით. ბევრ ჩვენს ამხანაგს აქვს სუსტი მხარე; ეს სუსტი მხარე არის ის, რომ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს უყვართ დალევა, პარტიაც ამას ებრძვის. ამხანაგმა მორჩილაძემ დალია ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ამ დათრობით ჩაიდინა ის, რაც მას არ უნდა ჩაედინა. ზოგიერთი ამხანაგები ძალიან აადვილებენ დათრობას. ისინი ამბობენ—ჩვენ ქართველები ვართ და უნდა დავლიოთო, ეს დაუშვებელია. ჩვენ მივიღეთ ზომები იმ ამხანაგის წინააღმდეგ, რომელიც არ იდგა თავის მოვალეობის სიმაღლეზე და დავითხოვეთ იგი. მაშ ხომ არ დავახრჩობდით?

აქ მეკითხებიან: რატომ ადგილობრივ არ იციან ამხანაგებმა გადასინჯვის შედეგებიო. ეს შედეგები ამხანაგებს ეცოდინებათ, მხოლოდ ახლა დამუშავდა გადასინჯვის შედეგები. ამასთანავე ყველგან კომისიები იქნება შედგენილი, რომელნიც გაეცნობიან იმ დეფექტებს, რაც აღნიშნულია შემოწმების დროს და შეიმუშავებენ საჭირო ზომებს.

რაც შეეხება ამხანაგებო ზუგდიდის მაზრას და იმას, თუ რა როლს თამაშობდენ იქ ზოგიერთი ამხანაგები, რომელთა შესახებ არაფერი არ გვითქვამს, ამას გამოარკვევს კომისია. ეს კომისია იქ უნდა წავიდეს ჩვენი დადგენილების თანახმად (ხელთათმანებზე ლაპარაკობენ) მე არ ვიცი რომელი კომუნისტი ატარებს ხელთათმანებს. მე მგონია ჩვენ ბენია ჩხიკვიშვილები არა გვყავს პარტიაში, რომ თეთრი ხელთათმანები ეცვას. თუ კი ზამთარში თბილ ხელთათმანებს გაიკეთებს ხელზე, ეს შესაწყნარებელია.

ახლა ამხანაგებო, ზოგიერთ ორატორების შესახებ. ამბობენ თითქოს ჩვენ მოვიკოჭლებდით მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს არ არის მართალი. თუ გადაათვალიერებთ ჩვენს მუშაობას და დაათვალიერებთ ჩვენ მიერ მოხდენილ რევიზიებს, დაინახავთ, რომ ჩვენ ამას სასტიკად ვებრძოდით და სათანადო ორგანოებს გადავცემდით ხოლმე მათ საქმეებს. ლაპარაკობენ პროკურატურის შესახებ. მაგრამ ამის შესახებაც არის მიღებული ზომები და დღეს პროკურატურის მუშაობაც გამოსწორებულია. თქვენ იცით, თუ რა სასტიკ ზომებს იღებს ჩვენი იუსტიცია გამფლანგველების და მიმთვისებლების წინააღმდეგ.

მეშვიდე სხდომა

პარტიის მუშაობა სოფლად

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება*)

ამრიგად, ამხანაგებო, როდესაც ჩვენს წინაშე სდგას სოფლად მუშაობის საკითხი, ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ ყოველთვის იმ მასალებიდან, რომელიც იძლევა ჩვენი სოფლის ეკონომიურ შესაძლებლობის სურათს. ამაოა სოფლად მუშაობა, თუ მას სარჩულად არ დაედო ეს ცნობები და მისგან გამოტანილი, შესაფერისი დასკვნა.

საქართველოს, სოფლის მეურნეობა ორნაირია, ერთია—აღმოსავლეთ საქართველოს მეურნეობა და მეორე—დასავლეთ საქართველოსი. ეს მხარეები განირჩევა ერთმანეთისაგან ნიადაგის და ჰავის მხრივ. აღმოსავლეთი საქართველო, უმთავრესად, პურეულის და მეჯოგეობის ქვეყანაა, ამას ვერ ვიტყვით ჩვენ დასავლეთ საქართველოზე. აქ მეტი შესაძლებლობაა ძვირფას კულტურის მოსაშენებლად. ამასთანავე დასავლეთი საქართველო განირჩევა აღმოსავლეთ საქართველოსაგან თავის მიწის სივიწროვით, აქედან გამომდინარეობს შესაფერისი დასკვნები. ჩვენი ქვეყნის დასავლეთი მხარე უნდა გადავიდეს ძვირფას მცენარეულობის მოშენება-გაფართოვებაზე. ამ მუშაობას აქედანვე უნდა შეუდგეთ და თანდათანობით გავატაროთ ცხოვრებაში. მეორე მხრივ, საჭიროა სოფლის მეურნეობაში შემოღებულ იქნას წარმოების გაუმჯობესებული წესები. ამ მხრივ, თითქმის არაფერია გაკეთებული. მე წინააღმდეგი ვარ, პირადათ, იმ ელექტროფიკაციის, რომელსაც დღემდის ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ზაჰესის მომავალი ძლიერი ელექტრონის სადგური, უმთავრესად, განხრახულია თბილისის საჭიროებას მოხმარდეს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ შემთხვევაში მხედველობიდან არ გაგვეპაროს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება, უამისოთ ჩვენ ვერ მივაღწევთ იმ მჭიდრო კავშირს სოფელსა და ქალაქს შორის, რომელიც მთავარ ამოცანათაა მიჩნეული ჩვენს დღევანდელ მუშაობაში.

რა მდგომარეობა არის ეხლა ჩვენში სოფლის მეურნეობის ტრაქტორიზაციის მხრივ, რომელზედაც ასე ბევრს ვლაპარაკობთ. მთელ საქართველოში 40-მდე ტრაქტორია. ამათგან 18 ყოფილა შარშან და 22 მიმატებია ამ წლის განმავლობაში. რასაკვირველია, ამხანაგებო, ეს რიცხვი ძალიან მცირეთ უნდა ჩაითვალოს. გამოწერილია კიდევ სოფლის საჭიროებისათვის 55 ტრაქტორი. მაშასადამე, მომავალ წელში ჩვენ გვექნება 90 ზე მეტი მიწის დასამუშავებელი მანქანები. მაგრამ, ეს რიცხვიც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ჩემი აზრით პირველ ხანებში მაინც, რომ სოფელს რამდენათმე დაეტყოს მანქანების შემოღება, საჭიროა 200-მდე ტრაქტორი, შემდეგ კი ეს რიცხვი უნდა ავიყვანოთ 500-მდე. ასეთია ჩვენი სოფლის დასაკმაყოფილებლად ტრაქტორების მინიმუმი.

ამბობენ, ტრაქტორები ჩვენში არ გამოდგებაო. ეს არის, ამხანაგებო, მართალი. ჩვენში აქა-იქ მოიპოვება ისეთი ადგილები, სადაც ტრაქტორის გამოყენება მოუხერხებელია, მაგრამ საერთოდ ტრაქტორიზაციას ჩვენი მეურნეობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორ უნდა ხდებოდეს ამ ტრაქტორების შეძენა? საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ასეთი შესაძლებლობა უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან. ესაა, პირველ ყოვლისა, გლეხების ფართე მასების თვითმოქმედება. უნდა შეიქმნას სოფლად არტელები და გაერთიანებული ძალით სოფლებმა უნდა მიჰყოს ხელი სოფლის მეურნეობის წარმოების იარაღების გაუმჯობესებას. ეს იქნება, ერთი მხრივ, საუკეთესო საშუალება, მეურნეობის საერთო აწევისთვის და თვითეულ გლეხის ნივთიერ მდგომარეობის მოღონიერებისათვის.

ასევე უნდა ითქვას ელექტროფიკაციაზე. ჩვენში ელექტროფიკაციას უძღვებიან საბჭოთა ორგანოები, რუსეთში კი დგება კოოპერატივები და არტელები, რომლებიც ატარებენ მას ცხოვრებაში. იქ ელექტრონის ენერგიას იყენებენ არა მარტო განათებისათვის, არამედ წისქვილებისათვის და სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

კოოპერაცია

გადავდივარ, ამხანაგებო, სოფლად კოოპერატივის მშენებლობაზე. ჩვენ ვიცით, რომ კოოპერაცია დღეს საგრძნობლად მოისუსტებს. ვინ არის ამაში დამნაშავე? აშკარაა, აქ ბრალს ვერ დავდებთ მარტო იმათ, ვინც თვით ამ კოოპერატივებში მუშაობს. ამაში დამნაშავე ვართ ყველა ჩვენ, პარტია და ხელისუფლება. აქ ერთ-ერთმა დელეგატმა განაცხადა, რომ ზუგდიდის მაზრაში დიდია კოოპერატივებისადმი დავალიანებაო და ამ დავალიანებაში წილი უდევთ აგრეთვე, კომუნისტებსაც კი, მათ გააქვთ კოოპერატივიდან საქონელი ნისიად და ვალს დროზედ არ უსტუმრებენო.

კოოპერაციის სოფლად მუშაობაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხკაცობის სოციალისტურ გზაზე დაყენებას მხოლოდ და მხოლოდ კოოპერაციის საშუალებით შევსძლებთ. განსაკუთრებით დიდია აქ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის როლი. მას ჩვენში ფართო ნიადაგი და მოქმედების დიდი ასპარეზი აქვს. ჩვენი ქვეყანა მრავალსახოვან მეურნეობის ქვეყანაა. სასოფლო სამეურნეო კოოპერაციამ უნდა შეაკავშიროს ღარიბი გლეხობა და გასავალი მოუპოვოს მათ ნაწარმოებს.

წელს, როგორც ვიცით, კოოპერაციისათვის გადადებულია 25.000.000 მანეთი, აქედან სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მოხმარდება 15.000.000 მანეთი, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს კი ამ თანხიდან შეხვდებათ 400.000 მ. ნ. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ სამეურნეო კრედიტის გასაძლიერებლად სახელმწიფოს მიერ გადადებულია 80.000.000 მანეთი. ამას კიდევ ემატება 25.000.000 მანეთი, რომელიც უნდა გამოიყოს სამეურნეო სესხიდან კოოპერაციის სასარგებლოდ. მაშაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რა დიდი ყურადღება ექცევა ხელისუფლების მიერ კოოპერაციას და რა მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მას საბჭოთა ხელისუფლება.

სამწუხაროდ ჩვენში სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია მეტად უმწეო მდგომარეობაშია. პარტიამ უკვე მიიღო ზომები მის გასაჯანსაღებლად და გასაცხოველებლად. დღეს კოოპერაციაში, როგორც ვიცით, უმთავრესად გაერთიანებულია შეძლებული გლეხობა და ის კი, ვინც უნდა იყვეს, ჩვენი შეხედულებით, დარაზმული კოოპერატივებში, ამ ორგანიზაციების გარეშე სდგას. ეს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუწყნარებელია და უნდა იქნას მიღებული ზომები, რაც შეიძლება მეტი მშრომელი გლეხობა ჩავაბათ კოოპერატიულ გაერთიანებებში.

არ შემიძლია, გარდა ამისა, არ შევეხო ჩვენი კოოპერატივების კიდევ ერთ დამახასიათებელ სენს. ეს არის კოოპერატივების არა ბუნებრივი ზრდა, ზრდა საკუთარ შეძლების ანგარიშის გაუწევლად; მაგალითად თბილისის მუშკოოპები თავისი გარეგნული გამომეტყველებით, საუკეთესო ევროპიულ მაღაზიებს მოგვაგონებენ. ამაზე, რა თქმა უნდა, ფული იხარჯება მაშინ, როდესაც ეს თანხები, შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სხვა, გადაუდებელ საჭიროებაზე რომელიც ჩვენ უთუოდ მოგვეძებნებოდა, თუნდაც აქ შემთხვევაში ავიღოთ ჩვენი მუშათა საზოგადო მშენებლობა. გადაათვალიერეთ გაზეთები, თქვენ იქ ხშირად ამოიკითხავთ, რომ ოზურგეთში, თელავში და სხვაგან, მთელი თვეობით არ არის ნავთი. ნავთი არ არის ისეთ ქალაქებშიაც კი, რომელთაც უშუალოდ უდგება რკინისგზა, და სადაც, ცისტერნები გაივლიან. რას უნდა მიეწეროს ეს? ჩვენ ვიცით, რომ ნავთის ვაჭრობა ჩვენს ხელშია; საჭიროა აქ ერთგვარი ფხიანობის გამოჩენა, რომ ასეთ მოვლენას არ დაურჩეს ადგილი. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც სოფლის კოოპერატივებს ჩამოჰკიდებენ ბოქლომს ძალიან დიდ ბოქლომს და ისინი მთელი საათობით კარ გამოკეტილი არიან, ე. ი. ვაჭრობენ შიგ ისე, როგორც ეს მათ მოესურვებათ. ისიც ხომ საყოველთაო მოვლენათ გადაიქცა, რომ კოოპერატივებში ფართოთ გაიდგა ფეხი მფლანგველობამ, სახალხო ქონების მტაცებლობამ და დაუდევრობამ.

ამას წინათ, მაგალითად, ბორჯომში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: უეცრივ გაჰქრა ბაზრიდან პური, მთელი ქალაქი ავადმყოფებით, მოაგარაკეებით და ადგილობრივი მოსახლეობით უპუროთ დარჩა. რისთვის, რათა? გამოირკვა, რომ კოოპერატივი კრედიტში იღებდა ფქვილს, მან ეს ფქვილი პურად გამოაცხო, გაჰყიდა, ფული სხვა საქმეს მოახმარა და ვალი არ გაისტუმრა.

კოოპერაციის გაჯანსაღება დამკვრელ ამოცანათ უნდა იქნეს მიჩნეული. ყრილობამ უნდა გამოიტანოს შესაფერი დადგენილება.

მიწათმოწყობა

მინდა კიდევ, შევეხო ჩვენი სოფლის ერთ უმნიშვნელოვანეს, საჭირბოროტო საკითხს, როგორიც არის მიწის სივიწროვე და მასთან ბრძოლის საშუალებანი. როგორ უნდა დავახწიოთ თავი მიწის ნაკლებობას და მისგან გამოწვეულ უარყოფით მოვლენებს? იბადება კითხვა, როგორაა განაწილებული არსებული მიწა მოსახლეობის შორის. გვაქვს, ცნობები რომლებიც სავსებით ამომწურავი არ არის. ამ ცნობების თანახმად სოფელთა შორის მიწათმოწყობა ჩატარებულია 839 სოფელში, რომლის სივრცეც უდრის 7.010 დესეტინას, ეს შეადგენს მთელი სოფლების—26 პროც. მაგრამ ეს საქმეს არ შველის, საჭიროა კომლეული მიწათმოწყობა. ეს შესრულებულია 230 სოფელში და დანაწილებულ მიწის სივრცე უდრის 36.000 დესეტინას. ამ რიგად იმ სოფლების რიცხ

---

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი" № 280

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი, სადაც ჩატარებულია კომპლექტური მიწათმოწყობა უდრის მთელი სოფლების 7 პროც. და მოსახლეობის—10 პროც. მაშასადამე, დარჩენილი ყოფილი მცხოვრებთა დიდი ნაწილი, სადაც ჯერ კიდევ არაა ჩატარებული მიწათმოწყობა.

ეს ცნობები არ ეხება აჭარისტანს, აფხაზეთს და სამხრეთ-ოსეთს. პირველ ორ ავტონომიურ რესპუბლიკებში მიწათმოწყობა სრულიად არაა დაწყებული. რაც შეეხება სამხრეთ-ოსეთს, იქ ეს მუშაობა ნაწილობრივად სწარმოებდა.

აქედან აშკარაა, რომ საჭიროა მიწადმოწყობის დაჩქარება. თუ ჩვენ გვეყოლა 200-მდე მიწისმზომელი, ჩვენ ამ საქმეს დავათავებთ 5 წლის განმავლობაში.

ჭაობების ამოშრობა და მორწყვის საქმე

მეორე საშუალებათ მიწის სივიწროვესთან ბრძოლაში, უნდა ჩაითვალოს ჭაობების ამოშრობა. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს მიღებული შესაფერისი ზომები. რომ ამოვაშროთ ფოთის, აფხაზეთის და სხვა ჭაობები, ყველა ესენი გაანთავისუფლებს დაახლოვებით 900.000 დესეტინა მიწას. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მორწყვის საქმის მოწესრიგებას. ეხლა კეთდება, როგორც ვიცით, ტირიფონის და ალაზნის არხი, განზრახულია აგრეთვე გაყვანილ იქნას სამგორის არხი. მორწყული ერთი დესეტინა მიწა ხშირად 2 დესეტინის მოსავალს იძლევა. ის არ ზიანდება გვალვებით. ამრიგად, მორწყვის საქმე უნდა გაძლიერებულ და გაფართოვებულ იქნას.

გადასახლების საკითხი

მიწის სივიწროვესთან ბრძოლაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე გადასახლების საქმესაც. აქ ერთი დელეგატი ამბობდა, რომ გლეხი ისე ადვილად არ თანხმდება გადასახლებაზე; ის ვერ შორდება მშობლიურ კუთხეს, თუნდაც იქ ცხოვრება ძალიანაც უძნელდებოდეს. ფაქტები წინააღმდეგს ამბობენ. ჩვენ ვიცით მაგალითები, რომ რაჭველი გლეხები არ გაურბოდენ გადასახლებას ჩრდილოეთ კავკასიაში, კახეთში და სხვაგან. მაგრამ მთავარი ისაა, რომ გადასახლებას წინ ეღობება თავისუფალ მიწების უქონლობა.

სხვა ზომები მიწის სიმცირის დასაძლევად

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, მიწის სივიწროვესთან ბრძოლაში და სოფლის თავისუფალ მუშა-ხელის საქმეში დასაბანდებლად ფაბრიკა-ქარხნების გაშენებას და უკვე არსებულ მრეწველობის კიდევ უფრო განვითარებას, მაგრამ ეს კი ზემოთ დასახელებულ ზომებთან შედარებით, უფრო ძნელი საქმეა და გვიან მოხდება.

სახელმწიფო ღებულობს აგრეთვე ზომებს, რომ შეამსუბუქოს მიწის სივიწროვე სახელმწიფო მამულების, ზოგიერთ შემთხვევაში, ნაწილობრივად და, ზოგჯერ, მთლიანად გლეხობისათვის გადაცემისათვის. მაგრამ ეს მიწები არც ისე ბევრია და ეს კითხვას ვერ გადასჭრის. ის მხოლოდ რამოდენიმე ასეულ გლეხს დააკმაყოფილებს.

შინამრეწველობა

გარდა ამისა, ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული შინამრეწველობის განვითარებას. უკანასკნელ დრომდი იყო შემთხვევები, რომ შინამრეწველობას კიდეც ავიწროვებდენ; დღეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. მიღებულია ზომები შინამრეწველთა ნედლეულობით უზრუნველსაყოფად და მათ კოოპერატიულად შეკავშირებისათვის. ყრილობამ უნდა გამოიტანოს დადგენილება, რომ ამ მხრივ მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდეს.

საგზაო მშენებლობა

უდიდესი საკითხია სოფლად მუშაობაში საგზაო მშენებლობა. აქ მე უმთავრესად ვგულისხმობ გზატკეცილებს პირველ ხანებში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, უკანასკნელად კი ფეხი გაიდგა ერთგვარ გულგრილობამ და დაუდევრობამ. დღეს, უგზოობის გამო, სოფლის საქონლის მოძრაობა შეზღუდულია. უნდა დაისვას კითხვა გზატკეცილების გაყვანისათვის ბიუჯეტიდან ნავარაუდევ თანხის გასადიდებლად, უნდა იქნეს გატარებული გზების მშენებლობისათვის სოფლის იძულებითი გამოყვანის კანონი. ამაში დაინტერესებულია თვით გლეხობა და მისი მეურნეობის გაუმჯობესება-წარმატების საქმე.

გლეხკომები

გადავდივარ გლეხკომებზე. ჩვენი სოფლის პირობებში გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ცხოვრების ყოველგვარ სახსარს მოკლებულნი, გაღატაკებულნი გლეხები, საკმაოდ მოიპოვებიან დღეს ჩვენს სოფლებში.

ეს სიბეჩავე და სიღატაკე გამოწვეულია იმპერიალისტურ და ნაწილობრივად სამოქალაქო ომით. საჭიროა ამ მოსახლეობის გაერთიანება, მის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ზრუნვა. ამისათვის კი გლეხთა კომიტეტები უნდა მოქმედებდენ გარკვეულ ფარგლებში. სამწუხაროდ, ისინი ხშირად სცდებიან თავის დანიშნულების გზას და ითვისებენ სხვის ფუნქციებს. ადგილი აქვს აგრეთვე ბოროტმოქმედებას. გლეხკომებმა საზოგადო ძალებით უნდა დათესონ მიწები, ხელი შეუწყონ მშრომელი მოსახლეობის კოოპერაციაში გაერთიანებას, საპაიო გადასახადის შეტანით და სხვა ასეთებით.

სასოფლო-სამეურნეო ბანკი

ჩვენში მუშაობს სასოფლო-სამეურნეო ბანკი. მის არსებობას ერთი წლის ისტორია აქვს. ამ ბანკს თავიდანვე უმნიშვნელო ძირითადი თანხა ჰქონდა, მაგრამ კრედიტის და სხვა საშუალებებით მან შესძლო გადაეტრიალებინა ამ ხნის განმავლობაში 7.000.000 მანეთის რაოდენობით. ყრილობამ უნდა მიიღოს დადგენილება, რომ გაუდიდდეს სასოფლო-სამეურნეო ბანკს ძირითადი საბრუნავი თანხა, ეს გააძლიერებს გლეხთა კრედიტით უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, უნდა იქნას გადადებული თანხა გლეხებისათვის მცირე პროცენტით გრძელვადიანი სესხის მისაცემად.

ადგილობრივი ბიუჯეტი

მე უნდა შევჩერდე კიდევ ადგილობრივ ბიუჯეტის საკითხზე. ჩვენს ცხოვრებაში ეს ახალი მოვლენაა. უნდა მიეცეს გასაქანი გლეხკაცობის ადგილობრივ ინიციატივას, მათ თვითმოქმედებას. თემის ბიუჯეტი ვერაფერ სანუგეშოს გვაძლევს ჩვენ ჯერ-ჯერობით, რადგან ხშირად შემოსავლის წყაროები სულ მცირეა ან სრულიად არ არის. საჭიროა გამოინახოს შემოსავლის წყაროები ადგილობრივ ბიუჯეტის გასაძლიერებლად, მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ უნდა ხდებოდეს მოსახლეობის დაბეგვრის სახით. ზოგიერთები ამბობენ, რომ სათემო ბიუჯეტს არა აქვს მომავალი, ჩვენ ამ აზრს ვერ გავიზიარებთ, შეიძლება ჩვენ შევამციროთ თემების რიცხვი, მაგრამ სათემო ბიუჯეტი კი უნდა იქნას გამაგრებული და განმტკიცებული.

ტყის საკითხი

არ შემიძლია არ შევეხო აგრეთვე ტყის საკითხსაც. დღემდის ის გლეხობისათვის მეტად მწვავეთ იდგა. ეს მწვავე ეხლა რამდენადმე უნდა განელდეს, რადგან უკვე არსებულ დადგენილებების თანახმად ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები უბრუნდებათ გლეხებს მათი საჭიროებისათვის. საერთოდ კი ტყის საკითხი ჩვენს წინაშე მაინც მთელი თავისი მნიშვნელობით სდგას. ტყეებზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი მდინარეთა მრავალწყლიანობა, კურორტების ბედი და საამშენებლო მასალის მომარაგება. დღემდე ტყე უთავბოლოთ იფლანგება. თუ ეს ასე დარჩა, ჩვენ მალე გამოვეთხოვებით ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმდიდრეს. ტყეების დაცვას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ეს საქმე უნდა ჩაბარდეს ერთ ორგანოს და მას უნდა დაეკისროს ტყეების უვნებლობაზე ზრუნვა. ის ქაოსი, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ამ დარგში, საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას.

საშეფო მუშაობა

გადავალ ეხლა შეფობის საკითხზე. ჩვენს სახელმწიფოში ხელმძღვანელის როლი დაკისრებული აქვს მუშათა კლასს, რომელიც გლეხებთან ერთად მართავს სახელმწიფო აპარატს. შეფობის აზრი, როგორც ვიცით, თვით ლენინს ეკუთვნის. რამდენმეთ ეს დღეს კიდეც ტარდება ცხოვრებაში, მაგრამ დღევანდელ საშეფო მუშაობას მნიშვნელოვანი ნაკლიც აქვს. შეფების მუშაობა ბევრ შემთხვევაში დროგამოშვებითი ხასიათისაა. მას აკლია საჭირო გეგმიანობა და მიზანშეფარდებული მუშაობა.

რევოლიუციონური კანონიერება

რამოდენიმე სიტყვა კიდევ რევოლიუციონურ კანონიერების შესახებ. ამხანაგებო, ეს საკითხი წამოიჭრა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებისას. დააყენა ის ამხ. ლენინმა. რევოლიუციონურ კანონიერებისათვის საჭიროდ იქნა ცნობილი პროკურატურის ინსტიტუტის შემოღება. დღემდი რევოლიუციონურ კანონიერების გატარების საქმეში ერთ ნაკლს ჰქონდა ადგილი; ის არ ტარდებოდა ცხოვრებაში სათანადო სიმტკიცით სხვადასხვა მიზეზების გამო. განსაკუთრებით, ე. წ. „დიმოსჩინის“ რევოლიუციონურ კანონიერების საკითხი ძლიერი სიმწვავით დაისვა ჩვენს წინაშე. ნურავის ჰგონია, რევოლიუციონური კანონიერება იცავდეს პიროვნებას, ის პირველ ყოვლისა, მიზნათ ისახავს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაცვა-გამაგრებას. ამიტომ იყო, რომ რუსეთის ცაკის უკანასკნელმა სესიამ შესწორება შეიტანა კანონმდებლობაში იმ მხრივ, რომ სასჯელის გამოტანის დროს, ამა თუ იმ დანაშაულობისათვის ანგარიში არ უნდა გაეწიოს ბოროტმოქმედის სოციალურ მდგომარეობას, და თუნდაც, მის დამსახურებას. ამნაირად შეიცვალა პიროვნებაზე უპირატესობის მინიჭება.

დასკვნა

დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ საჭიროა მუშაობის გაცხოველება ღარიბი და საშუალო გლეხების გასაერთიანებლად, რომ ის ნაწილი დაუპირისპიროთ სოფლის კულაკობას. საჭიროა მთელი ძალ-ღონე იქნას ხმარებული სოფლის მეურნეობაში სოციალისტურ ელემენტის განსავითარებლად. ჩვენ გვაქვს ამის შესაძლებლობა, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ხაზით. არა ბრძანებლობით, არა იძულებით, არამედ შთაგონებით უნდა ვიმუშაოთ ჩვენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ მიღწევების ნიადაგზე, რომელიც უკვე მოპოვებული გვაქვს დღეს, და ფართო მშრომელი მასის თვითმოქმედებით, ჩვენ კიდევ უფრო წინ წავალთ და ღირსეულად შევასრულებთ დიადი მასწავლებლის—ლენინის ანდერძს (ხანგრძლივი და მქუხარე ტაში).

თავმჯდომარე:—ამხანაგებო, უკვე ორი საათია, რეგლამენტის ძალით კრება დახურულად უნდა გამოცხადდეს. არის წინადადება, რომ სხდომა გაგრძელდეს კიდევ ერთი საათით. ვინ არის მომხრე? (უმრავლესობა ადგენს, რომ კრება გაგრძელებულ იქნეს ერთი საათით). გადავდივართ კამათზე ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების ირგვლივ. სიტყვა ეძლევა ამხ. ვარძიელს.

კამათი ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების გამო

ამხ. ვარძიელი

სოფლად მუშაობის დარგში იუსტიციას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. სახალხო სასამართლოების, პროკურატურის და სხვა ორგანოთა მუშაკების სოციალური შემადგენლობა დღეს მუშურ გლეხურია. სახალხო მოსამართლეთა შორის მუშების და გლეხების რიცხვი 95 პროც. უდრის. აქ ბევრს ლაპარაკობდენ იუსტიციის ორგანოთა ადგილობრივ მუშაკების ნაკლოვანებებზე. ისეთი მოვლენები, როგორიცაა საქმეების გარჩევის დაგვიანება, კანონების არცოდნა, რეპრესიების სისუსტე და სხვა, ახსნება, უმთავრესად, ამხ. სახალხო მოსამართლეების არა მარტო იურიდიული მოუმზადებლობით, არამედ პოლიტიკურ ცოდნის სისუსტითაც.

იუსტიციას მხოლოდ უკანასკნელად მიექცა ყურადღება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენს წინაშე ასეთი სიმწვავით დაისვა კითხვა რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცების შესახებ. წინათ აქ გზავნიდენ ისეთ ამხანაგებს, რომლებიც გამოუსადეგარი იყვნენ სხვა მუშაობაში.

მაგრამ ჩვენი მუშაობის ნაკლი მარტო ამ მიზეზით არ აიხსნება. ჯერ ერთი, შეუძლებელი არის, რომ დაზგიდან და სახნისიდან აყვანილი მუშა მაშინვე გაერკვეს ყველა ჩვენს კანონებში და ისინი მიზანშეწონილად გამოიყენოს. წინად, როგორც ვიცით, მოსამართლეებად იყვნენ უმაღლეს განათლების პირები, იურისტები. ისინი დიდი ხნის მუშაობის შემდეგ ღებულობდენ მოსამართლის მეორე თანაშემწის თანამდებობას. ჩვენს პირობებში კი ეს შეუძლებელიც არის და ასე არც ხდება. გარდა ამისა, სასამართლოების სრულად მუშაობას ხელს უშლის ადგილობრივ ბიუჯეტის სიძუნწე. დაუმატეთ ამას ნათესაური კავშირი, რომელიც თავს იჩენს ხოლმე, სხვადასხვა საქმეების გარჩევის დროს, ჩვენი უაღრესი ამბიციები, და თქვენთვის გასაგები იქნება, რატომ არის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სჩივიან კანონების სირბილეზე.

რაც შეეხება პროკურატურას, ის უთუოდ სუსტია, მაგრამ მისი შემადგენლობაც მთლიანად მუშურია. გარდა ამისა, ყველა პროკურორები პარტიის წევრები არიან. მათგან კანონების უკლებლივ ცოდნას ვერ მოვითხოვთ, მით უფრო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზოგჯერ ჩვენ ისეთ კანონებსაც კი ვსცემთ, რომლებშიაც იუსტიციის კომისარიც ვერ ერკვევა.

ყველაზე მეტი საყვედური პროკურორების მიმართ აქ წამოიჭრა გორელ ამხანაგების მიერ. მე უნდა ვსთქვა, რომ ამ მაზრაში სულ მოკლე ხნის განმავლობაში 4 პროკურორი გამოიცვალა. სჩანს, აქ დანაშაული მიუძღვის არა მარტო პროკურორს, არამედ მაზრის ხელმძღვანელობასაც. არის ზოგიერთი მაზრები, რომელნიც ვერ ეგუებიან პროკურორებს, ვერ ინელებენ მათ. ასეთ მაზრათა რიცხვს ეკუთვნის გორის მაზრაც. საჭიროა, რომ ადგილობრივად მომუშავე ამხანაგებმა ხელი შეუწყონ პროკურატურას მუშაობაში და გაუადვილონ მას ის საპასუხისმგებლო საქმის ღირსეულად შესრულება, რომელსაც აკისრებს დღეს იუსტიციის მუშაკებს პარტია და ხელისუფლება რევოლიუციონურ კანონიერების გატარების საქმეში.

ამხ. გ. ოკუჯავა

აქ ბევრს უსაყვედურებდენ იუსტიციის მუშაკებს კანონების არ ცოდნას და სხვა შეუფერებელ მოქმედებას, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბევრს შემთხვევაში არც ადგილობრივად მომუშავე პარტიული და ადმინისტრატიული აპარატის ხელმძღვანელი ამხანაგები არიან უცოდველი. არც თქვენ იცით ჩვენი კანონები და ზოგჯერ ვერც თქვენ ატარებთ მათ შესაფერისად ცხოვრებაში. არის შემთხვევები, როდესაც კანონიერება ირღვევა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ.

მაგალითად, ლეჩხუმის მაზრაში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: გაჰყავთ გზატკეცილი, ამისათვის საჭირო ხდება გლეხის ქოხის აღება, გლეხი ითხოვს: ნუ დამირღვევთ ქოხს. თუ ვერ ამინაზღაურებთ იმ ხარჯებს, რომელიც მოჰყვება ამ ქოხის სხვა ადგილას გადატანასო. აღმასკომი მას არ ეთანხმება, ანგრევს სახლს და ამნაირად უყურადღებოთ სტოვებს გლეხის კანონიერ მოთხოვნილებას.

უნდა ჩაერიოს თუ არა აქ პროკურატურა? მე მგონია, პასუხი ყველასათვის აშკარაა. მეორე მაგალითი: მაზრაღმასკომის თავმჯდომარესთან მიდის ორი გლეხი და ეუბნება, რომ მათ მეზობელს ყანებთან აქვს საღორე, რომლის ღორებიც სიმინდს ზიანს აყენებენო. თავმჯდომარე უპასუხებს: წადით დაარღვიეთ საღორე, გლეხები გამობრუნდნენ, საღორეც დაარღვიეს და ღორებიც დახოცეს. ვინ უნდა უზღოს ეს ზარალი გლეხს? აშკარაა, აქაც კანონიერების უხეშ დარღვევასთან გვაქვს საქმე. ასეთი შეფოთის მაგალითი საკმაოდ ბევრია.

ხშირი შემთხვევებია, როდესაც აღმასკომები ითვისებენ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების მოწესრიგების ფუნქციებს ამის უფლება მათ არა აქვთ. უნდა საბოლოოდ აღმოიფხვრას ჩვენს მუშაობაში სამხედრო კომუნიზმის ნაშთები. ამასთან ერთად აუცილებელია გადაიდოს თანხა იუსტიციის მუშაკთა გადასამზადებელ კურსების მოსაწყობად, რომ ამან ხელი შეუწყოს იურიდიულ ცოდნის გაფართოვებას. ადგილობრივი პარტიული და ადმინისტრატიული ორგანოები კი ხელს უნდა უწყობდენ პროკურატურის და სასამართლოს მუშაობას და შეთანხმებლად უნდა მოქმედობდენ. როდესაც თქვენ ლაპარაკობთ, ამხანაგებო, იუსტიციის მუშაკთა ნაკლზე, არ უნდა დაივიწყოთ, რომ არა ნაკლებ შეცდომებს აქვს ადგილი თქვენს მუშაობაშიც. საჭიროა ამ დეფექტების საერთო ძალღონით გამოსწორება.

ამხ. ქურდაძე

ორატორი ასახელებს მთელ რიგ ფაქტებს ვარძიელის საპასუხოდ, რომელთა საშუალებით ეს ამტკიცებს, რომ გორის მაზრაში ადგილი ჰქონდა პროკურორის მიერ ზოგიერთ უკანონო გამოსვლებს, რამაც აიძულა აღმასკომი ჩარეულიყო საქმეში. ამიტომ ორატორს უმართებულოდ მიაჩნია ამხ. ვარძიელის ბრალდება იმის შესახებ, თითქოს გორის მაზრა ვერ ინელებდეს პროკურორის მუშაობას. ჩვენ ერთი უბედურება გვჭირს, განაგრძობს ამხ. ქურდაძე, წამოწყებული გვაქვს ბევრი საზოგადო მნიშვნელობის საქმეები და ეს საქმეები ბოლომდი ვერ მიგვყავს. კიდევ მეტი, როცა ისინი გაუთავებელია, ჩვენ ხელს ვკიდებთ ახალ და ახალ საქმეებს. არის ჩვენს მაზრაში ვაჭრილი არხები, რომელიც უყურადღებოთაა მიტოვებული წყალთა სამმართველოს მიერ. ეს არხები ფუჭდება, ამოღებული მიწა უკანვე ცვივდება და საქმის მომვლელი არავინ არის.

აქ ბევრს ლაპარაკობენ კოლექტივიზაციაზე და ტრაქტორიზაციაზე. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ იბადება კითხვა, რით და როგორ უნდა იქნეს ეს გატარებული? ჩვენს მაზრიდან რამოდენიმე სოფლებს გამოწერილი აქვთ ტრაქტორები. ველოდებით, ველოდებით მათ მიღებას, მაგრამ ჯერ არსად სჩანან.

მე უნდა აღვნიშნო აგრეთვე ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველოს არაგეგმიანი მუშაობა. საჭიროაო, ვამბობთ ჩვენ, შინამრეწველობის განვითარება, მათი კოოპერატივებში გაერთიანება და სხვა ასეთები. მაგრამ გადახედეთ ბიუჯეტს და იქ ვერც ერთ პარაგრაფს ვერ ნახავთ, სადაც ნავარაუდევი იქნება რაიმე თანხა შინამრეწველობის საჭიროებისათვის.

განვლილმა დიდმა ზამთარმა დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს მეურნეობას, საქონელი დაგვეხოცა, ხეხილები დაახმო. ბევრი ვილაპარაკეთ პრესაში ამ ზარალის გამოსასწორებლად, მაგრამ ფაქტიურად არაფერი გამოვიდა.

ადგილობრივ ბიუჯეტებს ისედაც დიდი ხარჯები აქვს, მაგრამ მათ კისერზე გადმოიტანეს მთელი რიგი ისეთი გასავალის, რომელიც ჩვენ ხელ-ფეხს გვიბორკავს. ექიმის ფული, მასწავლებლის ფული წერა-კითხვის უცოდინრობასთან მებრძოლ საზოგადოების მასწავლებელთა ფული და სხვა ასეთები, ყველა ადგილობრივ ბიუჯეტებს დაეკისრა. საექიმო ქსელი მაზრაში იმდენათ მცირეა, რომ ის ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის ერთ მეათედ მოთხოვნილებასაც. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ადგილობრივ ორგანოების მუშაობაზე, ყველა ეს მოვლენები მხედველობიდან არ უნდა გვეპარებოდეს.

(ხანგრძლივი ტაში).

(ანგარიშები გაგრძელდება სამშაბათის №-ში).

უკანასკნელი სხდომა

ყრილობის დახურვა

თავმჯდომარე: (ამხ. მიხა ცხაკაია) პარტიის მეოთხე ყრილობის უკანასკნელ სხდომას გახსნილად ვაცხადებ. დღის წესრიგში სდგას შემდეგი კითხვები: სამანდატო კომისიის მოხსენება და შემდეგ პარტიის სხვადასხვა ორგანოების არჩევნები.

სიტყვა ეკუთვნის ამხ. გობეჯიშვილს.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ამხ. გობეჯიშვილი: ჩვენს ყრილობაზე წარმოდგენილია 15.027 პარტიის წევრი და 7.821 კანდიდატი გადამწყვეტი ხმის უფლებით. გაცემულია 235 მანდატი სათათბირო ხმით—47 მანდატი.

ეროვნების მიხედვით ყრილობის შემადგენლობა შემდეგი არის: ქართველები—157; სომხები—26; რუსები—26; დანარჩენები კი სხვა ეროვნებების წარმომადგენლებია.

სოციალური შემადგენლობის მხრივ ასეთი სურათი გვაქვს: მუშა—90, გლეხები—35 და მოსამსახურეები 110. პარტიული სტაჟი შემდეგნაირად ნაწილდება: 1916 წლამდე—70 კაცი, 1917—18 წლამდე—49 კაცი; 1918 და 1920 წლამდე—78 კაცი. დანარჩენები კი ამ წლების შემდეგ არიან შემოსული პარტიაში. მამაკაცებია—227, ქალები კი—8.

ამრიგად, ამხანაგებო, ეს ცნობები ჩვენი ყრილობის შესახებ ნათლად მოწმობენ მუშათა ელემენტის ზრდას ჩვენს პარტიაში და მის აქტივობას, რომელმაც ყრილობის შემადგენლობაშიც ჰპოვა თავისი გამოხატულება. (ყრილობა ერთხმად ღებულობს სამანდატო კომისიის მოხსენებას).

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია ცეკას მომავალი მუშაობის (იხ. პირველ გვერდზე) და ც. საკონტროლო კომისიის შესახებ (გამოვაქვეყნებთ სამშაბათს).

თავმჯდომარე: (ამხ. მ. ცხაკაია). ამრიგად, ამხანაგებო, ჩვენ ამოვწურეთ ყრილობის მთელი დღის წესრიგი.

წარსული საანგარიშო ხნის განმავლობაში ჩვენი პარტია მნიშვნელოვნად გაიზარდა რიცხვობრივად და კიდევ უფრო განმტკიცდა ორგანიზაციულად. განვლილი წლის მუშაობა მიმდინარეობდა საერთოდ ურყევ ამხანაგურ სოლიდარობის და თანამშრომლობის ნიშან ქვეშ. ცეკას მოცემულ ანგარიშიდან თქვენ დაინახეთ, რომ ჩვენ პარტიას ბევრი რამ გაუკეთებია და მის ხელმძღვანელ ორგანოებს პირნათლად შეუსრულებიათ დაკისრებული მოვალეობა. მთავარი ყურადღება ჩვენი პარტიისა მიპყრობილი იყო სოფლად მუშაობაზე და მრეწველობის აღორძინებაზე. ძველი უთანხმოების ნაშთები, რომელიც ჯერ კიდევ აქა იქ იჩენდა თავს, მომავალი წლის განმავლობაში საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას.

მეოთხე ყრილობის დადგენილებამ უნდა ჰპოვოს თავის განხორციელება და მის უშუალო გამტარებელთა შორის ადგილებზე თქვენ უნდა მიიღოთ მხურვალე მონაწილეობა.

გაუმარჯოს ჩვენი ყრილობის მუშაობას!

გაუმარჯოს მის დაადგენილებებზე დამყარებულ თქვენს მომავალ საქმიანობას!

(ხანგრძლივი ოვაციები, დელეგატები მღერიან ინტერნაციონალს).

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მეოთხე ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ საღამოს საოპერო თეატრის დარბაზში ამხ. მ. ცხაკაიას თავმჯდომარეობით გაიხსნა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მეოთხე ყრილობა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

ორჯონიკიძე, ალიმ ოღლი, ამბარცუმიანი, ახუნდოვი, ბუნიატზადე, ბაგიროვი, გეგეჭკორი, ჯატივი, კიშკოვა, იოანესიანი, კახიანი, კარაევი, კარაკოზოვი, ყურულაშვილი, კარინიანი, ქართველიშვილი, ლუკაშინი, ლაკობა, მირზოიანი, მახარაძე, მუსაბეკოვი, ნაზარეტიანი, ოკუჯავა მ. ორახელაშვილი მარიამ, ორახელაშვილი მამია, პლეშაკოვი, რაჯნეკი, სტურუა, სუხიშვილი, სემკოვი, სულთანოვი გამიდი, ხანოიანი, ცხაკაია, შაჰვერდოვა, შაჰვერდიანი, ელიავა, იაკუბოვი, ივანოვი, ალავერდოვი, პახომოვი, მაშტი-უსეინოვი და მუხანი.

გარდა ამისა ყრილობამ აირჩია სამდივნო და აგრეთვე სამანდატო და სარედაქციო კომისიები. ამის შემდეგ ყრილობა პირველ სხდომიდანვე იწყებს საქმიან მუშაობას. ა.-კავკ. სამხარეო კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად სიტყვა ეძლევა ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი და მხურვალე ტაშით ეგებება.

თავის ვრცელ მოხსენებაში ამხ. ორჯონიკიძე შეჩერდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარსულ და დღევანდელ ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. *)

---

*) ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენების სტენოგრაფიული ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

წითელ რესპუბლიკებში

სომხეთი

მიწისძვრა

ერევანი, 4 დეკემბერი. გუშინ, 12 საათზე და 53 წამზე ერევანში შემჩნეული იყო საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა, რომელიც რამდენიმე წამს გაგრძელდა.

ლტოლვილთა დასახლება

ერევანი, 4 დეკემბერი. ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი შავერდოვი, რომელიც გუშინ დილით სომხეთის ცაკის მდივან კარინიანთან და შინაგან სახალხო კომისარ დერგანიანთან ერთად გაემგზავრა არაზდაიანში, სადაც უნდა დასახლებულ იქნან საბერძნეთიდან ჩამოსული ლტოლვილები.

სომხეთის კომპარტიის მე-4 ყრილობა.

ერევანი, 5 დეკ. ყრილობის მეორე დღე, რომელიც მცირე შესვენებით მთელი დღე გრძელდებოდა, დამთავრდა 4 დეკემბერს საღამოს 9 საათზე.

მოსმენილ იქნა **გუმიდენის** მოხსენება ახალგაზრდობათა შორის მუშაობის შესახებ. მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია.

მარტიკიანი გამოვიდა მოხსენებით სამანდატო კომისიის მოღვაწეობის შესახებ.

საღამოზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები და მოხდა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების და საკავშირო და ამიერ-კავკასიის პარტიულ ყრილობებზე გასაგზავნი დელეგატების არჩევა.

სომხეთის კომპარტიის ც. კ.

ერევანი, 5 დეკემბ. სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში არჩეულია შემდეგი პირები: ლუკაშინი, ამბარცუმიანი, შახგელდიანი, შახნაზარიანი, იოანისიანი, ბაკუნცი, კუზნეცოვი, კარინიანი, მრავიანი, ოსეპიანი, პოღოსიანი, კარამიანი, ალიხანიანი კასიანი, ბალიანი, გლიული, კაჯიანი, ესაიანი, აჰვერდოგლიანი, ეფენდიევი, საფარსბეკიანი, შესლაკოვი, მარტინიანი, სააკიანი, ვარდანიანი, აგამალიანი, ისრაელიანი, ოვანესიანი, არუტინიანი, გუმედინი, მელკსეტიანი, აზატიანი, ერზიკიანი, გაზარიანი და 12 კანდიდატი.

ამხ. ლუკაშინის სიტყვა

არჩევნების შემდეგ მოკლე სიტყვით გამოვიდა ლუკაშინი, რომელმაც დახასიათა ყრილობის მუშაობა.

„ის აქტივობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ყრილობაზე,—სთქვა ბოლოს ლუკაშინმა, ნერგავს ჩვენში რწმენას, რომ ჩვენ შევსძლებთ შემდეგში ჩვენს წინაშე მდგომ ყველა საკითხების გადაჭრას. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ პარალელურად ჩვენს ზრდასთან ძლიერდება ჩვენი მტრების პოზიცია. ჩვენ გვაწევია მოვალეობა—ჩვენი მტრების გაერთიანებას წინ დაუყენოთ ჩვენი ფოლადისებური კავშირის სიმტკიცე“.

მოჭადრაკეთა საკავშირო ყრილობა

ჭადრაკი—პროლეტარული ხელოვნებაა

ამხ. კრილენკოს მოხსენება

მოსკოვი, 5 დეკემბ. მოჭადრაკეთა საკავშირო ყრილობაზე 4 დეკემბერს **კრილენკო** გამოვიდა მოხსენებით, რომელშიაც აღნიშნა, რომ ჭადრაკი უნდა გადაიქცეს პროლეტარულ ხელოვნებათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვერდი უნდა ავუხვიოთ ბურჟუაზიული საუკეთესო მოჭადრაკეების მიღწევებს, ვინაიდან ამ სფეროში, ისე როგორც ხელოვნებაში, ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ. ჩვენ, რასაკვირველია, არ უნდა შევდიოდეთ მოჭადრაკეთა ბურჟუაზიულ ორგანიზაციებში და არ უნდა გავთქვეფოთ პროლეტარული უჯრედები არაკლასიურ წრეებში. სავსებით მისაღებია ცალკე პროლეტარულ მოჭადრაკეების გაგზავნა და მონაწილეობა ბურჟუაზიულ შეჯიბრებაზე, მაგრამ არა პირველობის მოპოვების ან სპორტიული აზარტის მიზნით, არამედ ცოდნის შესაძენად და ბურჟუაზიულ მოჭადრაკეთა მიღწევების პროლეტარულ ორგანიზაციებისათვის გადასაცემად. დასაშვებია აგრეთვე პროლეტარულ ორგანიზაციების ხარჯზე მოწყობა საერთაშორისო შეჯიბრებისა ბურჟუაზიულ მოჭადრაკეების მონაწილეობით, მაგრამ დაუშვებელია შესვლა არა პროლეტარული ტიპის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ორგანიზაციაში და ორგანიული მუდმივი მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებში მოჭადრაკეთა პროლეტარული ორგანიზაციების სანქციის გარეშე.

დასასრულ კრილენკომ განაცხადა, რომ საჭიროა შევიდეთ მოჭადრაკეთა ინტერნაციონალში, რომელიც მოეწყო გერმანიის მუშების ინიციატივით.

ყრილობამ თავის რეზოლიუციას საფუძვლად დაუდო კრილენკოს მოხსენების თეზისები.

ყრილობაზე გამოვიდა აგრეთვე მოჭადრაკეების მუშათა ინტერნაციონალის თავმჯდომარე **ზპიგელი** რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში მისი ჩამოსვლის მიზანია საბოლოოდ გამორკვევა საკითხის საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

სპილენძისა და ალიუმინის ფული

მოსკოვი, 5 დეკემბ. წონისა და ზომის მიხედვით უფრო მოსახერხებელი წვრილი ფულის გამოსაშვებად, საკავშირო ცაკმა მიანდო საბჭოთა კავშირის ფინსახკომს შეუდგეს წვრილი ფულის (1, 2, 3 და 5 კაპიკიანის) მოჭრას სპილენძისა და ალიუმინისაგან.

საექიმო ექსპედიციები მონღოლეთში

ულან-ბატორ, 4 დეკემბ. მონღოლეთში საბჭოთა რწმუნებულის ნიკიფოროვის ინიციატივით, საბჭოთა ექიმებმა ულან-ბატორში შეიმუშავეს რამოდენიმე საექიმო ექსპედიციის გეგმა სიფილისისა და სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

საექიმო პუნქტების ყველა მოწყობილობანი უფასოდ გადაეცემა სამი წლის შემდეგ მონღოლეთის მთავრობას.

შვეციის კრეისერი შავზღვაზე

ოდესა, 5 დეკემბ. შვეციის კრეისერი „ფილგია“-დან მიღებულია რადიო, რომელიც იტყობინება, რომ გემი იმყოფება ბოლგარეთის ნაპირებთან 160 მილის მანძილზე ოდესიდან. **ძლიერი ქარიშხალის გამო „ფილგია“ ოდესაში მივა მხოლოდ 6 დეკემბერს.**

უკანასკნელი ცნობები

ფინეთის უორკერს პარტიის სექციის ყრილობა

ლონდონი, 4 დეკ. ფინეთის სექციის უორკერს პარტის ყრილობამ, რომელიც ჩიკაგოში შესდგა, ერთხმად მიიღო ნაკაზი, რომელშიაც ის აღმასკომს წინადადებას აძლევს გაატაროს ერთიანი ფრონტის ტაქტიკა და ენერგიულად ებრძოლოს პარტიაში მემარჯვენე გადახრას კომინტერნის დირექტივების თანახმად.

ყრილობამ მოიწონა პარტიის რეორგანიზაციის გეგმა, რომლის თანახმად ფინეთის სექცია დამყარებული იქნება საქარხნო უჯრედებზე.

ბენეში.

ლონდონი, 4 დეკ. ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბენეში ლონდონიდან პარიზში გაემგზავრა.

კომუნისტების მოწვევა.

პრაგა, 4 დეკ. სოფლის მეურნეთა გერმანულმა კავშირმა მოიწვია კომპარტიის საპარლამენტო ფრაქცია შექმნილ მდგომარეობის განსახილველათ ყველა დანარჩენ ოპოზიციონურ პარტიებთან ერთად. კომფრაქციამ ეს წინადადება უარყო.

იმდენათ—რამდენათაც.

პარიზი, 4 დეკ. 3 დეკემბერს, ხალხთა ლიგის სესიის გახსნის წინა დღეს, პოლ-ბონკურის წინადადებით შესდგა ლიგის ბიუროს სხდომა, სადაც განიხილეს განიარაღების საკითხი.

როგორც იტყობინებიან, საფრანგეთმა განაცხადა, რომ ის თანახმაა განიარაღებაზე იმდენათ, რამდენათაც ეს ხელს არ შეუშლის ქვეყნის დაცვას.

დელეგაციის დაბრუნება

ბერლინი, 4 დეკემბ. გერმანიის დელეგაცია დაბრუნდა ინგლისიდან ორშაბათს. რეიხსკანცლერი ლუთერი მაშინვე გაემგზავრა პრეზიდენტთან მოხსენების გასაკეთებლად.

სკშინსკი

ვარშავა, 4 დეკემბ. ხვალ ვარშავაში ჩამოვა პრემიერი სკშინსკი, რომელიც მოხსენებას გააკეთებს ლონდონში თავის წასვლის შედეგებზე.

მთავრობის კრიზისი

პრაგა, 4 დეკემბ. კლერიკალების ბელადმა შრამეკმა მოლაპარაკების შემდეგ უარი განაცხადა და კაბინეტის შედგენაზე. პრესის აზრით მოსალოდნელია კაბინეტის შედგენა მხოლოდ ბიუროკრატებისაგან.

თოვლი

ლიუქსემბურგი, 5 დეკემბ. 2 დეკემბერს მთელ მაზრაში მოვიდა თოვლი.

ახალი საავადმყოფო

დელიჟანი, 5 დეკემბერი. დელიჟანში დღემდის არ ყოფილა კარგათ მოწყობილი საავადმყოფო. სამაზრო აღმასკომის მეთაურობით დაიწყო ახალი საავადმყოფოს შენება, რომელიც დაჯდება 180,000 მან.

წითელა

ნორბაიაზეთი, 5 დეკ. მთელ მაზრაში მოდებულია. წითელა. მედიკური პერსონალის დიდი ნაკლებობაა.

თეთრგვარდიელთა პრესა

ემიგრანტებს დაბრუნება სურთ

ეს ერთი ხანია კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციაში აურ-ზაური მომატა იმის გამო, რომ რამოდენიმე ცნობილმა ემიგრანტმა, ცნობილმა პუბლიცისტებმა, პეშეხონოვმა და ოსორგინმა გადაჭრით დაიწყეს აგიტაცია: რას აკეთებთ უცხოეთში, დაბრუნდით რუსეთში და, ვისაც როგორ შეგეძლოთ, იმუშავეთო. მაგრამ ემიგრაციის ის ბალღები, რომლებიც ასეთ აგიტაციაში ხედავენ დიდ საფრთხეს, რადგან, „ჯარი“ შემოეცლებათ და როგორც ჩვენში იტყვიან, „იაქესავით“ დარჩებიან—აღშფოთებული არიან პეშეხონოვ-ოსორგინით. ცნობილი ლიბერალური პუბლიცისტი და კონტრ-რევოლიუციონერი ალექსანდრ იაბლონოვსკი მოსთქვამს მემარჯვენე კადეტების გაზეთ „რულ“-ში:

„ყველაზე უფრო მტკივნეული და მწვავე საკითხი ჩემი აზრით არის საკითხი რუსეთში დაბრუნების შესახებ და დაბრუნების არა ინტერვენციის გზით ან ბოლშევიკების ჩამოგდების შემდეგ, რაც მისაღები იქნებოდა, არამედ ბოლშევიკების წინაშე ინდივიდუალური კაპიტულაციის საშუალებით. ყველაზე უფრო მტკივნეულათ მე ეს საკითხი იმიტომ მიმაჩნია, რომ ის აინტერესებს ახალ ახალგაზრდობას. სწორეთ ეს ახალგაზრდობა აყენებს მას გადასაჭრელათ. ახლავე ამ საკითხზე პასუხის მისაღებად. პეშეხონოვი და ოსორგინი მძიმე დანაშაულს სჩადიან და მხოლოდ ერთადერთი გამართლება მათი (ამ, მადლობა ღმერთს, სრულ-წლოვანი პირების) არის ის, რომ არ იციან რასა სჩადიან. რას გვეუბნებიან ისინი? თუ გიყვართ რუსეთი, მიაშურეთ მას, როგორიც არ უნდა იყოს ეს რუსეთი“-ო, დაუჯინია პეშეხონოვს, რომელიც ასე ამარტივებს ამ ურთულეს საკითხს. კიდევ უარესია ოსორგინი. „არ შეგვიშვებენ რუსეთშიო?—ამბობს ის—ეს ადვილი შესაძლებელია, მაგრამ წადით მაინცო. არაფრის გაკეთების უფლებას არ მოგვცემენო?—ესეც შეიძლება, მაგრამ მაინც გასწით რუსეთში. „ჩეკა“ დაგიჭერთ. შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ მაინც წადით, ნოსტალგიით აქ ჭკნებით, მიაშურეთ რუსეთსო“. ასეთი რჩევა-დარიგებაო—სწერს იაბლონოვსკი—ჭკუაზე შლის ახალგაზრდობას და მან არ იცის რა ჰქნასო.

ტყუილია.

მან უკვე კარგათ გაიგო და იცის რა ჰქნას. ამას ადასტურებს უამრავი შუამდგომლობა, რომლითაც მიმართავენ უცხოეთში საბჭოთა წარმომადგენლობებს, რომლებიც გამოტენილია ყოველ დღე ემიგრანტებით, შეაქვთ გვარი და სახელი საბჭოთა მოქალაქეების სიაში და უცდიან რიგს, გამზადებულები სამშობლოში დასაბრუნებლად. ასე იცლება ნელ-ნელა კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაცია. მას სცილდება ყველა ცოცხალი ელემენტები და რჩებიან დაობლებულები და დამპლები, მათი უჯარო გენერლებით.

კერენსკი

ვერც ის არის კარგ გუნებაზე. მიზეზი ასეთია: რუსეთში დაბრუნების იდეოლოგებიდან, რომელიღაც ერთს უთქვამს: სიტყვის, წერის და სინიდისის თავისუფლება „დემოკრატიის დაობებული ანდერძებია“ და მიანებეთ თავი ამ სისულელეებსო.

კერენსკი ყალყზე სდგება, გადარეულია, ვერ ითმენს „წმინდათა წმინდის“ შელახვას.

„უკვდავი ჭეშმარიტათ უკვდავი რჩებაო—ამბობს ის თით აშვერილი წინასწარმეტყველური კილოთი (გაზ. „დნი“)—და ყოველთვის დაამარცხებს იმას რაც ამაოა ამ წუთისოფელში. შეიძლება დაიჯეროთ ეს, შეიძლება არ დაიჯეროთ. ყოველისფერი შეიძლება, მაგრამ რა უფლებით ლაპარაკობთ თქვენ სხვის შესაცდენათ ასეთ სიტყვებს. თქვით პირდაპირ, თქვით ბოლომდე, რომელი გირჩევნიათ: ძველი სიმართლე დემოკრატიისა თუ ოქტომბრის „ახალი მრწამსი“-ო.

ისევ ტყუილი ფართი-ფუთია.

აბა ვის შეაშინებს კერენსკი? ვის მეარყევს ის, თვით მუდამ მერყევი, ხასიათით, უხერხემლო, უიხტიბარო და სხვადასხვა?

ვერავის, ვინც იცნობს მას.

1905 წ. რევოლუციის 20 წ. თავისათვის

ს.კ.პ. (ბ) ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

ცირკულიარულად

წელს სრულდება 1905 წლის რევოლუციის ოცი წლისთავი. ამ რევოლუციონურ დღესასწაულის აღნიშვნა მხოლოდ საზეიმო სხდომებით საკმაო არ იქნება. საჭიროა დღესასწაულის ჩატარებას მიეცეს ღრმა პროპაგანდის ხასიათი. დღესასწაულის განმავლობაში (19 დეკემბრიდან 22 იანვრამდე) მუშებს და მშრომელ გლეხობას უნდა მიეცეთ ფართო ცნობები 1905 წლის რევოლუციის მიზეზების, დამარცხების და გამოცდილების შესახებ.

ამისათვის ადგილობრივი პარტ ორგანიზაციები აქედანვე უნდა შეუდგნენ დღესასწაულის სამზადისს.

1) 1905 წლის რევოლუციის ოცი წლის თავის დღესასწაულის პირველ დღეთ ცხადდება ა | წ. 19 დეკემბერი, მოსკოვის პროლეტარიატის აჯანყების პირველი დღე.

2) დღესასწაულის პირველი დღე, 19 დეკემბერი, უნდა აღინიშნოს საზეიმო სხდომებით და მიტინგებით მაზრის და ოლქის მხოლოდ უმთავრეს ადგილებში, სადაც კი ეს მოსახერხებელი იქნება.

3) მოხსენების უმთავრესი თემებია:

ა) მუშათა და მშრომელი გლეხობის კავშირი 1905 წლის რევოლუციაში. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს გლეხობის სუსტი მონაწილეობა რევოლუციაში, რაც შედეგი იყო მუშათა და გლეხთა შორის მჭიდრო კავშირის უქონლობის, რაც რევოლუციის დამარცხების უმთავრესი მიზეზათ ითვლება.

ბ) 1905 წ. რევოლუციის ხასიათი და ბოლშევიკების ლოზუნგი — „პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის" შესახებ.

გ) საბჭოები და მათი როლი 1905 წლის რევოლუციაში.

დ) 1925 წელი საქართველოში და რევოლუციონურ მოძრაობის ხასიათი ჩვენში.

4) ყოველი საკითხის გარკვევა 1905 წლის რევოლუციიდან, როგორიცაა: რევოლუციის ხასიათი, მისი მამოძრავებელი ძალები, დროებითი — რევოლუციონური მთავრობის საკითხი, პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციონური დიქტატურა, დამოკიდებულება ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, შეიარაღებული აჯანყება, სტრატეგია, სახელმწიფო სათათბირო და სხვათა განხილვა აუცილებლად დაკავშირებული უნდა იქნეს ამხ. ლენინის შეხედულებებთან ყველა ზემო ჩამოთვლილ საკითხებზე. კრებებზე, მიტინგებზე თუ სხვაგან, ხაზი უნდა გაესვას ბოლშევიკური პარტიის როლს 1905 წლის რევოლუციაში, მის ტაქტიკას, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამხ. ლენინი.

5) კამპანიის ჩატარების დროს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს იმ რევოლუციონურ გამოსვლების შესწავლას, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1905 და 1906 წლის პირველ თვეებში ადგილობრივათ. საჭიროა განსაკუთრებული საღამოების მოწყობა, 1905 წლის რევოლუციონურ მოძრაობის მონაწილეთა მოგონებათა მოსასმენად, მნიშვნელოვან რევოლუციონურ მოძრაობის ცენტრებში, რომელთაც თავი ისახელეს 1905 წლის რევოლუციაში უნდა მოეწყოს მასიური კრება მიტინგები.

6) პირველი და მეორე საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლებში, ისე როგორც პოლიტ-ცოდნის სკოლებში, ფართე ადგილი უნდა დაეთმოს სამოსწავლო საათებიდან ან დამატებით 1905 წლის რევოლუციის შესწავლას მსმენელების მიერ.

7) როგორც ქალაქად, ისე სოფლად უნდა გამოიცეს კედლის გაზეთების სპეციალური №№-ი, 1905 წლის რევოლუციის შესახებ. კედლის გაზეთებში უმთავრესად უნდა მოთავსდეს ცნობები 1905 წლის რევოლუციის შესახებ ადგილობრივი მოძრაობიდან და სასურველია ძველ რევოლუციონერთა საყურადღებო მოგონებანი.

8) სამკითხველოებში, კლუბებში, სახალხო სახლებში, „ლენინის" და „წითელი კუთხეებში" უნდა მოეწყოს განსაკუთრებული ადგილი 1905 წ. რევოლუციის აღსანიშნავად — ბროშურების, წიგნების, გაზეთების გამოფენით, რომელნიც ეხება 1905 წლის რევოლუციას. კამპანიის მთელი ხნის განმავლობაში კლუბებში უნდა იმართებოდეს მოხსენებები და საუბრები 1905 წლის რევოლუციაზე.

9) მასალები 1905 წლის რევოლუციის ოცი წლის თავის შესახებ იხილე ჟურნალ „კომუნისტის თანამგზავრი"-ს № 1.

ს. კ. პ. (ბ) ცკას მდივანი: **ქართველიშვილი**

სააგიტ.-საპროპ. განყ. გამგე: **ბახტაძე.**

დუშეთის მაზრის მეცხვარეობა

მიმდინარე წლის 2 აგვისტოს სოფელ სიონში მოხდა ხევის მეცხვარეთა კრება, რომელმაც დაარსა ამხ-ბა „თერგის ხევი". ამხანაგობის გამგეობა მოწვეულ შემდეგ დაარსების დღიდან. უმთავრესი საკითხი იყო სახაზინო საზამთრო საძოვრების საკითხის მოწესრიგება ყიზლარის ოლქში, ცხვრისათვის გზის გაყვანა და დასასვენებელი ადგილების მოწყობა ყაზბეგიდან ყიზლარის ოლქამდე. ყიზლარის ოლქში მეცხვარეობამ მიიღო საზამთრო საძოვარო ადგილები და ამხ-ბა „თერგის ხევმა" წელს გადარეკა თითქმის 250,000 სული ცხვარი. როდესაც ცხვარი გადაირეკა საზამთრო ადგილებზე, გამოირკვა, რომ გვალვისაგან შემოდგომის საკვები მთლიანად განადგურებული იყო და ცხვარს დაღუპვა მოელის. ყიზლარის ოლქის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცაკის წინაშე, რათა უკანასკნელმა მიიღოს სასწრაფო ზომები საკვები მასალის შესაძენად. საქართველოს ცაკმა დაადგინა მიეცეს გრძელვადიანი სესხი ამხ-ბა „თერგის ხევის" გამგეობას 55,000 მანეთი.

საქართველოს ცაკში „თერგის ხევის" გამგეობამ წარადგინა მოხსენება, რომელშიაც მიუთითებდა იმ არანორმალურ მდგომარეობაზე, რომელიც ყიზლარის ოლქის სახაზინო იჯარის ირგვლივ სუფევს ამჟამად. დაღესტნის მეცხვარეები იხდიან იჯარას 5 კაპ. სულ ცხვარზე, ჩვენი მეცხვარეები კი 15 კაპ. საქართველოს ცაკმა შუამდგომლობა აღძრა დაღცაკის წინაშე, რომ იჯარა გათანასწორებული იყოს ყველა მეცხვარეებისათვის.

გამგეობამ აგრეთვე სათანადო ზომები მიიღო, რომ [illegible]00 საჟენი გზა გაეყვანათ ყაზბეგიდან ყიზლარამდის და აგრეთვე გამოეყოთ ცხვრის დასასვენებელი ადგილები.

მატყლის დამზადება

წლის მატყლის დამზადების დროს მეტადრე შემოდგომაზე დიდი აურზაური ატყდა ხევში. აქ მატყლს ამზადებდენ სხვა და სხვა ორგანიზაციები, როგორც მაგალითად ქისტკავშირი, გორპოტორგი, ოსკავშირი და კერძო აგენტები. „წარმოკავშირი" თანახმად შინა-ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებისა, აძლევდა ფრანკო საწყობში 12 მან. 70 კაპ. დანარჩენმა ორგანიზაციებმა აუწიეს ფასები, შემოდგომის მატყლში აძლევდენ 14—16 მ., კრაველში—18 მანეთამდი, ასეთი მდგომარეობის გამო მატყლის მეტი ნაწილი ჩაუვარდა ხელში არა ამხანაგობა „თერგის ხევს", არამედ სხვა დაწესებულებებს. მხოლოდ დამზადების ბოლო ხანებში წარმოკავშირმა მოუმატა ფასი და აძლევდა 13 მან. 50 კაპ. ფუთში და 15 მან. 50 კაპ. კრაველში, როდესაც ეს გაიგეს მეცხვარეებმა, ჩააბარეს ამხ-ბა „თერგის ხევს" 2300 ფუთი. წარმოკავშირს არ შეეძლო მოემატა მეტი, ვინაიდან გადმოტანა უჯდებოდა ყაზბეგის რაიონიდან საწყობში 1 მან. ფუთი და ორგანიზაციის შენახვა 70 კაპ., ე. ი. მატყლი ფრანკო საწყობში უღირდა 15 მან. 20 კაპ. დანარჩენ ორგანიზაციებს ჩატანა უჯდებოდა 25 კაპ. ფუთი, ვინაიდან მათ მატყლი ჩაჰქონდათ კავკავში. ყაზბეგში კავშირმა გახსნა კოოპერატიული დუქანი, რის საშუალებით უნდა დაამზადოს მატყლი მომავალში. „თერგის ხევის" გამგეობამ გამოიმუშავა გეგმა, რის მიხედვით მან მატყლი უნდა დაამზადოს კოოპერატიული სისტემით, რაც აქამდის ამ რაიონში არ ხდებოდა.

ვალიკო.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

თბილისის მაზრაში

ქალაქის აღმასკომის საგადასახადო ქვეგანყოფილების ცნობით 1 დეკემბრისათვის თბ. მაზრაში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან შემოვიდა 80,195 მ.ნ. 34 კაპ., რაც შეადგენს გაწერილ გადასახადის 34 პროც.

ცალკე ზოგიერ რაიონებში კი აკრეფილია გადასახადის 74 პროცენტამდე, მაგალითად, ერწოს რაიონში აკრეფილია გადასახადის 74 პროც., გომბორის 68, ასურეთის 67 პროც. ხოლო ზოგიერთ რაიონებში გადასახადის აკრეფა ვერ სწარმოებს სასურველად. მაგალითად, მარტყოფის რაიონში აკრეფილია მხოლოდ 4 პროც. მიღებულია ზომები გლეხების ინტერესებთან შეფარდებით, უკანასკნელ რაიონში გადასახადის გადახდის ასე შეფერხების გამოსასწორებლად.

აღსანიშნავია, რომ იმ რაიონებში, რომლებმაც მოგვცა გადასახადის დიდი პროცენტული შემოსავალი, დიდი ღვაწლი მიუძღვით ადგილობრივ აღმასკომებს, რომლებმაც განსაკუთრებული აქტიური უნარი და მონდომება გამოიჩინეს ამ საქმეში, მათივე აქტიური დახმარებით შავს რაიონებში სავსებით დასრულდება გადასახადის აკრეფა ახლო ხანში.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა რაიონებში საგლეხო სესხის ობლიგაციები გლეხებმა შეიძინეს ნაღდათ.

ნ.

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

თელავის მაზრა.

თელავის მაზრის ყველა თემებში უკვე შემდგარია კომისიები, რომელნიც შეუდგენ იმ პირთა სიების შედგენას, რომელნიც საბჭოთა კონსტიტუციის ძალით მოკლებული არიან საარჩევნო ხმის უფლებას. წინასწარი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად და სახელმძღვანელოდ სამაზრო აღმასკომმა თემებში დაგზავნა ინსტრუქტორები, რომელნიც თემის საბჭოს წევრებთან ერთად შეუდგენ ახალ საბჭოებისათვის ნაკაზების პროექტის შედგენას. ნაკაზები შეფარდებული და შეთანხმებული იქნება თითეული თემის რეალურ შესაძლებლობასთან. ნაკაზში შევა მომავალი საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის გეგმა არჩევის ვადის გასვლამდე.

გორის მაზრა.

გორის სამაზრო აღმასკომმაც შეუდგა მზადებას საარჩევნო კამპანიის დასაწყებად. მთელი გორის მაზრა დაყოფილია 103 საარჩევნო უბნად, რომელნიც თავის მხრივ მიწერილნი არიან 10 საარჩევნო რაიონს. სამაზრო აღმასკომმა შეადგინა საარჩევნო კომისია 9 ამხანაგისაგან. ყოველ საარჩევნო რაიონზე მიმაგრებულია სამაზრო კომისიიდან ერთი ამხანაგი, რომელსაც ევალება ინსტრუქციების მიცემა და წინასწარი მუშაობა ადგილებზე. ცირკულიარები და ინსტრუქციები არჩევნების წარმოების შესახებ დაგზავნილია ყველა თემებში. ამჟამად მიმდინარეობს ამრჩეველთა სიების შედგენა.

გურია.

საარჩევნო კამპანია დაიწყეს გურიის თემებშიაც. იმ მიზნით, რომ მოსახლეობის ფართე მასსებმა თავის დროზე გაიგონ სასოფლო საბჭოების არჩევნების დრო და ადგილი, თითოეულ ამრჩეველს პირადათ გაეგზავნება წერილობითი უწყება არჩევნების დროს და ადგილის შესახებ, ასეთი წესი მოქალაქეთა არჩევნებში გასაწვევად სცადეს გურიის ზოგიერთმა თემებმა გასული წლის არჩევნებში. მართლაც იქ, სადაც ამ ზომას მიმართეს, არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სხვა თემებში. გურიის ყველა 42 თემს დაეგზავნა დაბეჭდილი წიგნები, სადაც შეტანილი უნდა იქნენ ყველა მოქალაქენი 19 წლის ასაკიდან იმ პირთა გამოკლებით, რომელთაც აყრილი აქვთ საარჩევნო ხმის უფლება.

წიგნები შეკრების შემდეგ წინასწარ ყურადღებით გასინჯული და სიებში შემჩნეული შეცდომები დაუყოვნებლივ გასწორებული იქნება. თემებში დარიგებულ ინსტრუქციების მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პირებს, რომელთაც აქა თუ იმ მიზნით წართმეული აქვთ საარჩევნო ხმის უფლება, გლეხების ეს კატეგორია დაწვრილებით უნდა იქნეს გასინჯული, რომ [illegible] სიაში შეცდომები — არ შეიპაროს.

რაჭის მაზრა.

საარჩევნო კამპანია დაიწყო რაჭის სამაზრო აღმასკომმაც, რომელმაც შეადგინა სამაზრო-საარჩევნო კომისია. თემებს დაეგზავნა ცირკულიარები და ინსტრუქციები საარჩევნო კომისიების შედგენის და საერთო საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ. ამჟამად მაზრის თემებში მიმდინარეობს კომუჯრედების კრებები, რომელიც აყენებს აქტივის შერჩევას გლეხებს შორის. მოსალოდნელია არჩევნების წარმატებით ჩატარება.

წითელ ჯარში

მზადება 1905 წ. რევოლუციის 20 წლის თავისათვის

ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილება უკვე შეუდგა გეგმის შედგენას ნაწილებში 1905 წ. რევოლუციის 20 წლის დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

ამ გეგმის მიხედვით ყველა ნაწილებში შედგენილი უნდა იქნას განსაკუთრებული კომისია დღესასწაულისათვის მოსამზადებელი მუშაობის საწარმოებლად.

დღესასწაულის დღეს წითელ თეატრში (სახალხო სახლში) წითელ არმიელების ძალებით გაიმართება შესაფერი საღამო-წარმოდგენა.

წითელ-არმიელებისავე ძალებით გლეხების შორის ჩატარებული იქნება კამპანია, რის დროსაც აღრიცხული იქნება 1905 წლის რევოლუციის მონაწილე გლეხები და აგრეთვე წაკითხული იქნება ლექცია საუბრები კომუნისტური პარტიის მნიშვნელობის შესახებ პირველ რევოლუციის დროს. ამას გარდა აღნიშნულ დღისათვის გამოშვებული იქნება სპეციალური კედლის გაზეთები გლეხკორების მონაწილეობით.

დღესასწაულის პირველ დღეს — 19 დეკემბერს — ნაწილებში გაიმართება წითელარმიელების და უფროსი შემადგენლობის საერთო კრებები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელნი და სასოფლო ორგანიზაციების წარმომადგენლნი.

წითელარმიელების სამკითხველოებში გამოფენილი იქნება ლიტერატურა 1905 წ. რევოლუციის შესახებ.

აგრეთვე [illegible] ჩატარებული იქნება სპეციალური კამპანიები წითელი არმიის მნიშვნელობის შესახებ რევოლუციის მონაპოვართა დაცვის საქმეში.

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში.

— **ძეხვის ქარხანა.** თბ. აღმასკომს განზრახვა აქვს სასაკლაოსთან მოაწყოს ახალი ძეხვის ქარხანა. წინასწარი ხარჯთაღრიცხვით ქარხნის მოწყობა დაჯდება 40,000 მან.

— **ფოსტა დიღომში.** აღმასკომს განზრახვა აქვს დიღომში გახსნას ფოსტის განყოფილება.

— **ზაჰესის** სამუშაოების მე-2 უბნის მუშებისათვის გაიხსნა ახალი სასადილო.

— **სკოლების ქსელის გაფართოება.** განათლების განყოფილება 5 წ გეგმის მიხედვით შეუდგა წინასწარ მუშაობას სკოლების ქსელის გასაფართოებლად, რომ 1928—29 წელში დაკმაყოფილებული იქნას ბავშვთა მოსახლეობის 100 პროც.

სოც. დაზღვევის სამმართველოში.

— **დახმარება უმუშევრებს.** ს. ქ. დამზღვევ სალაროებში ფულად დახმარებაზე ამ ჟამად ჩარიცხულია 4300 მდე დაზღვეული უმუშევარი.

— **მოჯამაგირეთა დაზღვევა.** მაზრა-სოფლებში ამ ჟამად ითვლება მოჯამაგირეთა დამზღვევი 69 საგლეხო მეურნეობა.

— **მშობიარობის და ორსულობის** გამო გასულ წელს საქ. დამზღვევმა სალაროებმა დაზღვეულებს უნაზღაურეს 60 ათასი გაცდენილი დღე.

— **დამზღვევი დაწესებულებები.** სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით, საქართველოში ამ ჟამად ითვლება 18 დამზღვევი და დასაზღვევი პუნქტი.

შინაგან საქ. სახ. კომისარიატში.

— **მილიციონერების კურსები.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით თბილისში მოეწყო მილიციის საშუალო შემადგენლობის მოსამზადებელი 6 თვიანი კურსები, სადაც ამ ჟამად ირიცხება 50 კაცი.

ჯანსახკომში.

— **აფთიაქები სოფლად.** ჯანსახკომის თაოსნობით სოფ. კორბოულში (ქუთ. მაზრა) გაიხსნა აფთიაქი.

— **საქ. წყალოსანთა** საექიმო დახმარების გაწევის საქმე გადაეცა ჯანმრთელობის კომისარიატის დაზღვეულთა დახმარების ქვე-განყოფილებას.

სხვადასხვა

— **გაფლანგვა.** გასულ წელს 41 ადგილკომში გაფლანგული იქნა 14,451 მ. 43 კ.

— **შოფერების კურსები.** ახლო მომავალში ავტო-კლუბში გაიხსნება მოსამზადებელი კურსები.

— **ტყიბულის ქვა-ნახშირის** მადაროების მომავალ წელში წარმოების გასადიდებლად გადადებულია 85,000 მანეთი.

— ა | კ. აღმოსავლეთის სავაჭრო პალატა თბილისში აწყობს სავაჭრო საქონლის გამოფენას. გამოფენა გაიხსნება 1 იანვარს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში და გაგრძელდება 1 თებერვლამდე.

— **ბავშვთა სნეულებები.** თბილისში უკანასკნელ ხანებში გახშირდა წითელა და ყელჭირვება, რომლითაც უმთავრესად ავად ხდებიან ბავშვები.

— საქ. რემედახში ამჟამად ითვლება 78,809 წევრი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 1049 უჯრედში.

კრებები და მოხსენებები.

— განათლების მუშაკთა სახლში ხვალ, 7 დეკ., საღამოს 5 საათზე შესდგება გან. მუშაკთა კულტკომისიის თათბირი.

— **სოფ. ბანძის მცხოვრებთა კრება.** კვირას, 6 დეკემბერს დილის 10 საათზე საქ. სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში (ჯორჯიაშვილის ქ. № 5) შესდგება სოფ. ბანძის რაიონის ქ. თბილისში მცხოვრებთა კრება.

შემთხვევები

— **საპონ-ზეთის ტრესტის** ახლოს 4 დეკ. გაწყდა ელექტრონის მავთული, რომელიც დაეცა სოფ. თელეთის მცხ. მარტიროზოვის ვირს და იქვე მოკლა.

— **ცეცხლი.** 4 დეკ. დილით [illegible] ქ. № 19 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 3 დეკ. ვასილ ბურისს მოპარეს 110 მან. დასარიგებელი გაზეთები.

— 4 დეკ. დილით ანდრეევის ქ. № 103 გაქურდეს პეტრე პროკოფიევის ბინა.

— ამავე დღეს [illegible] ქ. № 9 გაქურდეს მარიამ მხაკარიანის ბინა, წაიღეს 300 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ავლაბრის ქ. № 27 გაქურდეს მუშკოვის მაღაზია № 8 (რიყის ქ. № 10).

— **ჯიბგირობა.** 4 დეკ. ციციანოვის აღმართზე ასვლის დროს სუსანა გასპაროვას ჯიბიდან ამოაცალეს საფულე.

— ამავე დღეს ბაზარში ნადეჟდა კულიკოვსკაიას მოპარეს 30 მან.

— **თავის დაკვლა.** 29 ნოემბ. სართიჭალაში პავლე ახელიშვილმა თვითმკვლელობის მიზნით რევოლვერით დაიჭრა თავი.

ხელოვნება

ოფროს მგალობლიშვილის დაკრძალვა

დღეს, 6 დეკ., დიდუბის პანთეონში დაკრძალავენ სოფრომ მგალობლიშვილის ცხედარს.

დღის 12 საათზე ხელოვანთა სასახლეში, სადაც ასვენია განსვენებულის ცხედარი, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რის დროსაც დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი და სამგლოვიარო ჰიმნს შეასრულებს აკადემიური გუნდი.

სახელმწიფო ოპერა

„მეფის საცოლე"

ეს ოპერა დასწერა კომპოზიტორმა რიმსკი-კორსაკოვმა, როცა ის უკვე მოწიფებულ ძალას წარმოადგენდა შემოქმედების დარგში. ამ ნაწარმოებში რიმსკი-კორსაკოვმა გადაუხვია თავის მიერ არჩეულ საყვარელ გზას — რუსეთის ძველი დროის საზღაპრო ეპოსს. ოპერის სიუჟეტი აღებულია ნამდვილი ცხოვრებიდან და უახლოვდება ისტორიულ სინამდვილეს. აღებულია ივანე მრისხანეს ეპოქა, როცა გამეფებული იყო უმაღლესი თვითნებობა, როცა ადამიანის სიცოცხლეს არაფრად სთვლიდნენ, როცა არა თუ მეფის, არამედ მისი უბრალო მომხრეს ერთ სიტყვაზე ეკიდა მეფის ქვეშევრდომების — მონების ბედი. ასეთ მონებს წარმოადგენდნენ მაშინ თითქმის ყველანი მთელს რუსეთში.

მთავარი პარტია ოპერაში ეკუთვნის ორკესტრს, რომლის მუსიკალური ილიუსტრაცია შეიცავს მიმდევრ პირთა ხასიათებს და მკაფიოდ გამოხატავს ოპერის დრამატიულ მომენტებს. რასაკვირველია, სტოლ. ომინი საერთოდ ძალიან ცოცხლად გადმოსცემს საორკესტრო პარტიის მუსიკალურ შინაარს, მაგრამ ფინალურში (მეორე თეატრის თემა) არ არის საჭირო ბგერების განხრას შენელება, საჭიროა მთავარი თემის უფრო რეალურად ასახვა.

მეფის საცოლეს მარფას პოეტურ სურათს იძლევა ბოჩკოვა. კარგია გარეგნობა. კარგად იყო შესრულებული მეორე აქტის არია, განწყობილება მრავალფეროვანია, მაგრამ მეოთხე აქტში მსახიობი ქალი უშვებს შეცდომებს: წარმოუდგენელია, რომ მეფის საცოლე შეხვედროდა ბოიარებს, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ მეფისაგან ოფიციალური დავალებით, — არა სადედოფლო ტანსაცმელით. მარფა კიდევ არ არის [illegible], რომელიც ყურადღებით უსმენს ივანე მრისხანეს და ტახტიდან დგება, როცა იოანე მრისხანე ახსენებს მეფის სახელს. შემდეგ საერთოდ რეალური ვერ იყო ფინალის წასვლის მომენტი, როცა ის გაიგებს მისი საქმროს წამების ამბავს. მაგრამ ამ აქტის მიზანსცენიდან სცენიური შესრულება ულევად მხატვრული და ამით [illegible]. მსახიობი ქალი დიდი განცდით ასრულებს უკანასკნელ არიას.

ლიუბაშას პარტიას ძალიან კარგად მღერის ბორონკინა, განსაკუთრებით კარგია პირველი აქტი. მსახიობი ქალი თავისუფლად ხმარობს ხმას და იძლევა ნიუანსებს. პირველი აქტის ტრიოში საჭიროა მომღერალი ქალი უფრო წინ იდგეს რამპასთან, თორემ ხმა არ ისმის. მეორე აქტში არ არის საჭირო გამოსვლა ძვირფასი ქვებით მორთულ „სარაფანით". ლიუბაშას აქ არ სცალია მორთულობაზე საფიქრელად.

მრისხანეს პარტია საუკეთესოა ალექსაშინის პარტიაში. კარგია შესრულების ვოკალური მხარე, დეტალურად დამუშავებული სცენიური მხარეც. უკანასკნელ არიაში საჭიროა უფრო მეტი ტემპერამენტი. კარგია მიმიკა.

კარგია ილინი (ვაჭარი სობაკინი). მის უფრო დეტალურად აქვს დამუშავებული პარტია, იძლევა მთელ რიგ საინტერესო მომენტებს, იცვლის განწყობილებას. ვოკალური შესრულება ამავე სიმაღლეზე იყო ოლენიკოვა (მეფის მაჭანკალი), მაგრამ სცენიური მხარე მოითხოვს დეტალურად დამუშავებას.

იმედებს იძლევა [illegible]. თუმცა დუნიაშას პარტია ეპიზოდიურია, მაგრამ მომღერალი ქალი თავისუფლად ხმარობს თავის ლამაზ ხმას.

მორატოვის მხატვრული სახე მოგვცა დ მიანენკომ, მხოლოდ 1 აქტის სცენა ჩატარებული უნდა იქნეს ლიკოვთან და არა იოანე მრისხანესთან.

ზღაჟანსკი (ლიკოვ) მუსიკალურად მღერის პარტიას, პირველი არიოზო შესრულებული უნდა იქნეს მეტი ნიუანსებით, გაცილებით უკეთესად იყო შესრულებული მესამე აქტის ძნელი არია.

ვნუკოვსკიმ ვერ შეჰქმნა მეფის მკურნალის სახე. ვერც სიმღერა იყო თავის სიმაღლეზე. ბგერების ზედმეტად გაძლიერება ავნებს მუსიკალურ ფრაზას, სადაც ეს არ შეეფერება ნიუანსურ მოთხოვნილებას.

რეჟისორი უშვებს შეცდომებს (მარფას გულისწასვლა, როცა მას აცხადებენ მეფის საცოლედ), ვერ არის აგრეთვე სწორად განწყობილი მე-2-ე და მე-4-ე აქტის დეკორაციები.

შ. ა.

— **მოძრავი კინოები.** პროლეტკულტმა კახეთში გაგზავნა მოძრავი კინო. განზრახულია გურიის და აჭარის სოფლებშიც მოეწყოს ასეთი მოძრავი კინოები.

— **1905 წლის რევოლუციის 20 წლისთავის** აღსანიშნავად პროლეტკულტის კლუბ-ბიურო შეუდგა შესაფერი საღამო-წარმოდგენის მოწყობას.

— **წითელ თეატრში** დღეს გაიმართება საბავშვო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება: „ოქროს ბატი". დასაწყისი დღის 12 ს.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება: „ჰამლეტი".

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი".

— **ანდაზების კრებული.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ლევან მეტრეველის მიერ შედგენილი ანდაზების კრებული.

— **ახალი მწერლობის კავშირის** მორიგ სხდომაზე, რომელიც შესდგა პარასკევს, 4 დეკემბერს, ხელოვნების სასახლეში მიშა ჯავახიშვილმა წაიკითხა ახალი მოთხრობა: „წითელი [illegible]" და სერგო კლდიაშვილმა — „ქალაქი ზღვაში". მოთხრობების წაკითხვის შემდეგ გაიმართა მეგობრული საუბარი.

— **წითელი არმიის და ფლოტის** [illegible] კლუბის გახსნა მოხდება დღეს. კლუბთან მოწყობილია ლენინის სახელობის დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო ოთახი და სხ. შესვლა წითელ-არმიელებისა და პროფკავშირების წევრებისათვის უფასოა.

— **კონსერვატორიის დარბაზში** 14 დეკემბერს გაიმართება დიდი კონცერტი. მონაწილეობენ: ვილაცი, სედენკო, დანილიანი, ბროდსკი, ვენაძე, კავსაძე. სიმებიანი კვარტეტი.

— **„ვინ არის დამნაშავე".** სახკინ-მრეწველობა ახლო ხანში გამოუშვებს ახალ სურათს „ვინ არის დამნაშავე". დადგმა ალ. წუწუნავასი.

— **„სოფლის სურათები".** ცალკე წიგნათ დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა გ. მალაქიაშვილის მოთხრობა „სოფლის სურათები", რომელიც „სოფლის ამბების" სათაურით დაიბეჭდა 1910 წელს, მაშინდელ სოციალ-დემოკრატიულ ყოველდღიურ „ახალ გზაში".

— **ახალი რომანი.** გ. [illegible]შვილმა დასწერა ახალი რომანი „სანი", რომლის ბეჭდვას დაიწყებს ჟურნალი „მნათობი" მომავალი წლის იანვრის ნომრიდან.

კინო

კინომრეწველობის ამოცანები ჩვენში

ჩვენს სინამდვილეში კინო-მრეწველობა შეიძლება გახდეს როგორც დიდი კულტურული, ისე დიდი კომერციული და ეს ბუნებრივ. კინო ფილმებისათვის ჩვენ გვეძლევა საუკეთესო ბუნებრივი მასალა. ჩვენი ფლორისა და ფაუნის გამო, კლიმატიური გეოგრაფიული კონტრასტების სიუხვით სულ მცირე მანძილით ერთმანეთზე, იქმნება პირობები ერთსა და იმავე დროს წლიწადის ყოველ დროის გადაღების. კიდევ მეტი, სხვა და სხვა ქვეყნების პეიზაჟების შექმნის. ჩვენ შეგვიძლია ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეულობის გადაღება. ცივი და თბილი ქვეყნების მცენარეულობათა და მათი ბუნებრივი მიცემულობის გამოყენება სურათისათვის ერთსა და იმავე დროს. ჩვენ ამ მხრივ ერთ უმდიდრეს და პირველ ქვეყანას წარმოვადგენთ მთელს მსოფლიოში. ჩვენი მთები და ბუნების დიდებულება, ჩვენი ზღვის სანაპიროები და მთის მდინარეები, ჩვენი ტბები და ველები უმდიდრესი მასალაა კინო-მრეწველობისათვის.

ჩვენი სოციალური ყოფის [illegible] პირობებში კინო-ფილმებისათვის. იმავე დროს ჭრელია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ნაციონალურად, რელიგიურად და ეტნოგრაფიულად, რომ ყოველი კუთხე იძლევა ცხოვრების თავისებურ სახეს, ხალხის ყოფის ორიგინალურ თვისებებს. მეტად ჭრელია ჩვენი ქვეყანა კულტურული დონის სწრაფის მხრივაც, ინტელიგენცია ევროპიული აზროვნების დონეზე, პროლეტარიატი რევოლიუციონური შეგნების მაღალ საფეხურზე სდგას, ხოლო ჩამორჩენილ კუთხეებში ჩვენ ვხვდებით ფეოდალურ და საგვარეულო საზოგადოების მემკვიდრეობას.

ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა ეპოქალური მომენტის დიდ მრავალფეროვნებას წარმოადგენს. მასში ხშირია სხვადასხვა სოციოლოგიური ეპოქების ელემენტები. ეს კი საუკეთესო მასალაა კინო-მრეწველობისათვის. შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ მსოფლიოდ ცნობილი კინო-რეჟისორები აფრიკის და აზიის მიდამოებს ეძებენ, რომ ეს ქვეყნები, ევროპისათვის უცნობი და ახალი პუბლიკისათვის, გახდონ სურათის განვითარების ფონათ. ჩვენ ამ მხრივ შორს მანძილზე არ გვინდა წასვლა.

მსახიობთა ძალის მხრივაც არ განვიცდით დიდ სიღარიბეს. მართალია, არა გვყავს გამოჩენილი კინო-მსახიობები, მაგრამ პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ჯერ მსახიობის უყოლობით თითქმის არც ერთი სურათი არ გაფუჭებულა. ჩვენ ვიცით კინო რეჟისორთა აზრი, რომლებიც დიდ მასალას ხედავენ ჩვენს მსახიობებსა და ხალხში კინო-ფილმებისათვის.

მაშასადამე, ყოველი პირობა არის კინო-მრეწველობისათვის. არის კი ეს პირობები სავსებით გამოყენებული? დამაკმაყოფილებელია ჩვენი კინო-მრეწველობის მუშაობა?

სამწუხაროთ, ჩვენი კინო-მრეწველობა ზოგჯერ დიდ შეცდომებს უშვებს. ჩვენს ფილმებში, მათ უმრავლესობაში ორი დამახასიათებელი მომენტია: 1. ჩვენი ცხოვრების, ისტორიის, ეთნოგრაფიის უცოდინარობა; 2. ფუტურისტული ტენდენციური აგიტაციური ხასიათი, მოცემული ისეთი სახით, რომ ფართო მასსისათვის ვერ ხდება მისაღები.

ჩვენ თვალყურს ვადევნებთ კინო საქმეს სხვადასხვა ქვეყნებში და უნდა განვაცხადოთ, რომ არც ერთი ქვეყნის კინო-ფილმებში არ არის იმდენი ცემა-ტყება, კრივი და ალიაქოთი, ნამუსის ახდა და გაუპატიურება როგორც ჩვენს ფილმებში. ეს არ გამართლდება იმით, რომ ჩვენ არ ვმალავთ ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის სისაძაგლეს და ვეწევით მათ გათვითცნობიერებას. არა. ბურჟუაზია მოიდრეკილი, [illegible] და ნახევრულად თავის საქმეს. არც ერთი ქვეყნის კინო ფილმი არ აქებს ბურჟუაზიას, მაგრამ საუცხოვო სასწორით ჰქმნის მყურებელში ისეთ ფსიქოლოგიას, რომელიც სასარგებლოა ბურჟუაზიული სამყაროსათვის. ამ შემთხვევაში ჩვენ ჯერ კიდევ უნდა ვისწავლოთ ბურჟუაზიისაგან.

ჩვენი ფილმებით კი ხშირად სრულიად დამახინჯებულ და შემცდარ წარმოდგენას ვაძლევთ უცხოელებს ჩვენს შესახებ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ აქ ვისიმე პერსონალური დანაშაულობაა. არა. ეს საქმის, ახალი საქმის აუცილებელი შეცდომებია, მაგრამ [illegible] მაინც დროა მოვიშოროთ ისეთი კომედიები, როგორც „ნასულის კომმარება", არავის ვაჩვენოთ ისეთი სურათი, როგორც „შუქურას საიდუმლოა", ან ნუ ვიქნებით ისეთი კინო მკლავაძენი, რომ „ტარიელ მკლავაძისებური" სურათები მივაწოდოთ საზოგადოებას.

ჩვენ ვფიქრობთ, ერთხელ და სამუდამოთ თავი უნდა გავანებოთ კუსტარულ კინო-მეურნეობას. უნდა მოვიწვიოთ ვინმე გამოჩენილი კინო-რეჟისორი, უნდა დავაწესოთ მისი საერთო კონტროლი ყველა დადგმაზე. უნდა განვდევნოთ „მოხალისეთა" ექსპერიმენტები დადგმების საქმეში და მოხუცთა საგანსათვის ენერგიისა და ფულის ხარჯვა. უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ცხოვრების მცოდნენი და მომზადებული რეჟისორები, კინო საქმით დაინტერესებულნი, უნდა შევქმნათ პირობები მათი მომზადებისათვის. ეს არ გამოიწვევს აუნაზღაურებელ ხარჯებს. სჯობს ათჯერ მეტი მივცეთ რომელიმე ცნობილ რეჟისორს, რომ მოგვცეს ერთი კარგი სურათი ვიდრე არსებული ძალებით ასი სურათი მივიღოთ, რომლებიც სწრაფად გაქრებიან ბაზრიდან.

დროა კინო-მრეწველობა პირველი საფეხურიდან გადავიყვანოთ თავის განვითარების მეორე საფეხურზე. ეს იქნება ჩვენთვის დიდი კულტურული და კომერციული საქმის შექმნა. კარგათ დაყენებული კინო-მრეწველობა ჩვენი ქვეყნის პირობებში თავის შემოსავლით იქნება ყველაზე დიდი მრეწველობა.

ს. ა.

პატარა ფელეტონი

ჰაეროპლანით ჩინეთისკენ!..

(განცდანი და შთაბეჭდილებანი).

გამომესხა უცბათ ფრთანი:
ქვეშ მოვიტოვე ტიან-შანი,
გადავლახე შემდეგ შახე
და პეკინი დავინახე.
ნასში იჯდა გომინდანი,
ედგა ჩაით წინ ფინჯანი
და მას ხვრეპდა ისე ხარბათ,
რომ უყვარდა ჩაი, ალბათ!..
და [illegible] თეთრი ზღვის ერთ ყურეს,
ვხედავ, გემი მოაცურეს.
გადმობრძანდნენ: ლორდი, ლედი...
და აივსო გარს ხმელეთი
კაპიტანი უცხო ხალხით,
შეიმოსა არე თალხით,
[illegible] ცის და იის ფერი,
ახმაურდა ყველა პირი:
ჰირბის რიკშა, მისდევს კული...
ფული!.. ფული!.. ფული!.. ფული!..
აშრიალდა: ოქრო, ვერცხლი,
და მოედო, როგორც ცეცხლი,
გარს ყველაფერს კაპიტალი.
უხრის მას ქედს კაცი, ქალი,
თუმც გარჩევა მათი ძნელი
არის: თმა აქვს ყველას გრძელი
იმზომ, რაზომაც მოკლე აჯა,
თუმცა [illegible] მაჯა
და რიცხვითაც, გგონდესთ შველა,
ვერ სჯობნიდეს ჭიანჭველა,
მაგრამ ცოდნით და შეგნებით
დღეს ვის მოსდრეკთ გრძელი თმებით?!..
მიტომ ყველა აქ მოსული,
ვისაც უყვარს ბლომათ ფული,
მკვიდრ ხალხს დასცქერს ქედმაღლურად,
ან თუ უმზერს, უმზერს მგლურად!
ინგლისელი, ფრანგი, იანკი,
იაპონურ ხედვით მანკი,
შინაური, გარეული,
მღვდელი, თუ მზარეული,
გენერალი, თუ მარშალი,
ყველა მადა-აშლილი
არის და თავს ისე იჭერს,
რომ ეხვევა ცხვირით ცის ჭერს
და ულვაშით კენწეროს ბუზებს!..
გემები კი ჰყრიან ღუზებს
და ნაპირებს ისე საფრავენ,
რომ მათს ტყეში თვალს ვერ აძვრენ!..
რა დაჰკარგეს? რას ეძებენ?
იმას, რომ აქ ჩაის ჰკრეფენ
და აშრობენ შემდეგ მზეზე?!.
მაგრამ ამ მტაცებელთ წრეზე,
განა, მარტო ეს მოქმედობს?!.
დაიხედეთ, როგორ ყვირის:
„ტაიმს", „ტანი", თუ „ნიპონი"!..
ცხ, მეფობენ, რაღა... დრონი!..
თუმცა დროსაც ხოლმე ხშირად
გადექცევა თავის ჭირად
ნამღერალი „ჰეი-ჰაი",
რადგან აგერ ჰა, შანხაი
აიჭრია, აღგა ყალყზე,
და ეს აქ მყოფ უცხო ხალხზე
თუ მოქმედობს, ერთობ ცუდათ!
არ ჰკიდნიდათ ცაი ქუდათ
და ქალამნად — სულ ეს მხარე...
ოდეს დაუდგათ სხვა დრო, მწარე:
ბევრმა გულიც აიკიდა,
ხალხი ისე წაიკიდა;
ბევრს უცეცეს რისხვით თვალი
და, ყბა-კბილებ დანათვალი,
მზათ არის სწყევლოს დაბადება,
გასაქცევათ ემზადება,
მაგრამ გზაც რომ მოჭრილია!..
რადგან ძველი იდილია
გაჰქრა, რომ ვერც ინახულოს,
თავს აფარებს საკონსულოს...
(იჯდეს იქ და იმარხულოს!)
გარშემო კი ყველგან — ბრძოლა!..
გენერლებიც აიყოლა:
ზოგს ბრძანებლობს გომინდანი,
ზოგს გადუდგა ყმა და სპანი,
ვის ინგლისი მოიარებს,
ვინ ფრანკს ჰმონებს, ვინ — დოლარებს,
ვინ იენ-ით ხარჯულია
და დაუტკბა მანჯურია!..
ჩან-ძო-ლინი, უ პეი-ფუ,
ხანკუო, თუ ჩელი, ჩიფუ,
აქ კანტონი, იქ გონკონგი,
ზოგი — აქეთ, იქით — ზოგი..
აირია ყველაფერი!
ყვითელი, თუ თეთრი ფერი,
ყველა წითლად შეღებილა!..
სჩანს, [illegible] კვება
და ბევრ საჭმლის მონელება,
თუ შეუშვეს [illegible] — მაც
იმას ხელი ძველებურად:
დაერივნენ [illegible] მგლურად
და [illegible] ჯარებს უსრი,
[illegible] რკინის ქსელი
ქვეყნის ნათელ ინტერესებს...
არა ერთი დაჰკენსებს
ასეთ ხეპრულ დაჩემებით!..
ვერც ფულით და ვერც გემებით
ვერ უშველის ჰოდღამა, თეთრი!
აქ ბრძოლაა ერთობ მკვეთრი!
და სახალხო მოძრაობამ,
დაამოწმა ყველგან ცნობამ
უქმეველი ეს ამაყე,
რომ გამალა მძლავრად მკლავი!
აღარ არის არსად ზავი:
ლი ჩუნ-ლინი, გო-სუ-ლინი,
ყველას ფეხქვეშ გამოცლილი,
ვხედავ, არ აქვს ნიადაგი!..
და რკინის გზის ლიანდაგი
პეკინისკენ რომ მიჰქრება,
საბჭოებით იმუქრება!!!
ასეთი აქვს ჯანყს გუნება!
მან არ იცის მობრუნება,
და რაც ერთხელ გადუყლაპავს,
მორჩა!.. გზას ის წინ იკაფავს...
რადგან დადგა მშვენიერი
ხალხის შვებას ყველიერი!..
მან ჰა, ლამის ჩან-ძო-ლინი
გადაყლაპოს, როგორც ბლინი!..

ონისიმე.

მეცნიერება და ტეხნიკა

ფარაონ ტუტ-ან-ამონის ნეშტის გამოკვლევა რენტგენის სხივებით

3000-ზე მეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ეგვიპტელების ღმერთის რას (მზის ღმერთი) ქურუმებმა შემურვეს ფარაონი ტუტ-ან-ამონის ნეშტი და ჩადვეს ის სარკოფაგში.

12 ნოემბერს კაიროში ანატომიის პროფესორმა დერრიმ ტუტ ან-ამონის მუმია გამოიკვლია რენტგენის სხივებით.

ეგვიპტოლოგების ცნობებით ტუტ ან-ამონი გარდაიცვალა 1348 წ ქრ. დაბადებამდე, ჭლექისაგან ან, როგორც სხვა წყაროები იუწყებიან, ის მოწამლული იქნა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეების მიერ.

ლონდონის ანტიური მუზეუმის ექსპერტს დოქტორ ლიუკას განზრახული აქვს ახლო ხანში მოახდინოს ქიმიური ანალიზი ფარაონის შიგნეულობის, რომელიც ქვის სარკოფაგში იპოვეს დიდი ვერცხლის ჭურჭელში. თუ შიგნეულობაში იპოვეს შხამი, ნათელი იქნება, რომ ტუტ-ან-ამონი მოწამლეს.

სხვათა შორის, მეორე სარკოფაგში იპოვეს უდიდესი პაპირუსი, რომლის სიგრძე უდრის 30 მეტრს. პაპირუსი აჭრელებულია იეროგლიფებით და სავსეა მაშინდელი დროის მხატვრების ნახატებით. ნახატები ეკუთვნის ტუტ-ან-ამონის სიმამრის ფარაონ აკნოტონის მიერ დაარსებული სამხატვრო სკოლის საუკეთესო მოწაფეებს.

რენტგენის სხივებით მუმიის განათების დროს გამოირკვა, რომ ის გამოხვეულია სამფენა თხელ ტილოში, რომელიც ისეა გაჟღენთილი შესამკურავი წამლით, რომ მაგრათ არის მიწეპებული ნეშტზე. მეცნიერებს დიდი შრომა დასჭირდებათ სანამ ამ ტილოებს მოაცილებენ გვამს.

მესამე სარკოფაგი (კუბო), რომელშიაც უშუალოდ ესვენა მუმია, გაკეთებულია წმინდა ოქროსაგან და უხვად ძვირფასი ბარელიეფებით არის შემკული. სარკოფაგის სახურავი „მოჭედილია ძვირფასი ქვებით, ასეთივე ქვებით, რომლებიც ჩასმულია ოქროში, მორთულია ტუტ-ან-ამონის ნივთებიც, რომლებიც იპოვეს მეორე სარკოფაგში.

ტუტ-ან-ამონის მუმიის გამოკვლევას დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მთელი ქვეყნიერობის მეცნიერები და ჟურნალისტები. კაიროდან მიღებული უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ ინგლისელი მეცნიერები განაგრძობენ მუშაობას მუმიის გასანთავისუფლებლად ტილოებისაგან, რომლის ქვეშ მრავლად მოიპოვება აუარებელი სამკაულები და ძვირფასი ქვები.

თავზე ტუტ-ან-ამონს ახურავს წმინდა ოქროს [illegible] გვირგვინი, ხელებში კი უჭირავს ხმლები, ქამარზე მიმაგრებული აქვს ორი ხანჯალი ოქროს ქარქაშში.

მუმიის დეტალურად გამოკვლევამ მეცნიერებს საბუთი აძლიეს სთქვან, რომ ფარაონი გარდაიცვალა 3.273 წლის წინ 15 წლის ჰასაკში.

პაპირუსებიდან რომლებიც იქვე იპოვეს სჩანს, რომ ფარაონის ცოლი წლოვანობით უფროსი იყო მასზე. ფიქრობენ, რომ ფარაონის ერთ-ერთ მოწინააღმდეგესთან ერთად, მან მოსწამლა ქმარი.

ნარევი

ამერიკის ქალაქების ზრდა.

ამერიკის ცენტრალურმა სტატისტიკურმა ბიურომ გამოაქვეყნა ცნობები შეერთებული შტატების მთავარი ქალაქების მოსახლეობის ზრდის შესახებ. ნიუ-იორკის მოსახლეობის რაოდენობა ჯერ-ჯერობით სისწორით არ არის გამორკვეული, მაგრამ სპეციალისტების აზრით, თუ ნიუ-იორკის მოსახლეობის ზრდა ამ პროპორციით გაგრძელდა, მიმდინარე საუკუნის დამლევს მისი მოსახლეობა 11 მილიონ 800.000 გაიზრდება. 1925 წ. 31 მაისის თვის ჩიკაგოში 2.995.239 მცხოვრები იყო, ფილადელფიაში — 1 973.366, დეტროიტში — 1.242.044.

გარდა ამისა, ამჟამად შეერთებულ შტატებში არის 50-დე ქალაქი თითეული თითქმის ერთი მილიონი მოსახლეობით.

თანამედროვე ვაგონები.

ვაშინგტონის რკინისგზათა კომპანიამ გადასწყვიტა გამოუშვას ახალი ვაგონები, რომლებიც მოწყობილი იქნებიან საუკეთესო საოკეანო გემების მსგავსად. ამ ვაგონებში, გარდა სატანვარჯიშო დარბაზებისა და საცურაო აუზებისა, მოეწყობა სასადილოები, საცეკვაო დარბაზები, სამუშაო კაბინეტები, საპარიკმახეროები. გარდა ამისა, ვაგონებში იქნება სამკითხველოები, ტელეფონები და სხვ. ვაგონებში იქნება მოწყობილი სამკურნალო (მამაკაცებისა და დედაკაცებისათვის).

პირველ ხანებში გამოშვებული იქნება 50 ახალი ტიპის ვაგონი.

მერი პიკფორდ — ბანკის დირექტორი.

ცნობილი კინო-მსახიობი ქალი მერი პიკფორდი აქციონერების მიერ არჩეულ იქნა ჰოლივუდში გახსნილ დიდი ბანკის დირექტორად. მსახიობ-ქალს ეკუთვნის ამ ბანკის აქციების ერთი მესამედი.

შეშლილი აეროპლანზე.

სამგზავრო აეროპლანზე, რომელიც მიფრინავდა კოშიციდან ბრატისლავაში (ჩეხოსლოვაკია) ერთი მგზავრი უცებ შეიშალა და ეცა ყელში მფრინავს, რომელიც საჭეს უჯდა.

მფრინავი არ დაიბნა: ერთი ხელით საჭეს მართვას განაგრძობდა, მეორე ხელით კი მთელი საათის განმავლობაში იცავდა თავს შეშლილისაგან და თან ეძებდა მოსახერხებელ ადგილს დასაშვებად. როგორც იქნა შეამჩნია ასეთი ადგილი და დაეშვა. შეშლილი გაგზავნეს საავადმყოფოში.

მუშათა ცხოვრება

მუშ. კოოპერაციის გაძლიერების შესახებ

(რწმუნებულთა არჩევნების გამო)

კოოპერაციამ რომ დაიპყროს დღევანდელი ბაზარი და მოიპოვოს მეტი ნდობა მუშათა მასის ფართე წრეებში და გლეხობაში, ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღებით მოვეპყრათ მის დღევანდელ მდგომარეობას და ყოველმა შეგნებულმა მუშებმა რწმუნებულთა არჩევნების კამპანიის ჩატარებას ხელი შეუწყოთ, რომ მუშათა ფართო მასსები ჩავაბათ კოოპერატიულ აღმშენებლობაში.

დადებით მხარეებთან ბევრი ნაკლიც დასდევს დღეს კოოპერატიულ მშენებლობას, რასაც საჭიროა ყურადღება მიექცეს.

თუ დღეს მთელი მუშათა მასსა კოოპერაციაში არ არის კიდევ წევრად, ამის უმთავრესი მიზეზია „ჩეკების სისტემა". „ჩეკების" წერა, მისი სალაროში მიტანა, ფულის გადახდა, ბეჭედის დასმა, იქ რიგში დგომა და სხ., ყველაფერი ეს ყოველივე ხალისს უკარგავს მუშათა უმრავლესობას და მისი ოჯახის წევრებს. ისინი იძულებული ხდებიან კოოპერაციას გვერდი აუარონ და კერძო მოვაჭრეს მიმართონ, ვინაიდან კერძო ვაჭარი ჩქარა ახერხებს მყიდველის გასტუმრებას.

გარდა ამისა, მუშას იმდენი დრო სად აქვს, რომ ყველგან რიგში ჩადგეს და უცადოს, თუ როდის მიაქცევს მას ყურადღებას ნოქარი, რომელიც ხშირად გართულია ლაპარაკით ამხანაგთან. ეს იმითაა გამოწვეული, რომ კოოპერაციაში ვაჭრობის გაცხოველებას და მყიდველის დროზე გასტუმრებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

გარდა ამისა, ზოგიერთი პირველი საჭიროების საგანი კოოპერაციაში უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე კერძო მოვაჭრესთან. სიძვირე, რასაკვირველია, გამოწვეულია ზედნადები ხარჯებით. ამის გამო ძვირ საქონელს ყველა ერიდება. მე მქონდა შემთხვევა ამხ. მუშებისათვის მიმემართა კოოპერაციის წევრებად ჩაწერილიყვნენ და ამეხსნა მისი მნიშვნელობა, მაგრამ მათ ისეთი არგუმენტებით დამიწყეს კრიტიკა, რომ საპასუხო ვერაფერი ვერ ვიპოვე.

— ეხლა ბაზარი ყველაფრით სავსეა და კოოპერაციაში კი ერთი საათით რიგში დგომა დამჭირდებაო!— ამბობს მუშა.

ამით ის ბევრს ეუბნება, „რად მინდა შენი კოოპერაცია".

აქედან ცხადია, მარტო ლამაზი სიტყვები არ კმარა. დღეს მუშას საქმე უნდა ვაჩვენოთ, თუ გვინდა რომ კოოპერაციამ მუშათა ფართო მასსაში ნდობა მოიპოვოს.

ამისათვის საჭიროა შეიცვალოს „ჩეკების „სისტემით" ფულის გადახდა, რომ მომხმარებლის დროსაც ანგარიში გაეწიოს.

საჭიროა საქონელიც მოეწონოს მომხმარებელს და სიიაფითაც მიიზიდოს მყიდველი.

აი ყველა ამ საკითხს რწმუნებულთა არჩევნების კამპანიის დროს უნდა მიექცეს ყურადღება, რომ შევსძლოთ კოოპერაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენება და მკვიდრი საძირკველის ჩაყრა.

მარტო გარეგნულად კოოპერაციის მდიდრულად მორთვა და მისი ბრჭყვიალა ელექტრონის შუქმოვარაყება მყიდველს მუშათა რიგებიდან ვერ მიიზიდავს.

მუშკ უ—ნი.

რას ფიქრობს ამაზე ბაღის ადმინისტრაცია

თბ. ბოტანიკურ ბაღში მუშაობს 40 მდე მუშა-მოსამსახურე. ამათში 10—15 ფიზიკური მუშაა, დანარჩენი კი მოსამსახურენი არიან. ბაღის ქვემოთა ნაწილში ერთი ეზოა. ამ ეზოში სცხოვრობს 6 კომლი. ყველა ესენი სულ მუშები არიან. ამ მუშებში ურევია ერთი მუშა ვანო პაპაზაშვილი, ბაღის ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი. ეს უკანასკნელი ხშირად ღვინოს სვამს და მას შემდეგ მართავს მეზობლებში ჩხუბს, მიმართავს მათ ქუჩური სიტყვებით და ლანძღვა-გინებით. სწორედ ესეთი შემთხვევას ქონდა ადგილი 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე. მოქ. პაპაზაშვილი ქალაქიდან ამოვიდა მთვრალი და დაიწყო ჩხუბი, შემდეგ შეუვარდა მეზობელს სახლში საჩხუბრად. თვითონ მეზობელი იქ არ დახვდა, მიუვარდა მის ცოლს და დაუწყო ქუჩური სიტყვებით გინება, და ცემით ემუქრებოდა. ამნაირი შემთხვევები ბევრი ხდება ამხანაგ ვ. პაპაზაშვილის წყალობით.

რაშია საქმე? იმისგან ამდენი ხანი უნდა ვიტანჯოთ!

რას ფიქრობს ამაზე ბაღის ადმინისტრაცია.

მუშკორი შორეული.

დაგვინიშნეთ კბილის ექიმი

ჩაქვის სახალხო მამულში საერთოდ საექიმო საქმე ცუდ მდგომარეობაშია. მაგრამ კბილის ექიმი კი აქ სრულიად არ მოიპოვება. აქ არიან სეზონის მუშების გარდა, რომელთა რიცხვი ორ ათასამდე ადის, დაზღვეული და შტატში მომუშავენიც— 200 კაცამდე. დამზღვევი სალარო ვალდებულია დაზღვეულთათვის მაინც იყოლიოს ჩაქვაში ერთი კბილის ექიმი. არავინ ყურადღებას არავინ აქცევს. ჩაქვა ბათომზე დაშორებულია 18 ვერსით და ავადმყოფის ბათომში წასვლა კბილის ტკივილის დროს შეუძლებელი ხდება, ისედაც ღარიბ მუშისთვის, რომელიც 3—4 თვეობით თავის ხელფასს ვერ ღებულობს!

არის ხშირი შემთხვევა, როდესაც კბილით ავადმყოფი მუშა პირზე ხელებ დაფარებული დილიდან საღამომდე გაშმაგებული დარბის და მიზნისათვის ვერ მიუღწევია: ჯერ გზის ფული ველარ უშოვნია და თუ იშოვა. აუცილებელია, რომ ბათომში ხელში ჩაუვარდეს კერძო ექიმს. ცხადია მუშა ვერ გადიხდის იმდენს, რამდენსაც კერძო ექიმი მოითხოვს.

ამ საგანზე კითხვა დიდი ხანია დავსვით, მაგრამ ამაოდ.

დამზღვევმა სალარომ მოჩვენებასავით ერთი თვით მოგვივლინა კბილის ექიმი და შემდეგ ისევ მოხსნა. მიზეზი კი რა იყო, არ ვიცით.

მუშკორი ვ. ცხუნკურელი.

მუშათა ჯანმრთელობა უზრუნველყოფილი იქნება

(შრომის დაცვის საკითხებიდან.)

აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო განყოფილების გამგემ ინჟ. მულაევმა შეიმუშავა კონსტრუქცია. განსაკუთრებული ტიპის დახურული სისტემის ლითონის მდნობი სამჭედლო ქურისა.

ახალი ქურა უკვე აგებულ იქნა ლეიტენანტ შმიდტის სახელობის „აზნევთის" სალითონო ქარხანაში, მისი გამოცდის მიზნით.

როგორი შედეგი მოიტანა ცდებმა?

ამას ამტკიცებს ზემო აღნიშნული ქარხნის გამოხმაურება (ОТЗЫВ), საიდანაც ვრწმუნდებით შემდეგში:

ახალი ქურა დახურულია ყოველ მხრივ. მისი მილები იწოვენ რა ალს ძლიერად, საშუალებას არ აძლევენ მას გამოვიდეს გარედ სამჭედლოს შენობაში, ამით მუშების ორგანიზმი დაცულია მავნე გაზების ცუდი გავლენიდან.

მუშებზე, საქმიანობის დროს ცუდ გავლენას ახდენს საერთოდ ლითონის მდნობი დიდი ტემპერატურა. ამხ. მულაევის დახურული სისტემის სამჭედლო ქურა კი სავსებით უზრუნველჰყოფს მუშებს მაღალი ტემპერატურიდან. ისე, რომ მათი ორგანიზმი ამ ტემპერატურის ცუდი და მავნებელი გავლენისგანაც უზრუნველყოფილნი არიან.

ახალი ქურის ის უპირატესობა აქვს ტექნიკური მხრივ, რომ გარეიდან იგი დახურულია ყოველმხრივ. იგი სავსებით ჰყოფს ქურაში მყოფ ტემპერატურას გარედ მყოფ თავისუფალ ჰაერიდან და არ აძლევს საშუალებას მათ ერთმანეთთან მიკარებისას. ისე რომ, მთელი ტემპერატურა ქურაში დაცულია და ფუჭად არ იკარგება.

ამასთანავე აღსანიშნავია ის უპირატესობა ახალი ქურისა, რომ მასში საწვავი მასალა სრულიად იწვის და ლითონის დნობის პროცესიც უკეთესად სწარმოებს.

აშკარაა, ჩვენს საქარხნო-საფაბრიკო წარმოებაში გაუმჯობესების კიდევ ერთი სიტყვა ითქვა. რომელიც გააუმჯობესებს მუშაობას ჩვენ მუშებს და დაიცავს მათ ორგანიზმს ფაბრიკა-ქარხნების მავნე გავლენისაგან.

დონ.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **გამოუშვეს კედლის გაზეთი.** კოოპერატივ „მდელოსის" მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომმა გამოუშვა კედლის გაზეთი. გაზეთში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები. წერილები მეტად შინარსიანია და ეხებიან თანამშრომელთა მტკივნეულ საკითხებს.

იქაური.

— **აქაც გამოიყვანეთ ტრამვაი.** მი-7-დე განსაკუთრებით მუშათა უბანია. აქ თითქმის ყველა მცხოვრებელთა 90 პროც. მუშა-მოსამსახურეები შეადგენენ. აქ წინათ ტრამვაი დადიოდა. ეხლა კი იგი არ დადის. მუშათა პაწია ბავშვები ნაძალადევიდან თბილისის სკოლებში ფეხით დაიარებიან.

გაიყვანეთ ამ მიმართულებითაც ტრამვაის ხაზი.

მუშკორი ალ.-ბლი.

— **ხელს უწყობენ ფიზკულტურას.** ქუთაისის მეტყევეთა პროფკავშირის ფიზკულტურის წრის მდგომარეობა დღემდე ცუდი იყო. მაგრამ ეხლა კი თვით პროფკავშირი ამოქმედდა და თავის წრეს შეუკერა ხალათები და ტრუსიკები. იმედი გვაქვს, რომ მეტყევეთა პროფკავშირი არ დაზოგავს თავის წრისათვის თანხას და კიდევ, რაც აკლიათ მის მოვარჯიშეებს, გასცემს.

მეტყევეთა ფ. კ. წრის ინსტრუქტორი დავით ცაგარეიშვილი.

მუშათა ქრონიკა

ჯანსახკომისარიატის ახალ ადგილკომში

მოხდა ადგილკომის და კულტკომის გადარჩევა. არჩეულ არიან ადგილკომში ამხ. ყანდარელი, საყვარელიძე, მარტინოვი და პოპონდოპულო. კულტკომისიაში ნიკოლაიშვილი, ციაშვილი, ფრანგულიანცი და რაბინოვიჩი.

— **პოლიტ და პროფ. წრის დაარსება.** კულტკომისიის მეცადინეობით დაარსდა ჯანსახკომისარიატის პოლიტ. და პროფ. წრე.

— **კედლის გაზეთის გამოშვება.** გამოვიდა ჯანსახკომისარიატის კედლის გაზეთის მე-8 ნომერი. გაზეთი აშუქებს დაწესებულების მტკივნეულ მხარეებს.

— **ექსკურსია მუზეუმში.** ჯ. ს. კ. კულტკომისია აწყობს ექსკურსიას სოციალურ-ჰიგიენურ მუზეუმში ([illegible] ქ. № 12). მუზეუმში [illegible] ლექციას ექიმი [illegible] შვილი ტუბერკულოზისა და ათაშანგის შესახებ. ეს ექსკურსია შესდგება 29 დეკემბერს დილის 11 საათზე.

ა. ნ.

ბიბლიოგრაფია

ნიკო მახვილაძე შინაგან მედიცინის დოქტორი

ანკილოსტომიაზი ჩვენში პროფ. ა. ალადაშვილის წინასიტყვაობით

ს. ს. რ. ჯ. ს. კ. დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილების გამოცემა № 1

თბილისი, 1925. გვ. 26.

მისასალმებელია ს. ს. რ. ჯ. კ. დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება, რომელსაც ზემოაღნიშნულ წიგნის გამოცემით განუზრახავს საქართველოს მშრომელთ მიაწოდოს გასაგებ, უბრალო ქართული, ენით დაწერილი შრომა ანკილოსტომიაზის შესახებ. ეს დაავადება, რომელიც გაძლიერებულადაა მოდებული უმთავრესად დასავლეთ საქართველოში, შეუმჩნევლად ვრცელდება და ფრიად მძიმე მოვლენებს იძლევა. „ამ ავადმყოფობას—ვკითხულობთ წინასიტყვაობაში—დღემდე არ აქცევდინ ყურადღებას და არც გამორკვეული იყო თუ რამდენადაა იგი გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მხოლოდ უკანასკნელ წლებში თბილისის უნივერსიტეტის კლინიკების მუშაობამ დაამტკიცა, რომ ამ ჭიით დაავადება ხშირი მოვლენაა... სპეციალ ექსპედიციამ, რომელიც მუშაობდა გურიაში, ასისტენტ ნიკო მახვილაძის მეთაურობით, აღმოაჩინა მთელი სოფლები, სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი ამ პარაზიტის მატარებელია". ამ ავადმყოფობით გამოწვეულია სისუსტე და სისხლნაკლებობა, ბევრ ადამიანს უსპობდა სიცოცხლეს, მაშინ როდესაც ანკილოსტომიაზის (ჭიის) აღმოჩენა ადამიანის სხეულში ადვილი საქმეა, მკურნალობა მარტივი და იაფფასიანი. „ასე რომ—როგორც ამბობს პროფ. ა. ალადაშვილი—მასთან ბრძოლა შედარებით ადვილი განსახორციელებელია. მხოლოდ საჭიროა რომ თვით მოსახლეობამ გაიცნოს ეს ავადმყოფობა, შეიგნოს მისი მნიშვნელობა და აქტიური მონაწილეობა მიიღოს შესაფერისი ზომების გატარებაში".

აღნიშნულ წიგნში ავტორი სხარტათ გადმოგვცემს ამ ავადმყოფობის გავრცელების გზებს, მის კლინიკურ მოვლინებს და მის საწინააღმდეგოთ მიმართულ ბრძოლის გზა-წესებს. წიგნი დასურათებულია, რაც ფრიად მნიშვნელოვანია. მასთანვე დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე, შეცდომებს ადგილი არა აქვს. ყოველივე ის გვაძლევს ნებას ვთქვათ, რომ ამ პატარა წიგნის გამოსვლით ჯ. კ. დაზღვეულთა სამკურნალოს ქვეგანყოფილებას, როგორც სჩანს, დაუსახავს ფართო ზომსადარით მიაწოდოს საქართველოს მუშა ხალხს მართლაც რომ დიდათ სასარგებლო და მნიშვნელოვანი ცნობები მშრომელ ხალხის დაავადება-დაეუნსლებათა შესახებ.

სასურველია, რომ ასეთი განზრახვა სავსებით განხორციელებულიყოს, მით უმეტეს რომ თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერები არასდროს დაიშურებენ თავიანთ ცოდნას ან ძალას, რათა დაეხმარონ ხალხს ბრძოლაში ყოველგვარ ავადმყოფობათა წინააღმდეგ. ამის მაგალითია შინაგან მედიცინის დოქტორის ნიკო მახვილაძის მონოგრაფია „ანკილოსტომიაზი"-ს შესახებ.

ი. ახლანიშვილი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მეკუთვნის თუ არა ერთი თვის მორიგი შვებულება

კ ი თ ხ ვ ა

მე ვმუშაობ ავჭალის წყალსადენის სადგურში მეტაბელედ, ვიღებ ხელფასს 7 თარისხით. დილით სამსახურში მოვდივარ ნახევარ საათით ადრე, რომ მივიღო „მარკები" მუშა მოხელეებისგან. საუზმად მე ვერ მივდივარ, რადგანაც ვმუშაობ კანტორაში. ყოველ დღიურათ 1 ნახ. საათს მეტს ვმუშაობ, გთხოვთ განმარტებას შვებულება ერთი თვის ხანგრძლივობით მეკუთვნის თუ 2 კვირის.

გ. თ. საბანაძე.

პ ა ს უ ხ ი

თანახმად შრომ. კანონთა კოდექსის მუხ. 114-ისა, ყოველი მუშა-მოსამსახურეს, ვინც ხუთნახევარ თვის განმავლობაში იწეოდა განუწყვეტელ შრომას, საკალენდრო წლის განმავლობაში ერთხელ უნდა მიეცეს მორიგი შვებულება, ხანგრძლივობით არა ნაკლებ ორი კვირისა. შვებულების მეტი ხანგრძლივობით მიცემა ადმინისტრაციისათვის არსებულ შრომის კანონთა კოდექსის ძალით არ არის სავალდებულო, მაგრამ არც აკრძალულია. პარადათ თქვენ მიიღებთ შვებულებას იმ ხანგრძლივობით (ორკვირაზე ზევით), რომელიც აღნიშნულია თქვენ კოლექტიურ ხელშეკრულებაში, ვინაიდან კოლექ. ხელშეკრულებაში აღნუსხული ყველა პირობები და მუშა-მოსამსახურეთა უფლებები თანასწორად ვრცელდება იმ დაწესებულების (ამ შემთხვევაში ავჭალის წყალსადენის) ყველა მუშა-მოსამსახურეებზე, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება.

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება

კ ი თ ხ ვ ა

მე ვმსახურებ თბილისის ქალაქის ლომბარდში 1-ლ მაღაზიის გამგის თანაშემწეთ. ქალაქის ლომბარდის შუამდგომლობით და თბილისის აღმასკომის სანქციით მე მომეცეს ასი მანეთის რაოდენობით ერთდროული დახმარება, უმწეო მატერიალურ მდგომარეობის გამო. ერთდროულ დახმარებიდან ლომბარდის ადმინისტრაციამ დამიკავა ნახევარი ავანსის დასაფარავად.

გთხოვთ განგვიმარტოთ, რამდენად კანონიერია ადმინისტრაციის მოქმედება.

პანტელეიმონ ნადირაძე.

პ ა ს უ ხ ი

გადახდევინება ხელფასზე მიიქცევა შემდეგი საფუძვლით: ა) გადახდევინებისაგან სრულიად თავისუფალია ხელფასის ნაწილი, რომელიც უდრის ხელფასის იმ საყოველთაო მინიმუმს, რაც შრომის კანონთა კოდექ. მუხ. 59-ის თანახმად დაწესებულია საქ. საბჭ. რესპ. ფარგლებში; სრულიად თავისუფალია გადახდევინებისგან (ავანსის თუ სხვა ვალის დაფარვის მიზნით) ის თანხა—ა) რომელიც მიეცემა მუშა-მოსამსახურეს სოცდაზღვევის და უზრუნველყოფის წესით, ბ) მიეცემა სათანადო ორგანოების მიერ დადასტურებულ საზოგადოებრივ სამუშაოებისათვის; გ) მიეცემა გლეხთა საზოგ. საურთიერთო დახმარების კომიტეტისაგან ინვალიდის, მისი ოჯახისა და წითელარმიელის ოჯახის წევრების შემწეობის სახით, დ) მიეცემა დღიურ და წარვლინების ულუფად და შემწეობად წარვლინებისა და გადაყვანის დროს (შრ. კან. კოდ. მუხ. 81—82 სამებრ); ე) მიეცემა გამოუყენებელ შვებულების კომპენსაციად, იარაღის გაცვეთისათვის და სპეცსაცმელისათვის (შრ. კან. კოდ. მუხ. 86, 141 და 142) ვ) მიეცემა შემწეობად სამსახურიდან დათხოვნის დროს.

ტანტიემაზე და პრემიალურ გასამრჯელოზე ეს დადგენილება არ ვრცელდება (იხ. სამოქ. საპროცესო კოდექ. მუხ. 290—291).

ბინის ქირის შესახებ

ვცხოვრობ იზმაილოვის ქუჩაზე სახ. № 2-ში უბინაობის გამო იძულებული ვიყავი ხელწერილის ქვეშ ამეღო ერთი ოთახი და სახლისპატრონისთვის თვეში მეძლია თითო თუმანი. სამი თვის უკვე გადავიხადე წინასწარ. ეხლა არა მაქვს საშუალება ამდენი ქირის გადახდის, ვინაიდან ჩემს ხარჯზე ცხოვრობენ ორი ძმა (სტუდენტები) და ერთი და უმუშევარი. ვარ კავშირის წევრი (№ 94925) და დაზღვეული; თვიურად ხელფასს ვღებულობ 37 მ. 80 კ.

გთხოვთ განმარტებას თუ რამდენი უნდა გადავიხადო თვეში. ოთახი შეიცავს 25 კვად. არშინს

თამარა საკანდელიძე.

პ ა ს უ ხ ი

თითოეულ კვადრატიულ არშინზე ბინის ქირად იხდით ერთ კაპეიკ-ნახევარს. (1,5 კაპ.)

კ ი თ ხ ვ ა

მე ვცხოვრობ პანასევის ქუჩაზე № 36 მიჭირავს ერთი თვალი ოთახი—სივრცით 30 კვად. არშინი. ვმსახურობ გლეხის ცენტრალურ სახლში, ჯამაგირს ვიღებ 6—თუმანს. ვარ კავშირის წევრი 1923 წლიდან. (წიგნაკის № 66110) ჩემი ოჯახი შესდგება სამი სულისგან. სახლის პატრონი მთხოვს 15 მანეთს თვეში ოთახის ქირად. ამის გადახდა მე არ შემიძლია.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი უნდა გადავიხადო თვეში ოთახის ქირა.

მუშა იოსებ ჭოხონელიძე.

პ ა ს უ ხ ი

ბინის ქირად თვითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ხუთნახევარ კაპეიკს (5,5 კაპ.)

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— წერკუმსის რაისაბჭო იუწყება, რომ „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა" საზოგადოების ქალაქის რაიონის კონფერენცია იხსნება ხვალ, 7 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, სახალხო კავშირის კლუბის ბინაზე (კინო „სოლეი"-ს ქვეშ.)

დღის წესრიგი:

1) „წერკუმსის" მიზნები და ამოცანები.
2) რაისაბჭოს ანგარიში.
3) არჩევნები.

ვთხოვთ დელეგატებს და წარმომადგენლებს—ნუ დაიგვიანებენ.

„წერკუმსის" თავმჯდომარე კერესელიძე.

— ორშაბათს, 7 დეკემბერს, საღ. 7 საათზე, მთავპოლიტგანის შენობაში დანიშნულია.

წერკუმსის ცენტრ. გამგეობის სხდომა

გაირჩევა ყრილობისათვის დამზადებული მასალები და კითხვები. უნდა დაესწრონ: ამხ. ამხ. ღ. რუხაძე, დ. კანდელაკი, ვ. ბახტაძე, ბოხნაშვილი, სულუხია, ჭელიძე, კეკელია, ხუნდაძე, ჯალალანია, ლ. კალანდაძე ლავ. გურჯიშვილი, დავ. კიკნაძე.

პ | მგ. მდივანი: პ. სვანაძე.

— ნორჩ პიონერთა ბიურო იტყობინება, რომ ორშაბათს, 7 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ნორჩ პიონერთა თბილისის ბიუროს ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი № 20) შესდგება პიონერთა ორგანიზაციის პრაქტიკულ (ფასიან) მომუშავეთა თათბირი.

ნორჩ პიონერთა რაიბიუროს თავმჯდომარეების, რაიონულ ინსტრუქტორების, მათ თანაშემწეების და პიონერების ჯანმრთელობის დაცვის კომისიის ექიმთა დასწრება სავალდებულოა.

ნ | პ. თბილისის ბიურო.

— ლენინის რაიონის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ კვირას, 6 დეკემბერს ა | წ., პლეხანოვის კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში შესდგება ქალთა საერთო კრება (დიასახლისებისა, ცოლებისა, დედებისა და დებისა) და ლენინის რაიონის მუშა მოსამსახურეების.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: 1. „წერკუმი"-ს მიზნები და ამოცანები. 2. ბიუროს არჩევნები. 3. მიმდინარე საკითხები.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყ. სთხოვს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან:

მევლუდ წულუკიძე, ელის ზახარკინი, ცოლაკ ვართანიანი, მიხ. ინდრუშისტი, ისაკა კირია, ფეოდოსია უჩანეიშვილი, ისონ ესებუა, ალ. გრეკოვი, გეორგი გუსევი.

წერილები სოფლიდან

წერილები სოფლიდან

(ბანძის რაიონის კეთილმოწყობისათვის)

დღეს იხსნება საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეული ბანძის რაიონის ქ. თბილისში მცხოვრებთა საერთო კრება. დღის წესრიგში არის დასმული შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება საინიციატივო ჯგუფის, 2. ბანძის რაიონის კეთილმოწყობის მიზნით ხელმძღვანელ ორგანოს არჩევა და 3. მიმდინარე საკითხები. ერთი შეხედვით „საზოგადოების" დაარსება ქ. თბილისში უმნიშვნელოთ და ზედმეტ ნოგიერთს ზედმეტადაც მოეჩვენოს, მაგრამ არსებითად მეტად საგულისხმოა.

ჩვენი სოფელი კულტურულ-ეკონომიურად ჩამორჩენილია. ვიწრო მიკიბულ-მოკიბული ორღობები; უთავბოლოთ შეჯგუფული შენობები, უსუფთაო ქუჩა-გზები და ზოგჯერ მცენარეულობიდანაც გაძარცული კარ-მიდამოები; კულტურული დაწესებულებების თავის კუთხისაკენ წაღება, ერთი რაიონის (10-დე სოფ.) მასშტაბით პარალელურად მუშაობის და უთავბოლო ხარჯების გაწევა, ერთმანეთშორის კინკლაობა; მთავარი ეკონომიურ-კულტ. საკითხების მოუწესრიგებლობა და სხვა მრავალი, ასეთია ბანძის სურათი.

დღიდან გასაბჭოებისა თუ რომელიმე რაიონში რაიმე მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა, ეს არ შეიძლება ბანძის რაიონზე ითქვას სავსებით.

აი სწორედ ამიტომ ვაყენებთ ასეთ კითხვას—„კეთილმოწყობა"-ს დღეს საერთო კრებაზე. მაგრამ „კეთილმოწყობა" ჩვენ გვესმის არა მარტო სოფლის გარეგნული გამშვენიერების აზრით, თუმცა ამასაც აქვს თავისი ღირებულება.

„საზოგადოების" ამოცანას შეადგენს გლეხის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯანმთელობის დაცვა, შარა-გზების გაყვანა, სოფლის დაგეგმვა და საზოგადოთ ყოველი კულტურულ აღმშენებლობაში ხელის შეწყობა.

პირველყოვლისა საზოგადოებამ ხელი უნდა მოკიდოს საგზაო მშენებლობას. თუ ეს საკითხი არ მოგვარდა, ტყვილა უბრალო იქნება ლაპარაკი მეურნეობის და საერთოდ სოფლის წინ წაწევაზე. ამას სჭირდება თანხები, რომლისთვისაც უნდა იზრუნოს საზოგადოებამ. ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები საერთოდ მშენებლობაში მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას მუშაობის სახით.

ასეთივე საზოგადოება არსებობს „მათხოჯის" სახელწოდებით, რომლის მოხსენება ჩემს ხელთ არის და ამ საზოგადოების მოქმედებამ ამხ. კალინინის ყურადღებაც კი მიიპყრო.

ადმინისტრატიულ, კოოპერატიულ, სასანიტარო, საექიმო, სასკოლო, აგრონომიულ და სხვა ქსელების მიზანშეწონილად მოწყობის ერთი მთავარი ხელის შემშლელია მოსახლეობის დაქსაქსულობა.

ჩვენ ვიცით, რომ დღემდე საერთოდ და კერძოთ ჩვენი სოფელი სტიქიურად, ყოველ გეგმის და საზოგადოებრივ მიზანშეწონილობის გარეშე შენდებოდა. ახალი საბჭოთა სოფელი უნდა აშენდეს თანამედროვე პირობების და მიხედვით. საზოგადოება უნდა დაეხმაროს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ამ საკითხის მოგვარებაში.

ასეთი ამოცანებს საზოგადოება, რასაკვირველია, ხვალიდანვე ვერ განახორციელებს. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ თანდათანობით. პირველად გავაკეთოთ ის, რის გაკეთება აუცილებელია და შემდეგ კი სხვა. ჩვენ პირველ საკითხად ვაყენებთ გზის საკითხს.

ჩვენი „საზოგადოება", რა თქმა უნდა, იმუშავებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ყველა ორგანოებთან შეთანხმებით.

პ. დანელია.

გლეხკომი ასეთი უნდა.

სოფ. ართანის გლეხთა კომიტეტი ეწევა კეთილსინდისიერ და დაუღალავ მუშაობას. გლეხკომის თანხები იზრდება და ხმარდება სოფლის სახალხო დაწესებულებებს, მაგალითად, მან დაარსა ერა-კერვის სკოლა და ქოხ-სამკითხველო, აგრეთვე დაეხმარა შრ. სკოლას, რომელსაც არ მოეპოვებოდა სხვადასხვა სასწავლო ნივთები და შეუძინა წითელი დროშაც. გლეხობა მისი მუშაობის კმაყოფილია.

ლადო თაფლაშვილი.

შ ე ფ ო ბ ა ს ო ფ ლ ა დ

(წერილი ბორჯომიდან)

ამას წინათ ბორჯომის საბჭოთა მოსამსახურეების კომუჯრედის საშეფო კომისიამ მოაწყო საღამო-წარმოდგენა საშეფო სოფლის სასარგებლოთ. განზრახულია ამ სკოლისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელათ მასწავლებლის დაქირავება ზამთრის პერიოდში, აგრეთვე გაზეთ „ახალი სოფლის" გამოწერის გაგრძელება და რომელსაც უკვე უწერავს დვირის თემის სოფლის გლეხობას და ქოხ სამკითხველოებს.

საღამოს შემოსავალი დაახლოებით ოთხმოც მანეთამდე უდრის. საღამოს მოწყობაში უჯრედის თითქმის ყველა წევრები ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას. საჭიროა ამ მაგალითს მიბაძონ დანარჩენმა უჯრედებმაც და გააღრმაონ სოფლად მუშაობა კულტურულ დარგში.

ი. ტერაძე.

წერილებიდან

ძლისაური (გურია)

— **სპეკულიანტი უნდა ვილაგმოთ.** ამა წლის დასაწყისში აქ ამოვიდა ოზურგეთელი სპეკულიანტი ყაფლან ბერიძე და ნისიად იყიდა გაჭირვებულ გლეხებისაგან ვაშლი. რამოდენიმე დღის შემდეგ ფული უნდა დაებრუნებინა. ყაფლანმა წაიღო ვაშლი რუსეთში, ვინ იცის იქ რა მოუვიდა, მხოლოდ ნოემბრიდან კი განაცხადა, რომ იზარალა და ამიტომ ფულს ვერ გადიხდის. ასე დაცანცლა ყაფლანმა გლეხებს ნაოფლარი თვითონ კი ოზურგეთში არხეინად ვაჭრობს (აქვს სამიკიტნო და ფურნე). ასეთ ჩარჩს ჭკუა უნდა ვასწავლოთ.

დ. ჩოლოქიძე.

ძ. ზუგდიდი

ლორების სათარეშო. ზუგდიდის ქუჩების თითქმის ნახევარი გაფუჭებულია. ცოტაოდენი წვიმა ეყოფა, რომ იქ გაჩნდეს გაუვალი ტალახი. ტალახიანი ქუჩები ხარების სათარეშოდაა გადაქცეული (ჯორჯიაშვილის, ლენინის, ანაკლიის ქუჩები). კვირა-პარასკეობით, ბაზრობის დროს, გაშვებული ღორები თავისუფლად „დასეირნობენ" ხალხში და სვრიან გამვლელ-გამომვლელთ. ღორები ზოგჯერ შედიან „ძაათა სასაფლაოზე" და იქ „დაჯირითობენ".

ყოველივე ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ზუგ ზუგდიდელი.

ცაიშის-კახათი (ზუგ. მაზ.)

— **მისაბაძი მაგალითი.** ალასკომის სამმართველოსა და შეიდწლედისათვის საჭირო იყო შეშა. გლეხობამ დაადგინა: ვისაც ურემი გვაქვთ | ურმით, ვისაც არა—ხელით, ხანჯალ-ცულიანად წავიდეთ და მივიტანოთ შეშაო. ალ-ე. აღმასკომმა მაზრიდან ნებართვა მიიღო შეშის უფასოდ მოსაჭრელად და მისი ინიციატივით რამდენიმე დღეს გამოიტანეს ტყიდან 6 კუბ. საჟ. შეშა. ამ საქმეში მთელმა გლეხობამ ერთსულოვანი მონაწილეობა მიიღო.

ნ. მათეშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **ს ო ფ. ს ა ქ ა რ ი ს** გლეხკომმა (შორ. მაზრა) ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოს გადასცა 35 მან.

— **მ ი წ ო დ მ ო წ ყ ო ბ ა,** ბორჩალოს აღმასკომმა გამოიმუშავა მიწოდმოწყობის გეგმა 1926 წლისათვის.

— **თ ე ლ ა ვ ი ს** აღმასკომმა დაავალა საუბნო გამომძიებლებს დააჩქარონ საქმეების გამოძიება სოფლებში.

— **ს ი ღ ნ ა ღ ი ს** აღმასკომმა დაადგინა დახმარება გაუწიოს კომკავშირის მდივნების გადასამზადებელ კურსებს.

— **ს ა ქ ა რ ი ს** გლეხკომმა კოოპერატივის წევრებათ თავის ხარჯზე ჩასწერა 57 ღარიბეზი გლეხი.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტი (ხელოვნების სასახლე) აცხადებს, რომ ნოემბრის 30 გარდაიცვალა მცხოვანი და დამსახურებული მწერალი-ბელეტრისტი

ეგნატე ნინოშვილი

გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან დილის 12 საათზე.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ნოემბრის 30-ს თბილისში გარდაიცვალა მხცოვანი და დამსახურებული მწერალი

ეგნატე ნინოშვილი

დღეს, 6 დეკემბერს 12 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (ი. მაჩაბლის ქ. 13) გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რის შემდეგ ცხედარი გასვენებულ იქნება დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დასაკრძალავად. ნ. 366—3—2

სახ. კონსერვატორია აუწყებს საზოგადოებას, რომ ნოემბრის 30-ს თბილისში გარდაიცვალა მხცოვანი და დამსახურებული მწერალი

ეგნატე ნინოშვილი

კვირას, 6 დეკემბერს, 12 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (ი. მაჩაბელის ქ. № 13) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რის შემდეგ ცხედარი გასვენებული იქნება დასაკრძალავად ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (დიდუბეში). 1—1 726

კვირას, 6 დეკემბერს, დილის 12 საათზე ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი

ანასტასია ქაიხოსროს ასულის თურქიას

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს შვილები, ქალიშვილები, სიძეები, რძლები და შვილიშვილები.

—1 727

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი შვილები: ლევანი, გიორგი (ქუჩიშვილი), დათიკო (თურდოსპირელი); ძმისწულები: ვერა ბაქრაძისა და ანა ფალიაშვილისა; რძლები: მარიამი, ვასასი და ელენე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 დეკემბერს, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე, შუადღის 12 ს. გარდაცვალებიდან წლისთავის შესრულების გამო გადახდილი იქნება პანაშვიდი პირველთა საყვარელი დედიკოს, მეორეთა—ძვირფასი მამიდის და მესამეთა—სანატრელი დედამთილის, ტრაღიკულად დაღუპულის

სალომე ჩხეიძისა

2—2 ნ. 355

ღრმად დამწუხარებული ერუსლან ლეონტის ძე არდიშვილი, მეუღლით—ნადეჟდა ამბაკოს ასული, და არკადი ლეონტის ძე არდიშვილი მეუღლით—თამარ ალექსანდრეს ასული, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 5 ამა დეკემბერს გარდაიცვალა მათი უძვირფასესი და უსაყვარლესი სიძე

ლავრენტი ბესარიონის ძე ხამაშურიძე

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ეკატერინე, შვილები— გიორგი, ნადეჟდა, თამარა და კატიუშა (მოსკა), რძალი ნადეჟდა, სიძეები— ა. კაურკჩიკაშვილი და თენგიზ ერისთავი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათი უსაყვარლესი

ლავრენტი ბესარიონის ძე ხამაშურიძის

გარდაცვალებას

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ორბელიანის ქუჩა № 4, ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე დასაკრძალავად დანიშნულია 8 დეკემბერს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე.

აპოლო
არტისტო
სოლეი

დღეს კვირა

მერი პიკფორდ სურათში
ორი პრეტენდენტი
ნიმანი Z ზერო
მთავარ როლში დუგლას ფერბენქს
საუკეთესო ამერიკული სურათი.

ი-6 ნ. 254

მოითხოვეთ
მხოლოდ წმ. ნდა
ფაქიზი პუდრი
„ა ნ გ ო"
ყველგან მოწონებული
მოწონებულია მოსკოვის სანიტარულ ინსტიტუტის მიერ № 2727/ა.
სასინჯი კოლოფის ფასი 45 კაპ.
იყიდება ყველა საპარფიუმერიო საკოსმეტიკო მაღაზიებში.
6—1 ნ. 344

სახელმწიფო დრამა დღეს, 6 დეკემბერს

ჰამლეტ

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის.
მონაწილეობს პირველი შემად. ქართ. საოპ. სტუდიის ორკესტრი

სახელმწიფო ოპერა დღეს, 6 დეკემბერს
დანიელიანის, ვენაძის, ქუმსიაშვილის, ისეცკის და სხვათა მონაწ.

პიკის ქალი

ანონსი: ოთხშაბათს, 9 დეკემბერს

ტოსკა

სანდრო ინაშვილის მონაწილეობით

ნ. 363 3—2

ხელის მომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

მიხა ჩოდრიშვილის სახელობაზე

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე.

ახლების თხოვნის მიღება იქნება 15 დეკემბრიდან პლეხანოვის პრ. № 66 / ხ—ოსნ. კლუბის მდივანთან, ან კურსების გამგესთან იოვ — ტერსტეფანოვთან, 1 თუმანოვის ქ. № 13.

ნ. 723 1—

გრძელდება ხელისმოწერა პროფ. ი. აბულაძის შრომაზე

„რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკონზე“

4 ტომათ

ლექსიკონი ხელისმომწერთ დაურიგდებათ 1926 წ. იანვრ. ნაკვეთობით. ვინც ა. წ. დეკემბრის დამლევამდის მოაწერს ხელს, იხდის ლექსიკონის საფასურად 14 მანეთს (თვიურათ 1 მ. 50 კ.), დაწესებულებები კი ღირებულების არა ნაკლებ 50 პროც.

1926 წლის იანვრიდან ლექსიკონის ფასი გადიდებული იქნება. ლექსიკონის გამომცემელი და ხელმძღვანელი თვით რედაქტორი პროფ. ი. აბულაძე.

ლექსიკონის გასავრცელებლად მოწვეულნი არიან პასუხისმგებელი აგენტები, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში. პროვინციის ძველ აგენტებს ვსთხოვთ დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ მანდატები და გაასწორონ ანგარიშები.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 8.

ნ. 362—3—1 ტექნიკური მდივანი დავ. კასრაძე.

ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქცია

ხელის მომწერლებისა და მკითხველთა საყურადღებოთ აცხადებს შემდეგს:

რათა ხელის მომწერლებს დროზე და უნაკლოდ დაურიგდეთ ნომრები 1926 წლისათვის ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქცია თვითონვე მოაწყობს ჟურნალის კანტორას

დაიწყო ხელის მოწერა 1926 წლისათვის

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში და აგრეთვე სათანადო ქვითარებით და მანდატებით აღჭურვილ აგენტებთან.

წლიურად გამოვა 12 ნომერი ათ წიგნად და ხელის მომწერთათვის ღირება—16 მანეთი, ნახევარი წლით - 8 მანეთი, ცალკე ნომერი—2 მან.—ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

1925 წ. „მნათობ“-ში დაიბეჭდა შემდეგი ავტორების ნაწარმოები:

ადამაშვილი ჯავახიშვილი მ. ამაღლობელი ს. ბუმერანგ-მამაშვილი ა. ბახტაძე ვ. გაბესკირია ვ. გაფრინდაშვილი ვ. გვეტაძე რ. გოგიბერიძე მ. გორგაძე ვ. გორგაძე ს. დევდარიანი ს. დუდუჩავა შ. ვაკელი ი. იაშვილი პ. იოსელიანი ი. ირეთელი პ. კაკაბაძე პ. კაკაბაძე ს. კალაძე კ. კალაძე რ. კლდიაშვილი დ. კლდიაშვილი ს. ლეონიძე გ. ლორთქიფანიძე ვ. მახარაძე ფ. მარრი ნ. მგალობლიშვილი გ. მელიქსეთ-ბეგი ლ. მიწიშვილი ნ. ნადირაძე კ. რამიშვილი ტ. რობაქიძე გ. რონდელი დ. ფლენტი ბ. ქურული ვ. სამსონიძე პ. სტალინი-ჯუღაშვილი ი. ტაბიძე გ. ფაღავა ა. ფეოდოსიშვილი კ. ქავთარაძე ს. ქიქოძე გ. ქუთათელი ა. ქუჩიშვილი გ. ყაზბეგი ს. შანშიაშვილი ს. შენგელაია დ. ჩიაბელი დ. ჭიჭინაძე კ. ხუნდაძე ს. ხუროძე ვ.

1926 წლისათვის ჟურნალში სათანამშრომლოდ მოწვეულნი არიან საქართველოს ცნობილი პოეტები, მწერლები, მხატვრები, მეცნიერები და პუბლიცისტები.

რედაქციას ჰყავს საკუთარი თანამშრომლები რუსეთში და საზღვარ-გარეთ.

რედაქციისა და კანტორის მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 31 (სახელგამის ყოფილი ბინა)

P. S. „მნათობი“-ს ძველი კანტორა, რომელიც კერძო პირების ხელში იყო, მომავალი წლისათვის გაუქმებულია. ვისაც 1925 წლის რომელიმე ნომერი დააკლდა, გაეცნობოს სათანადო საბუთების წარმოდგენით და ნომერს მიიღებს.

რედაქციის მიერ ხელის მოწერის საქმე ქ. თბილისსა და აღმოს. საქართველოში და ა.-კ. რკინისგზებზე მინდობილი აქვთ ამხ. ს. ცანავას, ე. წულაიას, და ი. სიგუას. დასავლეთ საქართველოში რედაქცია აგენტურას მოაწყობს ადგილობრივ და აგენტების სიას დამატებით გამოაცხადებს.

ნ. 338 7—1.

მინიონ კინო ერთსა და იმავე დროს **სოლეი**

საუკეთესო სურათი ჯოე მაის დადგმა

4 სერიად

ინდოეთის აკლდამა

მთავარ როლებში: მია მაი, კონრად ვეიდტ, ლია დე-პუტი

1 და 2-ე სერია ერთად

სოლეი კინო ერთ და იმავე დროს **მინიონ**

1—1 280

1925 წ. 12 დეკემბერს ქ. ქუთაისში სამეურნეო-მატერიალურ სამსახურის 1 უბნის რევიზორის კანტორაში

3 ინტერნაციონალის ქ. № 102

დანიშნულია შეჯიბრება

სხვადასხვა მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების გასაცემად შემდეგ საწყობებში: ბათომი, სამტრედია, ფოთი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ტყვიბული, ხაშური, ბორჯომი და დროებით საწყობებში: ფოთიდან მუხიანამდე, ბათომიდან საჯევახომდე, მუხიანიდან წიფამდე, ხაშურიდან ბაკურიანამდე და სენაკიდან ცაიშამდე შავი ზღვის რკ. გზ.

განცხადებები უნდა იქნეს შემოტანილი დახურულ კონვერტებში, არა უგვიანეს 12 დეკემბრის 12 საათისა. იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებაში, გარდა კავშირის წევრებისა ე. ი. უმუშევართა არტელებისა, უნდა შემოიტანონ საწინდრის სახით 100 მანეთი.

სამუშაოების შესახებ დაწვრილებითი ცნობების და განცხადებების ბლანკების მიღება შეიძლება აღნიშნულ საწყობების ზედამხედველებისაგან და თვით რევიზორის კანტორიდან დილის 9—3 საათამდე

ნ. 373 3—1

თბილისის კომუნალურ ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს

რომ განცხადებები ყოფილ თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ მამულების ა/წ. 29 დეკემბერს და 1926 წ. 15 იანვარს საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ გამგეობის განკარგულებით დაიბეჭდა მხოლოდ ქართულ გაზეთ „კომუნისტ“-ში და რუსულ გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში.

სხვა გაზეთებმა გადაბეჭდეს ეს განცხადებები აღნიშნული ორი გაზეთიდან და ამ გაზეთებში დაბეჭდილ განცხადებების სისწორეში კომუნალური ბანკის გამგეობა პასუხს არ აგებს. ნ. 378 1—1.

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—28

ახალციხის სამაზრო აღმასკომის კომუნალური განყოფილება

აცხადებს, რომ განყოფილების მიერ იცემა იჯარით (ყოფილ კიროშჩევის) ლუდის ქარხანა, რომელიც საჭიროებს ფრიად მცირე შეკეთებას, ყოველ გვარ საჭირო ქონებით.

იჯარით აღების მსურველმა უნდა მიმართოს კომუნალურ განყოფილებას ქ. ახალციხეში.

3—1 № 708 კომუნალური განყოფილება.

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა/წ. 9 დეკემბერს, დილის 10 საათზე გოგოლის ქუჩაზე მდებარე სახლში № 63 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

კოოპერატიულ საზოგადოების „კახეთი“-ის კუთვნილ ღვინოების, ბოჭკების და სხვადასხვა ინვენტარის გასანაღდებლად, დამხვევ სალაროს დავალიანების დასაფარავად.

აღმასკომის ადმგანყოფილების უფროსი—ხმალაძე
საერთო სადმინისტრაციო ქ/განყ. უფროსი—კილურაძე.

ნ. 382 2—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვულ დაავადებულ ავადმყოფებისათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, კოროლენკოს ქ. № 20.

9205 25—1

ბანძის რაიონის

ქ. თბილისში მცხოვრებთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 6 დეკემბერს, დღისა კვირას დილის 10 საათზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის შენობაში ჯორჯიაშვილის ქუჩა, № 5 (ყოფილი ბარიატინის ქ.), მოწვეულია ბანძის რაიონის, ქ. თბილისში მყოფ მცხოვრებთა კრება.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საინიციატივო ჯგუფის.
2. ბანძის რაიონის კეთილ-მოწყობის მიზნით ხელმძღვანელ ორგანოს არჩევა და
3. მიმდინარე საკითხები.

ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ შემდეგ ამხანაგები:

1. ზაქარაია ეფრემ, 2. დანელია მიშა ა-ძე, 3. დანელია ბაკაკი ბესოს ძე (კომპანია), 4. მიშა პ. ძაგანია (ერკოოპი), 5. გრიშა თ. ძაგანია, 6. ბაახიები გრიგორ და ნიკოლოზ, 7. პატარაიები ბართლომე კირილე და შალვა, 8. ნიკოლავა ვანო, 9. ჯიქიები სერგო და პართენი, 10. გაბუნიები სილოვან, გრიშა, ლეო და ქსენია, 11. ქაჯაიები პეტრე და მელიტონი, 12. კორსავა ლევან, 13. ძაგანია ბიქტორ, 14. კუცია კონსტანტინე, 15. კეკელიები ექიმი (ვენეროლოგი) ბაგრატი და შალვა, 16. გაბუნია ხიტი (დიმიტრი), 17. დანელიები ჯვები, შალვა, ისაკი და ნესტორი, 18. ალშიბაია ქორჟე, 19. სარჩიმელიები ალიოშა, ლევანი და სხვანი.

კრების მომწვევი ინიციატორები: 1. პ. დანელია, 2. ი. ბართაია 8 ვასო პატარაია.

ნ. 366 3—1

დოქტორი **გ. მევრაგიანი**

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზით, პნევმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის საკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 სალ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექ. ე. მ. მქინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპ ქტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებისა და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათამ. ბელგიის ქუჩა № 1.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

მუშა-მოსამსახურეების და ყველა მოქალაქეების დაზღვევა უბედურ შემთხვევებისაგან

ამიერ-კავკასიის სოციალურ დაზღვევის სამმართველომ დაიწყო ნებაყოფლობითი (ინდივიდუალური და ჯგუფური) დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან სიკვდილის, ინვალიდობის და დროებით შრომის უნარის დაკარგვისათვის პასუხისმგებლობით:

წარმოებებში, ქარხნებში, ფაბრიკებში და სხვაგან მუშაობის, საბჭოთა კავშირის რკინისგზებზე და ხმელთაშუა, შავა, კასპიის ზღვებზე და სხვა სანაოსნო გზებზე მოგზაურობის, ტრამვაით, ავტომობილით და აეროპლანით მიმოსვლის დროს.

დასაზღვევი თანხა ცალკე პირისათვის შეიძლება იქნეს 500 მანეთიდან ზევით, ჯგუფების დაზღვევისათვის 100 მანეთიდან ზევით

პრემია ინვალიდობის ან სიკვდილის შემთხვევაში დასაზღვევი თანხის თითეულ ათას მანეთზე დაახლოებით ერთდროულათ შეადგენს 5 მანეთს წელიწადში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება დაზღვევის შესახებ შეიძლება მიღებული იქნას: თბილისში ამიერ-კავკასიის სოციალურ დაზღვევის სამმართველოში, აღმასკომის ქ. № 8 (ყოფ. სოლოლაკის) და ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის კანტორებში და სააგენტოებში.

1-1 ნ. 379

აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველო

„АДЖАРТОРГ“

ამით აცხადებს სახელმწიფო დაწესებულებათა და მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ სამშაბათს 1925 წ. 12 დეკემბერს ქ. ბათომში აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველოს ტექნიკურ საწყობში

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება სხვადასხვა ძველი მასალები და მანქანები

1. რკინის ნატეხები, 2. სხვადასხვა გვარი პრესები, 3. მილები ქურო და მუხლები მილებისათვის, 4. რელსები, 5. ხარისხობრივი რკინა, 6. ფოლადი, 7. სხვადასხვა ხერხები და ქლიბები, 8. მამოძრავებელი მანქანები, 9. ორთქლის ქვაბები, 10. აზოტის სიმჟავე, 11. სხვადასხვა დაზგები, 12. ცეცხლის საქრობი მოწყობილობა (მოწყობილობის მთელი კომპლექტი), 13. ჭანჭიკები, ქანჩები, რახნები, საყელურები, 14. წყლის საზომის შუშები, 15. ქუროები და უნაგირები, 16. სხვადასხვა გვარი ღვედები, 17. თუჯის გირები, 18. ავტომობილების ნაწილები, 19. ბორბლები (шкивы) და ქნევარები, 20 კოჭები, ჯაჭვები და სხვა მრავალი მასალები.

საჯარო ვაჭრობის დასაწყისი დილის 12 საათზე

სახელმწიფო დაწესებულებებს უპირატესობა

ვაჭრობის პირობების გაგება შეიძლება აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველოში: ბათომი კამოს ქ. № 5. მისამართი დეპეშებისათვის: ბათომი, აჭარისტანის ვაჭრობა („Аджарторг“).

ქ. თბილისში, აჭარისტანის ვაჭრ. სამმართველოს განყოფილებაში, ბნელი რიგები, № 41 ტელეფ. № 5—88

ნ. 372 3—2 აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველო.

Судебный Исполнитель 3-го района гор. Тифлиса К. Дзамоев

об'являет, что им 8-го Декабря с. г. 2 в часа дня назначены публичные торги на половину имения Екатерины Шахбудаговой, находящегося на Зурабовской улиц. № 8 (бывшая Кабгеровская) заключающ. в одноэтажном каменном доме с землею под ним, мерою сто двадцать семь (127 (кв. сажен. На основании исполнительного листа Нарсуда 3-го района г. Тифлиса от 21 августа с. г. за № 4052. Оцененка половины дома шесть сот пятьдесят (650 рублей). Желающие купить имение обязаны в день торгов представить удостоверение от коммунального отдела, Горисполкома, что у него, его родителей малолетних детей нет недвижимого имущества.

1—1 728.

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

აცხადებს, რომ ის 11 დეკემბერს, დილის ათ საათზე, 25 თებერვლის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ზესტაფონის მთლიან კოოპერატივ „განახლების“ მოძრავ ქონებას ს. ხელდობრ; 270 ფუთ პურის ფქვილს, ორი ათას ფუთ მარილს, რემინგტონს ქართული ასოებით, წიგნებს შკაფს და სხვადასხვა შეკრილ ქალის და კაცის ტანისამოსს, შეფასებულს 4414 მან. სრულიად რუსეთის სამკერვალო სინდიკატის „სინდშვეიპრომს“ ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმათ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა 2 ნოემბრის 1925 წ. თარიღით № 24055.

1—1 722 სასამართლოს აღმასრულებელი ქეჟიაშვილი.

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ 10 დეკემბერს, 1925 წ. დღის 2 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ვიქტორ ეძგვერიძეს. იმყოფება კრასნოგორსკის ქუჩა № 31 და შეიცავს სახლის ავეჯს, ე. ი. დიდი სარკე, ტანისამოსის კარადა სარკიანი კარებით, პლიუშით გადაკრული სკამები, მაგიდები, მარმარილოს ქვის პირსაბანი, კედლის საათი და სხვ. ანა სადისლიანის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 18 ნოემბრის 1925 წ. № 3655 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. აწერილი ქონება შეფასებულია 287 მან. და შეფასებიდან დაიწყება საჯარო ვაჭრობა. გაყიდვა მოხდება ადგილობრივ ზემონაჩვენებ მისამართზე სადაც შეიძლება საქონლის გასინჯვა ვაჭრობის დღეს.

831 1—1

ექიმი **ი. ა. შაფერ**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება 2—3 საათ. და 6—8 საათ. კურსანტების ქ. (ყოფ. კადეტის ქ.) № 6, მესამე სართული.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირ
მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

ტომსკის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

დ. ე. პაპიტაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან სნეულ. ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე.
კრილოვის ქ № 8. 625 25—1

ექიმი **მაღაევი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 7—9 საათამდე.
თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ, საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ.
პასტერის „ნოე“-ს პირდაპირ მაზეილის შესახვევი № 8.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მოსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ **ნ. პ. ფალიაშვილის**

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკასი (ჭლექზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამო 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

დაკარგე განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის წევრობის წიგნაკი № 6112, ლავრენტი ალ. ძიძიგურის სახელზე. ჩ. გ. 725 1—1

დაკარგე საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 12054, მეტრიკული ნარკვევი დაბადების შესახებ და სამხედრო-სააღრიცხვო ბარათი ივანე პეტრეს ძე კვარაცხელიას სახელზე. ჩ. გ.

724 1—1

დაკარგე: 1) ტრესტის და კერძო მოვაჭრეების ანგარიშები 5000 მ.ნ. 2) არამ ლოტოევის ანგარიში 18 მან. 45 კაპ. პირადობის მოწმობა № 247 და პირადი წიგნაკი № 1001/73 ეფრემ ბოთერაშვილის სახელზე. ჩ. გ. 730 1—1

დაკარგე პირველ დეკემბერს მონადირე ძაღლი, სეტერ ლავერაკი, თეთრი გრძელ ბეწვიანი ოდნავ მკრთალი ყვითელი წინწკლებით. ნაპოვნელი იქნება დაჯილდოებული. კადეტთა ქუჩა № 2 დანელია. ძაღლის გადამალვისათვის დამნაშავე პასუხისგებაში იქნება მიცემული 729 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს ს. მწულუკიძის ქუჩა № 4